# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 21 თებერვალი 2005 №37 (2360) ფასი 50 თეთრი




## ნუხელ ბექჰემი დაბადებულა

რეალის ვარსკვლავს მესამე ვაჟი შეეძინა

9



## ჰამბურგული ერთი ვერცხლით ჩატატამდა

დავით სვიმონიშვილი მეორეა

12



## მკვდარი მკვდარია

დიადთა ამაო ჯადოქრობა

15

# დევაძე უმაღლესში ვერ მოეწყო

## ნაკრების მეკარე პირველ ლიგაში ჩარჩა



# ოლდ ფირმი უქართველებოდ

## ზურაბ ხიზანიშვილი: ალექს მაკლიშმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო



REUTERS

„ოლდ ფირმი“ თავისი სისასტიკით გამოირჩევა და „სელტიკ პარკზე“ გუშინაც დაუნდობელი ომი იყო. თავისებურად დაუნდობელი და სასტიკია იმ ფეხბურთელის სვეც, კლუბის მიერ შეთავაზებულ „თამაშის წესებს“ რომ არ დაიცავს. გუშინ კიდევ ერთი რეინჯერსული მატჩი გამოტოვა ზურაბ ხიზანიშვილმა...



თანაგუნდელების სიხარულს შოთა არველაძემ და ზურაბ ხიზანიშვილმა შორიდან უყურეს

# დავით ყიფიანის თასი

## მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

ბათუმი. 21 თებერვალი. 14.00 საათი. დინამო

## ბათუმი — ზესტაფონი

მსაჯები: ა. დოგრაშვილი (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კვარაცხელია



ამირან გოგიტიძე



თემურ მახარაძე

# დონე თქვენი, ფსიქოლოგია ჩვენი...

## ბათუმი წნეხისგან თავისუფალია

ცალკე თბილისის „დინამოს“ საუეფასთასო მატჩებმა და ცალკე ზესტაფონურმა დიდთოვლობამ საქართველოს თასს გრაფიკი აურია. სამი ნახევარფინალისტი შარშანვე გამოვლინდა, „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“ და „თბილისი“, მეოთხე კი, „ბათუმი“ თუ „ზესტაფონი“, გამოსავლენია.

მეოთხედფინალის პირველი მატჩი დღეს ზღვისპირეთში გაიმართება. „ზესტაფონმა“ მერვედფინალიდან თვით თბილისის „დინამო გამოაგდო და, ცხადია, ბათუმელებთან უეჭველ ფავორიტად ითვლება. იმერლები გუშინ ჩავიდნენ აჭარაში თემურ მახარაძეს ყველა შეგირდი სალსალამათი ჰყავს და ეცდება, ორმატჩიანი ეტაპის ბედი დღესვე გადაწყვიტოს, თუმც სათასო ბატალიებმა სიურპრიზებიც იცის. თანაც „ბათუმი“ შინ იოლი საკბილო არასოდეს ყოფილა.

თემურ მახარაძე „სიფრთხილეს თავი არ სტკივას“ პრინციპით მოქმედებს — თასის მოპოვება თუ გვინდა, ყველა მეტოქესთან და ყველა მატჩში მაქსიმუმი უნდა გავიღოთო. „ზესტაფონს“ ბოლო ხანს ახალი ფეხბურთელები არ შეუძენია და ალბათ იმავე თერთმეტეულით ითამაშებს, რომლითაც „თბილისი“ 1:0 დაამარცხა. თუ მახარაძე ორი ფორვარდით თამაშს გადაწყვეტს, ალბათ ძირითადში ზაზა ზირაქიშვილიც გამოჩნდება.

„ბათუმის“ თავკაცი ნუკრი გოგიტიძე უდავო ფავორიტად „ზესტაფონს“ თვლის — სად მათი პირობები და სად ჩვენი, თანაც შემადგენლობთაც აშკარად გვჯობნიანო.

„ზესტაფონელების ძალა „დინამოსთან“ და „თბილისთან“ მატჩებშიც კარგად გამოჩნდა, ორჯერვე გამართული ფეხბურთი ითამაშეს. ეგ არის, ფსიქოლოგიურად ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვართ: წაგების გამო არავინ დაგვძრახავს და წნეხის გარეშე ვითამაშებთ, „ზესტაფონი“ კი ჩვენთან რომ გამოვარდეს, დიდ დარტყმას მიიღებს. ცხადია, პირველ თამაშში მოგებაზე ვიზრუნებთ, ოღონდ მოგებასაც გააჩნია. ვნახოთ, ყველაფერს თამაში გამოაჩენს“ — ამბობს გოგიტიძე, რომლის მთავარი იმედი თავდასხმაში ლევან ხომერიკთან ერთად ექსდინამოელი ბორის გონჩაროვი იქნება.

**ილია ნანობაშვილი**

# მაკლიშმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო

## სკამს ისევ რეინჯერსი ჯობია

**გუშინ** „რეინჯერსმა“ „სელტიკს“ სტუმრად 2:0 მოუგო და ძალიან კარგი შანსი გაუჩნდა, 51-ედ გახდეს შოტლანდიის ჩემპიონი. შოთა არველაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს გუშინ არ უთამაშიათ. არველაძეს წვივის კუნთი აწუხებს, ხოლო ხიზანიშვილის უთამაშებლობის შესახებ ზურასვე ვესაუბრეთ.

— ერთი კვირის წინ „რეინჯერსთან“ კონტრაქტი კი გავახანგრძლივე, მაგრამ „სელტიკამდე“ ხუთი მატჩი არ მათამაშეს და ალექს მაკლიშმაც მითხრა, ამდენი უთამაშებლობის შემდეგ სჯობს, „სელტიკთან“ მატჩი გამოტოვოო — გვითხრა ხიზანიშვილმა და იქვე დასძინა — ძალიან მინდოდა „სელტიკთან“ თამაში და ვფიქრობ, მაკლიშმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. მართალია, „სელტიკს“ ვხვდებოდით, მაგრამ თამაში თამაშია.

უწინდელი კონტრაქტი „რეინჯერსთან“ ხიზანიშვილს 2006 წლის ზაფხულში ეწურებოდა, გახანგრძლივებული კი „აიბროქსთან“ კიდევ ორი წლით აკავშირებს. არადა, იქნებ სჯობდა, ხიზანიშვილს შოტლანდიურზე გაცილებით უფრო სერიოზულ ჩემპიონატში მოესინჯა ძალა...

„სხვა კლუბებიდან ამ დროისთვის რეალური შემოთავაზება არ იყო, „რეინჯერსმა“ კი კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, რაზეც უცბად არ დავთანხმებულვარ“ — გვითხრა ხიზანიშვილმა, ვისაც ახალ კონტრაქტზე ხელის ჯიქურ არმოწერა ძვირი დაუჯდა, გუშინდლის ჩათვლით ექვსი რეინჯერსული მატჩი გამოტოვა. „კიდევ რომ მომეცადა, შესაძლოა, უწინდელი კონტრაქტის დასრულებამდე სათადარიგოთა სკამზე ვმჯდარიყავი“ — განგვიმარტა ისედაც განმარტებული ამბავი ზურამ.

**დავით თავართქილაძე**



ზურაბ ხიზანიშვილს „ოლდ ფირმისთვის“ თავგამოდება არასოდეს დაუკლია

# ამხანაგური მატჩი

## ამერი 0:0 პანდურიი

### მატჩი ჩაიშალა

გუშინ ანთალიაში გაიმართა ამხანაგური მატჩი თბილისის „ამერსა“ და რუმინულ „პანდურიის“ შორის. შეხვედრის 79-ე წუთზე გიორგი დავითნიძის წინააღმდეგ უხეშობისთვის რუმინელთა კარში პენალტი დაინიშნა. „პანდურიის“ მწვრთნელი ემილ შანდოი მოედანზე გადავიდა, ბურთი აიღო და თამაშის გაგრძელების საშუალებას არ იძლეოდა, რის გამოც მატჩის არბიტრმა თამაში დასრულებულად გამოაცხადა.

**ამერი:** ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ზ. ჭელიძე, გარუჩავა, დეკანოსიძე, ჩხეტიანი, გ. ჭელაძე, კაიდარაშვილი, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი

**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

# რაც არის, ეს არის...

## აკაკი დევაძე სამი თვე სპარტაკში გაძლებს...

**მწარე რეალობაა**, მაგრამ აკაკი დევაძე მაისამდე პირველლიგელ თბილისის „სპარტაკში“ ითამაშებს. არა, ამით კლუბს კი არ ვაყენებთ შეურაცხყოფას, უბრალოდ, საქართველოს ნაკრების მეკარისთვის რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი ვერ მოიძებნა, ეს არის გულდასაწყვეტი. როგორც იცით, დევაძემ მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი „თბილისში“ გაატარა განათხოვრებით, ახლახან კი „ზესტაფონში“ მისი გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ „სპარტაკმა“ და იმერულმა კლუბმა თანხაზე ვერ მოილაპარაკეს.

„ჩემი ბოლო მაინც „სპარტაკი“ გამოდგა. „ზესტაფონში“ თამაში კარგი იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს, უმაღლესი ლიგის კლუბია, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ვარ, თუმც სეზონის ბოლომდე როგორმე გავძლებ და სათამაშო პრაქტიკაც არ მომაკლდება. „სპარტაკი“ ჩემი კლუბია და ახლა ყველანაირად ვეცდები, გუნდს უმაღლეს ლიგაში გადასვლაში დავეხმარო“ — ამბობს დევაძე.

პირველ ლიგაში ჩამოქვეითებამ აკაკის ეგებ ეროვნულ ნაკრებში პოზიცია გაუხუნოს, თუმც 33 წლის მეკარე ხელების ჩამოშვებას არ აპირებს.

„ბოლომდე ვიბრძოლებ. არ გამოვრიცხავ, „სპარტაკში“ გადმოსვლამ ნაკრების პირველმეკარეობაში ხელი შემიშალოს, მაგრამ იმედია, ალენ ჟირესი მაინც გამომიძახებს. დანარჩენი კი ჩემზეა დამოკიდებული“.

**ილია ნანობაშვილი**



გიო ახვლედიანის

## სვეტი

# იონა და ფეხბურთის ხმა

თბილისის მდუმარე სტადიონების შემხედვარეთ, ცხადია, ვიცით:

დღეს თუკი სადმე გამოედინება ხოლმე საფეხბურთო ხმა, პატარა ქალაქებია.

ასე იყო ბოლნისში, ასე ყოფილა ადრე სხვაგანაც, სადაც რაღაცა ისე აეწყობოდა, რომ ფეხბურთში ფული ჩაიდებოდა და უცებ აშენდებოდა ხოლმე კარგი გუნდი.

ის ქალაქი უცებ გამოცოცხლდებოდა ხოლმე და ისე მოერგებოდა და შეერწყმებოდა ხოლმე ფეხბურთს, რომ თქვენი მოწონებული. უმრავლეს შემთხვევაში ამ ამბავს ბოლო სევდიანი ჰქონდა, ფული საჭირო სიხშირით ველარ მოდიოდა, კლებულობდა, ქრებოდა და გუნდიც დაემცრებოდა. ასე რომ, ქრებოდა ფეხბურთის ხმები ქალაქში და ქალაქის თავზე.

ახლა ზესტაფონმა გამოიღვიძა. ორი თამაში, ორი მოგება. თბილისის „დინამოს“ დამარცხება და კვლავაც იმედი და კვლავაც გახალისებული ქალაქი, რომელსაც უკვე თავისი გმირიც ჰყავს. ზურაბ იონანიძეს არასოდეს უთამაშია დედაქალაქის კლუბებში. ძნელი სათქმელია, ამით რაიმე დააკლდა თუ არა მის კარიერას. ნაკრებში ერთადერთხელ გაუტანია, მაგრამ იმას ვერსად წაუხვალ, რომ ის ჩვენი ფეხბურთის ერთი ნამდვილი კოლორიტია. აი, დაახლოებით ისე, მეტ ლეტისიე რომ ჰყავდა „საუთჰემპტონს“. ჰოდა, რუსეთ და უკრაინამოვლილი იონა ახლა ზესტაფონშია და იქაურ ისტორიას ქმნის. რაც მთავარია, უკვე მოასწრო. მთელი ცხოვრება ქუთაისურ მაისურაში უტანდა „დინამოს“ და ახლაც გაუტანა.

ისტორიას ქმნის-მეთქი, ცოტა ხმამაღლა მომივიდა იმიტომ, რომ ჩვენთან არ უყვართ ასეთი გამოთქმები. პატარა ამბავში და პატარა საქმეში ასე თქმა არ შეიძლებაო. როგორ არ შეიძლება, თუნდაც პატარა, ოღონდ ნამდვილი უნდა იყოს. ოღონდ, ისტორიის შექმნას ერთი აუცილებელი პირობა აქვს: გაგრძელება უნდა ჰქონდეს.

ამიტომაც, საუცხოო იქნება, თუ ზესტაფონურ ამბავს გაგრძელება ექნება. თორემ იონას უკვე აქვს თავისი წილი ისტორია. ზესტაფონისა კი მართლაც კარგი იქნება — ფეხბურთის ნამდვილი ხმები ქალაქში. თორემ თბილისში მიდიხარ სტადიონზე და უყურებ სკამებს.

ხმას რა ჯობია, ნამდვილი ფეხბურთის ხმას, მთელს ქალაქს რომ სწვდება.

იყოს პატარა ქალაქი. ეგ უფრო გემრიელიც კია.

საქართველოს უმაღლესი ლიგის 16 ჩემპიონატი — მეორე ეტაპი — 19 ტური

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 1:0 | სიონი |
| დილა | 0:0 | ბათუმი |
| ტორპედო | 0:0 | ლოკომოტივი |
| ზესტაფონი | 1:0 | თბილისი |
| კოლხეთი | 0:0 | ვიტ ჯორჯია |



„ტორპედო“ — „ლოკომოტივს“ ბული ასდიოდა

*მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეცხრამეტე ტური ანტირეკორდული გამოდგა — ჩვენი ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში მანამდე არ ყოფილა, რომ ტურში მხოლოდ ორი გოლი გასულიყო...*

*რაც შეეხება შედეგებს, აქ მეტ-ნაკლებად ჩვეულებრივი ამბები მოხდა — „დინამომ“ მოიგო, „ვიტ ჯორჯიამ“ მისთვის უხერხულ მეტოქესთან ვერ მოიგო, „ტორპედოს“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ კი ალალად თქვა, ამ ეტაპზე საჩემპიონო გუნდი არ გვეთქმისო...*

*ამ ტურში დებიუტი ჰქონდა ორ ლეგიონერს — „ლოკომოტივის“ ბრაზილიელ ჟეანსა და „თბილისის“ კორეელ მინ ჩოის...*

*მთლიანობაში კი დონდლო ტური გამოდგა, მაგრამ ულაღობას და უგოლობას გამართლებაც აქვს — ეს ხომ მეორე ეტაპის პირველი მატჩები იყო.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 13 | 3 | 3 | 41:19 | 42 |
| ტორპედო | 19 | 11 | 7 | 1 | 32:11 | 40 |
| თბილისი | 19 | 10 | 4 | 5 | 38:23 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 8 | 5 | 6 | 30:25 | 29 |
| ლოკომოტივი | 19 | 7 | 8 | 4 | 25:16 | 29 |
| ბათუმი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:16 | 24 |
| ზესტაფონი | 19 | 7 | 1 | 11 | 17:36 | 22 |
| კოლხეთი | 19 | 5 | 5 | 9 | 17:23 | 20 |
| სიონი | 19 | 4 | 2 | 13 | 15:43 | 14 |
| დილა | 19 | 2 | 3 | 14 | 13:38 | 9 |

**მომდევნო ტური**

25 თებერვალი, პარასკევი

თბილისი – კოლხეთი

ლოკომოტივი – ბათუმი

სიონი – დილა

ტორპედო – ზესტაფონი

ვიტ ჯორჯია – დინამო



ლევან მელქაძე

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 13-მელქაძე | დინამო |
| 12-მეგრელაძე | ტორპედო |
| 10-ოდიკაძე | დინამო |
| ბობოხიძე | ლოკომოტივი |

**სიმბოლური ნაკრები**

ირაკლი სირბილაძე (ლოკომოტივი), ლევან მელქაძე (დინამო)

შოთა ბაბუნაშვილი (დინამო), ალეკო გოგობერიშვილი (ლოკომოტივი), გოჩა ჯამარაული (დინამო), გიორგი თურმანიძე (ზესტაფონი)

რონ ონიანი (ლოკომოტივი), შალვა ღონღაძე (ზესტაფონი), მიხეილ მახვილაძე (ლოკომოტივი), დავით ოდიკაძე (დინამო)

მირზა მერლანი (ტორპედო)

გუნდი: ზესტაფონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

# დირექტორული დირექტივა: ჟურნალისტებო, წადით სხვაგან!

**ქუთაისის** სტადიონის დირექცია მეთექვსმეტე ეროვნულის განახლებას თავისებურად შეხვდა — მასმედია აბუჩად აიგდო, ხოლო პრესლოჟა საერთოდ გააძევა.

მანამდე „ტორპედოს“ სტადიონზე ჟურნალისტები გადახურულ ფართობზე ვისხედით, „ლოკომოტივთან“ მატჩზე კი უკვე ყოფილ პრესლოჟაში პოლიციელი იჯდა და ჟურნალისტებს იქ არ უშვებდა. მასმედიას ადგილი ტრიბუნაზე გამოუყვეს, საიდანაც მოედნის ერთი ფლანგი ფაქტობრივად არ ჩანდა, სათადარიგოთა სკამებით იფარებოდა.

არსად ჩანდა პროფლიგის სპონსორთა სარეკლამო დაფები, ერთადერთი მხოლოდ საპრესკონფერენციო დარბაზში იყო. ამ გარდაქმნების „შემოქმედი“ კი სტადიონის დირექტორი ნოდარ ჭეიშვილი უნდა იყოს.

# მაისურაძეა პოლიგლოტი თუ მინ ჩოია ქართველი?



*ათი-თხუთმეტი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, საქართველოს ჩემპიონატში კორეელი იბურთავებსო, ხალხი სიცილით გაიჭაჭებოდა. თუმცა, აგერ, ზესტაფონის სტადიონზე „თბილისის“ ფორვარდ მინ ჩოის დებიუტი შედგა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა, ქულთმიანი კორეელი შესვენების შემდეგ მინდორზე რომ გამოჩნდა. ტრიბუნის იმ კუნჭულიდან, და სადაც გამოეფინათ ტრანსპარანტი „კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჯოჯოხეთში“, მინ ჩოის რამდენიმე კალამბური შეუძახეს. ნამატჩევსაც მოგებით გახარებულმა ზესტაფონელებმა კორეელისთვის უფრო გულიანად მოიცალეს — წავიდეს, ბიძია, კუნფუ და კარატე ისწავლოს, ფეხბურთი რა მაგის საქმეაო...*

*ეს ხუმრობით, თორემ მინ ჩოი არცთუ მწყრალად იყო ტყავის ბურთთან, ერთი-ორჯერ ჭკვიანური პასიც გააკეთა, მაგრამ ის კი ვერ გავიგეთ, რა ენაზე და რატომ ეკამათებოდა წამდაუწუმ არბიტრ მალხაზ მაისურაძეს...*

## თქვენი ინტერვიუ

## შოთა არველაძესთან

«რეინჯერსი» გლაზგო. შოტლანდია

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXII ტური

**გლადბახი 1:3 შალკე**

1:0 ბოემე (38), 1:1, 1:2, 1:3 აილტონი (44, 66, 79)
**გლადბახი:** კ. კელერი, კ. მური, ფუკალი, შტრასერი, ტიისი, მ. იანსენი (დაემსი 81), კლუგე (სვერკოში 78), ბოემე, ვან ჰუტი, სონკი, ნოივილი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
**შალკე:** ფ. როსტი, დ. როდრიგესი, ჰოოგლანდი, კრსტაიჩი, ბანდერი, ქობიაშვილი, პოულსენი, ვერმანტი (ლინკოლნი 69), ასამოა, სანდი (ჰანკე 69), აილტონი (ჰამიტ ალტინტოპი 89)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: შტრასერი, სონკი
მსაჯი: ვაგნერი
53 148 მაყურებელი

**ბოხუმი 3:1 ფრაიბურგი**

1:0 მისიმოვიჩი (36), 2:0 კალა (56), 2:1 აოგო (80), 3:1 ბეკმანი (84)
**ბოხუმი:** ვანდერი, ქოლდინგი, კალა, კნავსი, პ. ბიონიგი, ჰროისი (ტაპალოვიჩი 87), ტროიანი (გროტი 80), ზდებელი, მისიმოვიჩი (ვოში 73), ლოკვენცი, ბეკმანი
მწვრთნელი: პიტერ ნოირურერი
**ფრაიბურგი:** გოლცი, შუმანი, ხიზანიშვილი, მოჰამადი, კრუპკე, რიტერი (აოგო 59), კაირო (რეინარდი 72), ანტარი (ტანკო 59), დორნი, კუ-ლიბალი, ცხიტიშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: მისიმოვიჩი, შუმანი, კაირო, ტანკო, მოჰამადი, კრუპკე
გაძევება: გოლცი (70)
მსაჯი: კირხერი
22 820 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0 ტაკაჰარა (29), 2:0 მორეირა (40), 2:1 ჰალილ ალტინტოპი (51)
**ჰამბურგი:** პიკენჰაგენი, შლიკე, ბულარუზი, ვან ბუიტენი, კლინგბეილი, ვიკი, ტაკაჰარა (ბ. რაინჰარდტი 89), იაროლიმი (ბენჯამინი 84), მორეირა (ლაუტი 75), ბაინლიხი, ბარბარესი
მწვრთნელი: თომას დოლი
**კაიზერსლაუტერნი:** ტ. ერნსტი, ლემბი, ჰერცი, ვენცელი, ბლანკი, ზაიტცი (ტებერი 83), სფორცა (კოსოვსკი 72), ამანატიდისი (ანკერი 60), რიდლი, ენგელჰარტდი, ჰალილ ალტინტოპი
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: იაროლიმი, ბაინლიხი, ზაიტცი, ლემბი
მსაჯი: ბრიხი
50 916 მაყურებელი

**ბაიერნი 5:0 დორტმუნდი**

1:0 სალიჰამიჯიჩი (4), 2:0 მაკაი (6), 3:0 პიზარო (28), 4:0, 5:0 მაკაი (33, 54)
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო (ფრინგსი 69), რ. კოვაჩი, ნიზარაზუ, დემიკელისი, სალიჰამიჯიჩი (დაისლერი 46), შოლი (შვაინსტაიგერი 63), ზე რობერტო, მაკაი, პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, კ. მეცელდერი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კელი, კრუშკა (როსიცკი 46), რიკენი (ევერტონი 62), კრინგე, სმოლიარეკი, კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: კრინგე, კ. მეცელდერი
მსაჯი: მერკი
53 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:4 ვერდერი**

0:1 მანინი (4), 0:2 ბოროვსკი (7), 1:2 ჟურავი (37), 1:3 ფ. ერნსტი (63), 1:4
**ჰანოვერი:** ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ჟურავი, დაბროვსკი, ლალა (თ. კრისტიანსენი 79), დე გუცმანი, კრუპნიკოვიჩი, შრიოტერი (კაუფმანი 79), შტენდელი, პაუნოვიჩი (შტაინერი 63)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
**ვერდერი:** რაინკე, სტალტერი, ბაუმანი, ისმაელი, პასანენი, მანინი, ბოროვსკი (დ. იენსენი 73), ჰანტი (მ. ზიდანი 83), ფ. ერნსტი (შულცი 87), მიკუ, ნ. ვალდესი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჩერუნდოლო, ბაუმანი, მანინი
მსაჯი: ფანდელი
41 862 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:4 ლევერკუზენი**

0:1 ბერბატოვი (3), 1:1 მინტალი (30), 1:2 რამელო (33), 2:2 მინტალი (53), 2:3 ბერბატოვი (60), 2:4 კრჟინოვეკი (79)
**ნიურნბერგი:** კლევერი, ა. ვოლფი, ბოსაცკი (კესლინგი 71), ვაგეფელდი (სლოვაკი 80), კანტალუპი, ლ. მიულერი, ლარსენი, ს. მიულერი, მინტალი, დაუნი, ვიტეკი
მწვრთნელი: ვოლფმანგ ვოლფი
**ლევერკუზენი:** ჰ. ბუტი, ბ. შნაიდერი, კალსენ-ბრაკერი, ნოვოტნი (დამი 77), პლასენტე, რამელო, ფრაიერი, პონტე (დონოვანი 85), ვორონინი (კასტრო 67), კრჟინოვეკი, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: კანტალუპი, კასტრო
მსაჯი: მაიერი
20 216 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 4:0 ჰანზა**

1:0 დალესანდრო (4), 2:0 კლიმოვიჩი (7), 3:0 ტიამი (63), 4:0 ტ. მარიჩი (82)
**ვოლფსბურგი:** იენჩი, რიტერი (ფრანცი 77), კიროგა, ჰოფლანდი, შნური, კარჰანი (ფიშერი 83), ტიამი, დალესანდრო, ბრდარიჩი (ტ. მარიჩი 82), კლიმოვიჩი, მ. პეტროვი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
**ჰანზა:** შიობერი, ჰარტმანი, მიორლე, კ. მადსენი, მაული, პერსონი (ლანცი 40), ტ. რასმუსენი (ვორბეკი 68), რიდლევიჩი, ლიტმანენი, არვიდსონი, დი სალვო
მწვრთნელი: იორგ ბერგერი
გაფრთხილება: ტ. რასმუსენი, მიორლე
მსაჯი: კინჰოფერი
17 836 მაყურებელი

**მაინცი 0:0 არმინია**

**მაინცი:** ვახე (ვეტკლო 46), აბელი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე, იოვანოვიჩი (აუერი 69), და სილვა (ნ. ვეილანდი 85), ბაბატცი, ფ. გერბერი, ბალიტჩი, კასელი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
**არმინია:** ჰაინი, ლენსი, ბორგესი, გაბრიელი, ბოგუში, კაუფი, დამაიერი, ოვომოიელა, ვატა (კუნცელი 61; ჟალოვიჩი 89), ბაკლი, ჰორსელო (შველა 66)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: კასეი, ჰორსელო, ვატა
მსაჯი: საგელმანი
20 300 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 ჰერტა**

1:0 კაკაუ (10)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ბაბელი, მეირა, შტრანცი, ჰინკელი, ტრიფერტი, სოლდო, ა. გლები (ვრანიეში 90), მაისნერი, კურანი (საბიჩი 73), კაკაუ (გენტნერი 82)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
**ჰერტა:** ფიდლერი, შრიოდერი, შიმუნიჩი, ფატი, ვან ბურიკი (მადლუნგი 75), ნ. კოვაჩი (რაფაელი 65), ჟილბერტო, ბაშთურქი, ტ. მაქსი, ვიშნიარეკი (ბობიჩი 72), მარსელინიო
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: შიმუნიჩი, შტრანცი, შრიოდერი, რაფაელი
მსაჯი: შტარკი
29 000 მაყურებელი

# სამი შეაგდე, შეგერგება

## აილტონისა და მაკაის ჰეთ თრიკები



ბაიერნი — დორტმუნდი. ჰეთ თრიქი როი მაკაის „ბაიერნის“ კაპიტანმა ოლივერ კანმა მიულოცა

როი მაკაიმ სამი გოლი თავად შეაგდო ფინანსურ კრიზისში შემაშფოთებლად შეტოპილი დორტმუნდის „ბორუსიას“ კარში, ხოლო კიდევ ორი თანაგუნდელებს გაატანინა და საბოლოო ანგარიში გამოვიდა კიდეც შთამბეჭდავი — 5:0.

ეს იყო „ბაიერნის“ ზედიზედ მესამე საშინაო გამარჯვება, მეტად მნიშვნელოვანი „შალკესთან“ ტიტულისთვის ბრძოლაში და მეტად წამახალისებელი ხვალ „არსენალთან“ მატჩის წინ. მოგეხსენებათ, „ბაიერნისა“ და „არსენალის“ დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპისა გახლავთ.

ჩემპიონთა ლიგაში გერმანელებს კიდევ ორი წარმომადგენელი ჰყავთ, გასული სეზონის დუბლის მომგები ბრემენის „ვერდერი“ და ლევერკუზენის „ბაიერი“. ბრემენელებმა ჰანოვერში მოიგეს 4:1, ხოლო ლევერკუზენის „ბაიერმა“ ნიურნბერგში გაიმარჯვა 4:2.

თუმცა დავუბრუნდეთ „ბაიერნის“ და „დორტმუნდის“ შეხვედრას. შეგახსენებთ, რომ ზამთრის არდადეგების შემდეგ დორტმუნდელებმა სანამ ამ 0:5-ს წააგებდნენ, სამი თამაში მოიგეს, ხოლო ერთი ფრედ დაასრულეს, რითაც ცხრილში გვარიანად გაიუმჯობესეს მდგომარეობა, მაგრამ კლუბში შექმნილმა საშინელმა ფინანსურმა მდგომარეობამ ყველაფერი არია.

არეულმა „დორტმუნდმა“ კი „ბაიერნთან“ მატჩის დროს დაცვაში დაუშვა საშინელი შეცდომები და უკვე მე-5 წუთზე ზემოხსენებულმა მაკაიმ ჰასან სალიჰამიჯიჩს გადააწოდა საგოლე პასი.

ორი წუთის შემდეგ მაკაიმ მიუნხენელთა მეორე გოლიც გაიტანა, ხოლო 28-ზე. კიდევ ერთი კლაუდიო პისაროს შეაგდებინა.

შესვენებამდე 11 წუთით ადრე მაკაის მეჰმეთ შოლმა მიაწოდა ჭკვიანური საგოლე პასი, შესვენებიდან 10 წუთის შემდეგ კი იმავე კომბინაციამ ერთხელაც გაკვეთა დორტმუნდელების დაცვა.

„ჩვენ გამოვფხიზლდით და ერთი კვირის წინ „არმინიასთან“ წაგებული 1:3 გამოვასწორეთ. გაგვიმართლა კიდეც, დორტმუნდელები შეხვედრის დასაწყისში გაშვებულმა ორმა გოლმა ძალიან დათრგუნა“ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ბაიერნის“ თავკაცმა ფელიქს მაგათმა.

ბოლოს მიუნხენელთა გამარჯვება მეტად საზეიმო რომ არ გამოსულიყო, ბრაზილიელი აილტონის სამი გოლით „შალკემ“ მიონხენგლადბახის „ბორუსია“ 3:1 დაამარცხა და შესაბამისად ბუნდესლიგის მწვერვალზე ისევ ტოლქულიანობაა. არადა, ანგარიში მიონხენგლადბახმა [illegible] ბოემემ პენალტით [illegible] პირველი ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე აილტონმა ანგარიში გაქვითა. შემდეგ მანვე მძლავრი დარტყმით ბურთი „ბორუსიას“ კარის მაღლა კუთხეში შეაგდო, ხოლო მესამეს შეგდებაში იღბალმაც საკმაოდ შეუწყო ხელი.

**ბაჩუნა ძიძია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 22 | 13 | 5 | 4 | 44:23 | 21 | 44 | 12 | 9 | 2 | 1 | 29:8 | 21 | 29 | 10 | 4 | 3 | 3 | 15:15 | 0 | 15 |
| 2 | შალკე | 22 | 14 | 2 | 6 | 36:27 | 9 | 44 | 11 | 8 | 1 | 2 | 22:16 | 6 | 25 | 11 | 6 | 1 | 4 | 14:11 | 3 | 19 |
| 3 | ვერდერი | 22 | 12 | 4 | 6 | 49:26 | 23 | 40 | 11 | 6 | 3 | 2 | 21:11 | 10 | 21 | 11 | 6 | 1 | 4 | 28:15 | 13 | 19 |
| 4 | ლევერკუზენი | 22 | 11 | 5 | 6 | 41:29 | 12 | 38 | 10 | 8 | 1 | 1 | 26:11 | 15 | 25 | 12 | 3 | 4 | 5 | 15:18 | -3 | 13 |
| 5 | შტუტგარტი | 22 | 11 | 5 | 6 | 40:28 | 12 | 38 | 11 | 8 | 1 | 2 | 26:11 | 15 | 25 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:17 | -3 | 13 |
| 6 | ჰამბურგი | 22 | 12 | 1 | 9 | 39:32 | 7 | 37 | 11 | 7 | 0 | 4 | 20:16 | 4 | 21 | 11 | 5 | 1 | 5 | 19:16 | 3 | 16 |
| 7 | ჰერტა | 22 | 9 | 9 | 4 | 35:19 | 16 | 36 | 10 | 3 | 6 | 1 | 16:8 | 8 | 15 | 12 | 6 | 3 | 3 | 19:11 | 8 | 21 |
| 8 | ვოლფსბურგი | 22 | 11 | 0 | 11 | 39:35 | 4 | 33 | 12 | 8 | 0 | 4 | 31:14 | 17 | 24 | 10 | 3 | 0 | 7 | 8:21 | -13 | 9 |
| 9 | ჰანოვერი | 22 | 9 | 5 | 8 | 27:26 | 1 | 32 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:15 | 1 | 17 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:11 | 0 | 15 |
| 10 | ლაუტერნი | 22 | 9 | 4 | 9 | 31:31 | 0 | 31 | 11 | 7 | 1 | 3 | 17:11 | 6 | 22 | 11 | 2 | 3 | 6 | 14:20 | -6 | 9 |
| 11 | არმინია | 22 | 8 | 5 | 9 | 23:27 | -4 | 29 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:9 | 1 | 15 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:18 | -5 | 14 |
| 12 | დორტმუნდი | 22 | 7 | 7 | 8 | 24:30 | -6 | 28 | 10 | 3 | 4 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 12 | 4 | 3 | 5 | 13:19 | -6 | 15 |
| 13 | ნიურნბერგი | 22 | 6 | 6 | 10 | 37:40 | -3 | 24 | 11 | 2 | 4 | 5 | 16:18 | -2 | 10 | 11 | 4 | 2 | 5 | 21:22 | -1 | 14 |
| 14 | გლადბახი | 22 | 6 | 6 | 10 | 26:38 | -12 | 24 | 12 | 6 | 2 | 4 | 20:18 | 2 | 20 | 10 | 0 | 4 | 6 | 6:20 | -14 | 4 |
| 15 | მაინცი | 22 | 6 | 5 | 11 | 27:37 | -10 | 23 | 11 | 5 | 3 | 3 | 14:12 | 2 | 18 | 11 | 1 | 2 | 8 | 13:25 | -12 | 5 |
| 16 | ბოხუმი | 22 | 4 | 7 | 11 | 29:44 | -15 | 19 | 12 | 3 | 5 | 4 | 20:20 | 0 | 14 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:24 | -15 | 5 |
| 17 | ფრაიბურგი | 22 | 3 | 7 | 12 | 18:44 | -26 | 16 | 10 | 2 | 4 | 4 | 9:16 | -7 | 10 | 12 | 1 | 3 | 8 | 9:28 | -19 | 6 |
| 18 | ჰანზა | 22 | 2 | 7 | 13 | 18:47 | -29 | 13 | 11 | 0 | 3 | 8 | 7:27 | -20 | 3 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:20 | -9 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 17 |
| ბაკლი (არმინია) | 13 |
| კლოზე (ვერდერი) | 12 |
| მაკაი (ბაიერნი) | 12 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 11 |
| აილტონი (შალკე) | 11 |

### XXIII ტური

26-27 თებერვალი

| | |
|---|---|
| დორტმუნდი | მაინცი |
| ფრაიბურგი | ბაიერნი |
| ვერდერი | ბოხუმი |
| შალკე | ჰანოვერი |
| ჰანზა | გლადბახი |
| ლაუტერნი | ვოლფსბურგი |
| ჰერტა | ჰამბურგი |
| ლევერკუზენი | შტუტგარტი |
| არმინია | ნიურნბერგი |

### II ბუნდესლიგა

#### XXII ტური

**ტრირი 2:0 ალენი**

1:0 პაჩინსკი (43), 2:0 ლაბაკი (83)

**კარლსრუე 1:1 დინამო**

1:0 საენკო (23პ), 1:1 ბრიკმანი (31)

**კოტბუსი 0:0 ესენი**

**კიოლნი 1:0 ალემანია**

1:0 შპრინგერი (88)

**ბურგჰაუზენი 2:2 ობერჰაუზენი**

0:1, 0:2 ჰაელდერმანსი (14, 55), 1:2 დრეშერი (71), 2:2 რაიზინგერი (76)

**აინტრახტი 3:0 ზაარბრიუკენი**

1:0 ვაისენბერგერი (21), 2:0 დ. ჯონსი (43), 3:0 კიმენი (68)

**აუე 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 ჰელბიგი (60)

**ერფურტი 1:2 ფიურტი**

0:1 ჰილბერტი (12), 1:1 დავიდი (42), 1:2 ალბერტცი (60)

**დუისბურგი — მიუნხენი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 22 | 13 | 5 | 4 | 43:24 | 44 |
| ფიურტი | 22 | 13 | 4 | 5 | 37:24 | 43 |
| დუისბურგი | 21 | 13 | 3 | 5 | 34:21 | 42 |
| ალემანია | 22 | 10 | 4 | 8 | 41:24 | 34 |
| აინტრახტი | 22 | 10 | 4 | 8 | 38:33 | 34 |
| აუე | 22 | 10 | 3 | 9 | 31:24 | 33 |
| ზაარბრიუკენი | 22 | 9 | 4 | 9 | 32:29 | 31 |
| მიუნხენი | 21 | 8 | 7 | 6 | 30:30 | 31 |
| ბურგჰაუზენი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:36 | 30 |
| ტრირი | 22 | 6 | 11 | 5 | 31:33 | 29 |
| კოტბუსი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:28 | 27 |
| უნტერჰახინგი | 22 | 8 | 2 | 12 | 32:35 | 26 |
| ალენი | 22 | 6 | 7 | 9 | 21:26 | 25 |
| კარლსრუე | 22 | 5 | 8 | 9 | 26:34 | 23 |
| ესენი | 22 | 4 | 11 | 7 | 27:36 | 23 |
| ობერჰაუზენი | 22 | 6 | 5 | 11 | 27:42 | 23 |
| დინამო | 22 | 6 | 4 | 12 | 28:40 | 22 |
| ერფურტი | 22 | 4 | 8 | 10 | 19:33 | 20 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### XXI ტური

დორტმუნდი (მ) — იურდინგენი 1:0; ქემნიცი — მიუნსტერი 0:0; დიუსელდორფი — ვოლფსუბრგი (მ) 0:0; პადერბორნი — ვუპერტალი 1:0; ზანკტ პაული — კიოლნი (მ) 2:0; ჰამბურგი (მ) — ოსნაბრიუკი 0:1; ლიუბეკი — ბრაუნშვაიგი 2:2. *უნიონი — კილი და არმინია (მ) — ჰერტა (მ) გადაიდო*

### სამხრეთ რეგიონალლიგა

#### XX ტური

რეგენსბურგი — მიუნხენი (მ) 0:2; ელვერსბერგი — კობლენცი 2:0. *ზიგენი — ალენი, ბაიერნი (მ) — აუგსბურგი, ნოტინგენი — ოფენბახი, დარმშტადი — ფულენდორფი, კიკერსი — ფოიხტი, შტუტგარტი (მ) — მაინცი (მ) გადაიდო*

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXI ტური

გაზიანთეფი — ბეშიქთაში 0:1; ისთანბული — კონია 2:2; სებათი — ანკარაგიუჯიუ 0:0; დენიზლი — ანკარა 1:1; გალათასარაი — საქარია 1:0; მალათია — დიარბაქირი 2:1; სამსუნი — რიზე 0:1; გენჩლერი — ტრაბზონი 0:1; ფენერბაჩე — ქაისერი 7:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 21 | 17 | 2 | 2 | 56:10 | 53 |
| გალათასარაი | 21 | 16 | 3 | 2 | 41:12 | 51 |
| ტრაბზონი | 21 | 15 | 4 | 2 | 41:13 | 49 |
| ბეშიქთაში | 20 | 11 | 5 | 4 | 44:25 | 38 |
| დენიზლი | 21 | 10 | 4 | 7 | 31:25 | 34 |
| რიზე | 21 | 9 | 6 | 6 | 24:17 | 33 |
| მალათია | 21 | 9 | 4 | 8 | 29:28 | 31 |
| გაზიანთეფი | 21 | 8 | 4 | 9 | 31:33 | 28 |
| ანკარა | 21 | 7 | 5 | 9 | 29:30 | 26 |
| კონია | 21 | 5 | 10 | 6 | 37:41 | 25 |
| დიარბაქირი | 21 | 7 | 4 | 10 | 21:33 | 25 |
| გენჩლერი | 20 | 6 | 5 | 9 | 24:28 | 23 |
| სამსუნი | 21 | 6 | 4 | 11 | 26:40 | 22 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 5 | 6 | 9 | 16:29 | 21 |
| საქარია | 21 | 5 | 3 | 13 | 25:46 | 18 |
| ისთანბული | 20 | 3 | 7 | 10 | 18:32 | 16 |
| ქაისერი | 21 | 4 | 3 | 14 | 26:50 | 15 |
| სებათი | 21 | 1 | 7 | 13 | 21:48 | 10 |

# ოდესმე ყველა აგებს

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXV ტური

**ბარსელონა 2:0 მალიორკა**

1:0, 2:0 დეკო (17, 57)

**ბარსელონა:** ვალდესი, ბელეტი, მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო 73), ალბერტინი, ჩავი (ინიესტა 62), დეკო, ჟული (ხერარდი 80), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

**მალიორკა:** მოია, რამისი, ბალესტეროსი, იულიანი, პოლი, კამპანო (ფელიპე 61), დე ლოს სანტოსი, პერეირა, ტუნი (ვარელა 65), არანგო, ლუის გარსია (ოკუბო 71)

მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: პერეირა, არანგო, მარკესი, ხერარდი

მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი

71 039 მაყურებელი

**რეალი 0:2 ბილბაო**

0:1 დელ ორნო (57), 0:2 ირაოლა (73)

**რეალი:** იკერ კასილიასი, მიჩელ სალგადო, ელგერა, სამუელი, რაულ ბრავო (რაული 66), ბექჰემი, გრავესენი, ფიგუ (ზიდანი 66), სოლარი, გუტი, ოუენი (რონალდო 66)

მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგი

**ბილბაო:** არანსუბია, მურილიო, ლუის პრიეტო, გურპეგი, დელ ორნო, ირაოლა (სოლაბარიეტა 80), ტიკო (დაკრუსი 71), ორბაისი, იესტე (კასასი 88), ეჩებერია, ესკერო

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

გაფრთხილება: ორბაისი (25), გუტი (28), ელგერა (65), სამუელი (66), ზიდანი (93)

მსაჯი: მორენო დელგადო

75 000 მაყურებელი

**სოსიედადი 1:0 სევილია**

1:0 კოვაჩევიჩი (85)

**სოსიედადი:** რიესგო, ლოპეს რეკარტე, ლაბაკა, ლუის ალბერტო, როსატო, კარპინი, მიკელ ალონსო, ხაბი პრიეტო (ბრეშე 89), ნიჰატი (გარი ურანგა 46), არამბური, კოვაჩევიჩი (მლადენოვიჩი 90)

მწვრთნელი: ხოსე მარია ამორორტუ

**სევილია:** ესტებანი, დანი ალვეში, ანტორ ოსიო, პაბლო ალფარო, დავიდი, სალესი (მაკეკულა 87), მარტი, რენატო (არანდა 64), ადრიანო (ა. ლოპესი 46), ბაპტისტა, ანტონიტო

მწვრთნელი: ხოაკიმ კაპაროსი

გაფრთხილება: ლუის ალბერტო (22), ფერნანდეს სალესი (74), მარტი (75), კარპინი (84)

მსაჯი: რუბინოს პერესი

**ბეტისი 2:0 დეპორტივო**

1:0, 2:0 ასუნსაო (38, 57)

**ბეტისი:** დოვლასი, ლუის ფერნანდესი, ლემბო, რივასი, მელი, არზუ, კანიასი (ბენხამინი 54), ხოაკინი (დენილსონი 79), ასუნსაო, ოლივეირა (იზრაელი 87), ედუ

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო (ვიქტორი 58), ანდრადე, კაპდევილა, პაბლო ამო (მაურო სილვა 87), დუშერი (მუნიტისი 66), სერხიო, სკალონი, ვალერონი, ტრისტანი, ლუკე

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: დუშერი, სკალონი, ხემაინი

მსაჯი: დაუდენ იბანიესი

35 000 მაყურებელი

**ალბასეტე 1:2 ნუმანსია**

1:0 მ. გონსალესი (38), 1:1 მერინო (50პ), 1:2 მიგელი (85)

**ალბასეტე:** ვალბუენა, ოსკარ მონტიელი, სანჩი, გასპარი, ბუადესი, ხაიმე, დავიდ სანჩესი (ალვარო 55), ფრანსისკო (მიგელი 66), მ. გონსალესი, პაჩეკო, პერალტა (მოში 60)

მწვრთნელი: ხოსე გონსალესი



სოსიედადი — სევილია. ჭიდაობა ჰაერში: ჟულიო ბაპტისტა და ვალერი კარპინი

**ნუმანსია:** ხუანმა, პინიოლი, ოჩოა, ველასკო, ტარანტინო, ხუან პაბლო, მერინო, ხუანელე (გრაფი 87), როსი, ტეველიტი (რაფა 46), მიგელი

მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი

გაფრთხილება: ჯასპარი, მიგელი, დავიდ სანჩესი, სანჩი, მერინო, როსი, ველასკო

გაძევება: ხაიმე (64)

მსაჯი: მეხია დავილა

14 000 მაყურებელი

**ხეტაფე 0:0 ოსასუნა**

**ხეტაფე:** ს. არაგონესესი, მ. პენია, იანგუასი, ნანო, ბელენგუერი, დ. რივასი, გაბი, რ. ალბიოლი, კომე (მიჩელი 79), კრაიოვეანუ, იორდი (რიკი 60)

მწვრთნელი: კიკე ფლორესი

**ოსასუნა:** ელია, კლავერო, კრუზადა, ისკიერდო, ხოსეჩო, პაბლო გარსია, მოია, ვალდო (პუნიალი 67), მუნიოსი, მილოშევიჩი (ალოიზი 83), ჩეჩე მორალესი

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: ხოსეჩო, პაბლო გარსია, მუნიოსი, ჩეჩე მორალესი

მსაჯი: რამირეს დომინგესი

13 000 მაყურებელი

**ლევანტე 0:0 სარაგოსა**

**ლევანტე:** მორა, ალექსისი, პინილოსი, ხესულე, კამაჩო, ეტიენი (რაიამა 70), რივერა, ჟოფრე, ტიტო, სერხიო გარსია, რეჯი (კონგო 81)

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

**სარაგოსა:** ლუისი, მილიტო, ალვარო, ტოლედო, გალეტი, სავიო, პონსიო (კარტერო 74), ოსკარი, მოვილა, ჟენერლო (სავატერი 65), დ. ვილა (კაპი 65)

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

გაფრთხილება: ხენერლო, მილიტო, სავიო, სავატერი

მსაჯი: ველასკო კარვალიო

16 000 მაყურებელი

**რასინგი 1:0 ვალენსია**

1:0 მ. რეგუეირო (61)

**რასინგი:** აუატე, კასარი, მორატინოსი, ხუანმა, მ. რეგუეირო, რეგრაგუი, მორანი (ბ. ვალე 89), ანდერსონი, დ. აგანსო (არისმენდი 74), ხავი გერერო (ტორადო 84), ბენაიუნი

მწვრთნელი: ნანდო იოსუ

**ვალენსია:** პალოპი, კანეირა (რუფეტე 72), მარჩენა, დ. ნავარო, მორეტი (ფაბიო აურელიო 72), ალბელდა, ფიორე (ხისკო 77), სისოკო, აიმარი, მისტა, დი ვაიო

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: ხავი გერერო, დ. ნავარო, ფაბიო აურელიო, ლორანი, მ. რეგუერო

მსაჯი: მუნუერა გონსალესი

14 000 მაყურებელი

**მალაგა 3:2 ესპანიოლი**

1:0 ხ. როდრიგესი (8), 2:0 მიგელ ანხელი (16), 3:0 ხუანიტო (53), 3:1 დანი (71), 3:2 ფერნანდო სანსი (84ს.კ.)

**მალაგა:** არნაუ, ვალკარსე, ხუანიტო, კ. ნავასი, ფერნანდო სანსი, ხერარდო, დუდე (ბოტე 59), მ. რომერო, მიგელ ანხელი (ედგარი 89), ხ. როდრიგესი, ფერნანდო (მიჩელი 70)

მწვრთნელი: ანტონიო ტაპია

**ესპანიოლი:** კამენი, ლოპო, დ. გარსია, ხარკე, სოლდევილა, იტო, ფრედსონი (ამავისკა 74), ალექსი, მაქსი, დანი (ო. სერანო 47), ტამუდო

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: ალექსი, ალექსი, ხერარდო, სოლდევილა, კ. ნავასი

გაძევება: ალექსი (34)

მსაჯი: პერეს ბურული

13 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 3:2 ატლეტიკო**

0:1, 0:2 ფ. ტორესი (27, 40), 1:2 ფორლანი (62), 2:2 პერეა (81ა.კ.), 3:2 სორინი (89)

**ვილიარეალი:** რეინა, არუაბარენა, გონსალო, სორინი, ხავი ვენტა, რომანი, პენია (ხ. კაზორლა 61), ჯოსე ფონტი, მარკოს სენა, ფორლანი, გიარე (ხოსე მარი 61)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, პერეა, ა. ლოპესი, პაბლო, მოლინერო, კოლსა, ხორხე (ნანო 67), მარსელო სოსა, გრონხაიარი (ს. ბალესტა 84), იბაგასა, ფ. ტორესი

მწვრთნელი: სეზარ ფერანდო

გაფრთხილება: მარსელო სოსა, პაბლო, პერეა, ხორხე, გონსალო, გრონხაიარი, ჰ. ტორესი

მსაჯი: პერეს ლასა

21 000 მაყურებელი

მადრიდის „რეალმა" ვანდერლეი ლუშემბურგის წინამძღოლობით თავისი ძლევამოსილი სვლა შეწყვიტა. შაბათს, 19 თებერვალს, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ერნესტო ვალვერდეს „ბილბაომ" მასპინძლებს მატჩის გადარჩენის არანაირი შანსი არ დაუტოვა და ზედიზედ შვიდ თამაშში გამარჯვებული გუნდი ბეჭებზე დააგდო. დელ ორნოსა და ირიოლას გოლებით თეთრებს მხოლოდ მატჩი არ წაუგიათ, ახლა ამ 0:2-ის გამო ჩემპიონატის ცხრილში ლიდერ „ბარსელონასა" და მას შორის ქულათა სხვაობა მკვეთრად შეიდია და ვინძლო ლუშემბურგის ბიჭებს ამ სეზონში გაჩემპიონება უკვე ძალიან გაუჭირდეთ...

ბრაზილიელმა თავკაცმა „იუვენტუსთან" მომავალი ომისთვის ძალთა შესანახად ზიდანი, რონალდო და რაული პირველ ტაიმში მოედანზე არ გამოიყვანა. ვალვერდეს ქვეშევრდომებმა კი მართლაც შესანიშნავად ითამაშეს. „ატლეტიკოს" უცხო არენისადმი ჩვეული შიში არ ეტყობოდა, პირიქით, ირაოლამ, დელ ორნომ, ორბაისმა და იესტემ მადრიდულ იჩნადს ბევრჯერ გაუხეთქეს გული. შესვენებამდე ირაოლამ გოლიც შეაგდო, თუმცა მსაჯმა ეს ვერ შენიშნა.

მატჩის განახლებიდან რამდენიმე წუთში ორბაისმა დელ ორნოს დიდებული პასი გადასცა და ამ უკანასკნელმაც ლამაზი თავურით შეაგდო. 66-ე წუთზე ფიგუს თავგანწირული, თუმცა უშედეგო იერიშის შემდეგ ლუშემბურგის „ბერნაბეუზე" მთელი თავისი მძიმე არტილერია გამოიყვანა —რაულ ბრავო, ფიგუ და ოუენი ზიდანმა, რაულმა და რონალდომ შეცვალეს. მიუხედავად ამისა, „რეალმა" ბურთი კვლავ საკუთარ კარში მიიღო 73-ე წუთზე. ირაოლამ ისევ გაიტანა, ოღონდ ამჯერად ბურთი ბადეში თვალსაჩინოდ შევარდა და მსაჯმაც შესაბამისად ჩათვალა. „ცუდია, რომ დავმარცხდით, თუმცა როდესმე ხომ უნდა წაგვეგო. ახლა „იუვენტუსთან" სამშაბათის მატჩზე ვიფიქრებთ" — განაცხადა ნამატჩევს „რეალის" დამრიგებელმა.

ხოლო იმ დროს, როცა მადრიდელი იჩნადა „სანტიაგო ბერნაბეუს" დაღონებული ტოვებდა, კატალონიელი ფანები გამარჯვებას ღრიანცელით ულობდნენ — რაიკარდის „ბარსამ" „მალიორკას" უმასპინძლა და დეკოს ორი გოლის წყალობით უპირატესობა 3 ქულა მიიღო. როგორც უკვე მოგახსენეთ, „კამპ ნოუს" ბიჭები კვალში ჩამდგარ კასტილიელებს კვლავ 7 საფეხურით ასცდნენ თუმც პირველ ტაიმში დიდი შიშიანობაც იყო — მეთერთმეტე წუთზე მასპინძელთა საგარეშოში პუიოლისა და ლუის გარსიას ჭიდაობა ჩანელტით დასრულდა, ოღონდ გარსიასვე დარტყმა „ბარსას" მეკარე ვიქტორ ვალდესმა მოიგერია. კატალონიელთაგან გამარჯვების ვაჟები როგორც გითხარით, დეკომ შეაგდო — პირველი საკმაოდ შორეული დარტყმით, ხოლო მეორე მარჯვენა ფლანგიდან ჩინებული იერიშის შემდეგ.

„შეიდქრული ინტერვალი „რეალთან" ჯერ არაფერს ნიშნავს. წინ კიდევ ბევრი თამაში გველოდება და ლიდერობის შესანარჩუნებლად მაქსიმალური მობილიზება გვმართებს" — ფრთხილად თქვა რაიკარდმა კატალონიური ამბის ერთ-ერთ ზოდსაც აღვნიშნავთ — თამაშის წინ სამეულ ეტოოს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზით დააჯილდოვეს, საპატიო თასი კი ლაურეატს საკუთრივ მამამ გადასცა...

სან-სებასტიანის „სოსიედადმა" „სევილიას" ძარღვ კოვაჩევიჩის გოლით 1:0 მოუგო. ხელიხმრულმა ზასკებმა ამ გამარჯვებით პრიმერას ცხრილში ადგილი გაიმყარეს, მაშინ, როდესაც ანდალუზიელებს ოთხეულში დასარჩენად ბევრი ხელფორთი მოუწევს.

**ლადო ხომერიკი**

## სეგუნდადივიზიონი XXV ტური

**ალმერია 0:1 მალაგა B**

0:1 გეიხო (42)

**ტერასა 0:1 ელჩე**

0:1 ნინო (69)

**პონტევედრა 3:0 ვალიადოლიდი**

1:0 კაპდევილა (32), 2:0 ხ. როდრიგესი (44), 3:0 კარლესი (76)

**სიუდად მურსია 0:1 ტენერიფე**

0:1 კეკო (70)

**სპორტინგი 3:2 ფეროლი**

0:1 კარლოსი (45), 0:2 ბერმეხო (48), 1:2 სამუელი (63), 2:2 ბაბინი (77), 3:2 სამუელი (84)

**ალავესი 2:3 მურსია**

0:1 ხუანმა (14), 1:1 ეპიტიე (15), 2:1 ო. ტელესი (48), 2:2 აკიარი (51), 2:3 ი. ალონსო (74პ)

**ლეიდა 2:1 სალამანკა**

1:0 კრისანტი (2), 1:1 ბრიტო (67), 2:1 ი. გარსია (69)

**ხიმნასტიკი 1:1 კადისი**

1:0 ბოლო (27), 1:1 ოლი (48)

**ეულვა 1:2 სოლტა**

0:1 ხონათანი (28), 1:1 უჩე (65), 1:2 ვრიზასი (82)

**ხერესი 1:1 კორდობა**

1:0 დ. პინო (13), 1:1 ვილა (90)

**ეიბარი 0:0 პოლი ეხიდო**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კადისი | 25 | 14 | 5 | 6 | 41:19 | 47 |
| სელტა | 25 | 12 | 10 | 3 | 33:21 | 46 |
| ელჩე | 25 | 13 | 6 | 6 | 34:23 | 45 |
| ეიბარი | 25 | 13 | 6 | 6 | 31:23 | 45 |
| ალავესი | 25 | 12 | 6 | 7 | 38:29 | 42 |
| ვალიადოლიდი | 25 | 12 | 6 | 7 | 36:29 | 42 |
| ეულვა | 25 | 11 | 7 | 7 | 26:17 | 40 |
| ხერესი | 25 | 10 | 9 | 6 | 24:20 | 39 |
| ხიმნასტიკი | 25 | 10 | 6 | 9 | 25:24 | 36 |
| ლეიდა | 25 | 10 | 5 | 10 | 30:30 | 35 |
| ფეროლი | 25 | 8 | 10 | 7 | 38:30 | 34 |
| სპორტინგი | 25 | 8 | 10 | 7 | 26:24 | 34 |
| ტენერიფე | 25 | 8 | 10 | 7 | 25:29 | 34 |
| მალაგა B | 25 | 8 | 8 | 9 | 21:28 | 32 |
| პოლი ეხიდო | 25 | 7 | 10 | 8 | 24:25 | 31 |
| ალმერია | 25 | 7 | 7 | 11 | 20:26 | 28 |
| ტერასა | 25 | 8 | 4 | 13 | 28:35 | 28 |
| სალამანკა | 25 | 7 | 5 | 13 | 31:36 | 26 |
| მურსია | 25 | 7 | 5 | 13 | 20:37 | 26 |
| სიუდად მურსია | 25 | 4 | 11 | 10 | 27:39 | 23 |
| კორდობა | 25 | 4 | 5 | 16 | 14:30 | 17 |
| პონტევედრა | 25 | 3 | 8 | 14 | 22:40 | 17 |

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 24 | 18 | 3 | 3 | 49:17 | 32 | 57 | 13 | 11 | 1 | 1 | 28:6 | 22 | 34 | 11 | 7 | 2 | 2 | 21:11 | 10 | 23 |
| 2 | რეალი | 24 | 16 | 2 | 6 | 43:19 | 24 | 50 | 13 | 10 | 0 | 3 | 28:8 | 20 | 30 | 11 | 6 | 2 | 3 | 15:11 | 4 | 20 |
| 3 | ბეტისი | 24 | 11 | 8 | 5 | 39:28 | 11 | 41 | 13 | 9 | 3 | 1 | 24:12 | 12 | 30 | 11 | 2 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 11 |
| 4 | სევილია | 24 | 12 | 5 | 7 | 28:25 | 3 | 41 | 11 | 8 | 2 | 1 | 16:9 | 7 | 26 | 13 | 4 | 3 | 6 | 12:16 | -4 | 15 |
| 5 | ვილიარეალი | 24 | 11 | 7 | 6 | 41:22 | 19 | 40 | 12 | 8 | 3 | 1 | 23:6 | 17 | 27 | 12 | 3 | 4 | 5 | 18:16 | 2 | 13 |
| 6 | ვალენსია | 24 | 10 | 8 | 6 | 36:24 | 12 | 38 | 11 | 7 | 2 | 2 | 20:10 | 10 | 24 | 13 | 3 | 6 | 4 | 16:14 | 2 | 14 |
| 7 | ესპანიოლი | 24 | 11 | 5 | 8 | 30:27 | 3 | 38 | 11 | 7 | 3 | 1 | 17:8 | 9 | 24 | 13 | 4 | 2 | 7 | 13:19 | -6 | 14 |
| 8 | ბილბაო | 24 | 9 | 8 | 7 | 39:32 | 7 | 35 | 12 | 7 | 4 | 1 | 26:15 | 11 | 25 | 12 | 2 | 4 | 6 | 13:17 | -4 | 10 |
| 9 | ატლეტიკო | 24 | 9 | 6 | 9 | 26:23 | 3 | 33 | 11 | 7 | 3 | 1 | 15:8 | 7 | 24 | 13 | 2 | 3 | 8 | 11:15 | -4 | 9 |
| 10 | დეპორტივო | 24 | 7 | 11 | 6 | 33:34 | -1 | 32 | 11 | 3 | 6 | 3 | 18:20 | -2 | 15 | 13 | 4 | 5 | 3 | 15:14 | 1 | 17 |
| 11 | ოსასუნა | 24 | 8 | 6 | 10 | 34:39 | -5 | 30 | 12 | 6 | 4 | 2 | 21:13 | 8 | 22 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:26 | -13 | 8 |
| 12 | სოსიედადი | 24 | 8 | 5 | 11 | 30:34 | -4 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 13:17 | -4 | 18 | 12 | 3 | 2 | 7 | 17:17 | 0 | 11 |
| 13 | სარაგოსა | 24 | 8 | 5 | 11 | 29:38 | -9 | 29 | 11 | 7 | 0 | 4 | 19:16 | 3 | 21 | 13 | 1 | 5 | 7 | 10:22 | -12 | 8 |
| 14 | მალაგა | 24 | 8 | 4 | 12 | 19:32 | -13 | 28 | 11 | 7 | 1 | 3 | 14:15 | -1 | 21 | 13 | 1 | 3 | 8 | 5:17 | -12 | 7 |
| 15 | ხეტაფე | 24 | 7 | 6 | 11 | 22:27 | -5 | 27 | 13 | 7 | 2 | 4 | 16:10 | 6 | 23 | 11 | 0 | 4 | 7 | 6:17 | -11 | 4 |
| 16 | ლევანტე | 24 | 7 | 6 | 11 | 25:36 | -11 | 27 | 12 | 5 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 18 | 12 | 2 | 3 | 7 | 12:22 | -10 | 9 |
| 17 | რასინგი | 24 | 6 | 6 | 12 | 22:36 | -14 | 24 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:15 | 0 | 17 | 13 | 1 | 3 | 9 | 7:21 | -14 | 7 |
| 18 | ალბასეტე | 24 | 5 | 8 | 11 | 22:34 | -12 | 23 | 11 | 3 | 5 | 3 | 9:13 | -4 | 14 | 13 | 2 | 3 | 8 | 13:21 | -8 | 9 |
| 19 | მალიორკა | 24 | 5 | 6 | 13 | 23:39 | -16 | 21 | 11 | 3 | 3 | 5 | 16:18 | -2 | 12 | 13 | 2 | 3 | 8 | 7:21 | -14 | 9 |
| 20 | ნუმანსია | 24 | 4 | 5 | 15 | 15:39 | -24 | 17 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 13 | 13 | 1 | 1 | 11 | 6:27 | -21 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 17 |
| რ. ოლივეირა (ბეტისი) | 15 |
| ფორლანი (ვილიარეალი) | 15 |
| ნიჰატი (სოსიედადი) | 13 |
| რონალდო (რეალი) | 11 |
| ბაპტისტა (სევილია) | 11 |
| რიკელმე (ვილიარეალი) | 11 |

### XXV ტური

26-27 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ესპანიოლი | : | ალბასეტე |
| ნუმანსია | : | ბარსელონა |
| ვალენსია | : | ბეტისი |
| სევილია | : | რასინგი |
| დეპორტივო | : | რეალი |
| ატლეტიკო | : | სოსიედადი |
| ბილბაო | : | ხეტაფე |
| მალიორკა | : | ლევანტე |
| სარაგოსა | : | ვილიარეალი |
| ოსასუნა | : | მალაგა |

# იტალია

## სერია A. XXV ტური

### მილანი 1:0 კალიარი

1:0 სერჟინიო (92)
მილანი: დიდა, კაფუ, სტამი, მალდინი, პანკარო, ბროკი (სერჟინიო 57), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, ტომასონი (კაკა 71), შევჩენკო (კრესპო 14)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაძევება: პანკარო (76)
კალიარი: იეცო, დ. ლოპესი, ბეგა, ლორია, აგოსტინა, აბეიხონი (სუაცო 81), კონტი, გობი, ესპოზიტო, ძოლა (დელ ნევო 75), ლანგელა (პისანო 89)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: პანკარო, მალდინი, სუაზო
გაძევება: პანკარო (71), აგოსტინი (92)
მსაჯი: ტომბოლინი
მაყურებელი

### მესინა 0:0 იუვენტუსი

მესინა: სტორარი, ზორო, რეზაეი, კრისტიანე, პარიზი, ილიევი (ჯამპა 71), ძანკი, დაგოსტინო (რაფაელი 71), დონატი, ძამპანა (დალტერიო 94), დი ნაპოლი
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა (ზალაიეტა 61), ტურამი, მონტერო (ფერარი 75), კანავარო, ძამბროტა, კმორანეზი, ემერსონი, ბლაზი (ტაკინარდი 89), დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ემერსონი, პარიზი, ჯამპა, სტორარი, იბრაჰიმოვიჩი
მსაჯი: ფარინა
მაყურებელი

### უდინეზე 1:1 ინტერი

0:1 ვერონი (57), 1:1 ჯიოტომი (91)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, ფელიპე (მაური 82), სენსინი, ძენონი, პიზარო, პაციენცა, იანკულოვსკი (პიერი 91), დი მიკელე, ფავა (ჯოიტომი 82), დი ნატალე
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, კილი, გონსალესი (დავიდსი 65), ვერონი (ზე პარია 89), კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, ვიერი (რეკობა 60)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ვერონი, პიზარო
მსაჯი: პაპარესტა

### სიენა 1:0 ფიორენტინა

1:0 ფლო (6)
სიენა: მანინგერი, ჩირილო, ტუდორი, კოლონეზე, ალბერტო (ფოლიო 88), ვერგასოლა, დავერსა, პასკუალე, ტადეი, ფლო, კიეზა (არჯილი 83)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
ფიორენტინა: ლუპატელი, დელი კარი, ვიალი, დანიელი, არიატი, დონადელი, მარესკა (რიგანო 80), კიელინი, ნაკატა (იორგენსენი 46), ნიკოლი, ბოჟინოვი (პაცინი 54)
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: ალბერტი, ნაკატა, კოლონეზე, არიატი, ჩირილო
გაძევება: პასკუალე (35)
მსაჯი: რაკალბუტო
14 000 მაყურებელი

### კიევო 0:1 ლაციო

0:1 როკი (76)
კიევო: მარკეჯანი (მარკონი 46), მორო, მანდელი, მემა, მალაგო (კოსატო 79), ლანა, სემიოლი, ბრიგი, ძანკეტა (ბარონიო 43), პელისიერი, ტირიბოკი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ლაციო: სერენი, ოდო, სივილია, კოუტუ, ძაური, ა. ფილიპინი, ჯანიკედა, ლიბერანი, ე. ფილიპინი, ბაცანი (დაბო 88), როკი (პანდევი 81)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

# მილანური ბოლოწამოზანა



მილანი — კალიარი. სერჟინიომ სარდინიელებს ცივი შხაპი გადაავლო

გაფრთხილება: ბრიგი, სივილია, მორო, მალაგო, როკი
გაძევება: ბრიგი (81), ბარონიო (84), კოუტუ (87)
მსაჯი: როკი
8 082 მაყურებელი

### ატალანტა 2:0 ბოლონია

1:0 მარკოლინი (24), 2:0 მაკინვა (61)
ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ნატალი, სალა, ფოტა, მინგაცინი, ბერნარდინი, მარკოლინი, ბელინი, ლაცარი (მონტოლივო 80), მაკინლა
მწვრთნელი: დელიო როსი
ბოლონია: პალუკა, ლეგროტალიე, პეტრუცი (დაინო 65), ტორიზი, ნერვო, ზაგორაკისი, კოლუჩი (ლოვიზო 70), ჯუნტი, კაპუანო, ფერანტე (დელა როკა 65), ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ზაგორაკისი
მსაჯი: პალანკა
10 000 მაყურებელი

### სამპდორია 3:2 რეჯინა

1:0, 2:0 ფლაკი (8, 45), 2:1 კოლუჩი (49), 3:1 ფლაკი (70პ), 3:2 ტედესკო (88)
სამპდორია: ანტონიოლი, ძენონი, კასტელინი, პავანი, პიზანო, გასბარონი (ედუსეი 82), ვოლპი, პალომბო, ტონეტო, ფლაკი, კუტუზოვი (დონი 62)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
რეჯინა: სოვიერო, კანარსა (ძამბონი 67), დე როსა, ფრანჩესკინი, მესტო, ბუდიანსკი (ბორიელო 46), მოცარტი, ბალესტრი, პარედესი, კოლუჩი (ტედესკო 83), ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ვოლპი, ბორიელო, პავანი, პალომბო, კოლუჩი, ბონაცოლი
მსაჯი: დონდარინი
21 000 მაყურებელი

### რომა 3:0 ლივორნო

1:0 მონტელა (8), 2:0 პეროტა (70), 3:0 ტოტი (86)
რომა: პელიცოლი, პანუჩი, ფერარი, დელასი, კუფრე, პეროტა, დაკური, დე როსი, მანსინი, ტოტი, მონტელა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ლივორნო: ამელია, მელარა, გრანდონი, გალანტე, პფერცელი, გრაუზო, პასონი, დოგა (ჯალომბარდო 67), ვიდიგალი (ვიჯანი 68), პროტი, ლუკარელი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: გრაუზო, ტოტი, ფერარი, გალანტე, პფერცელი, პეროტა
მსაჯი: გაბრიელე
45 000 მაყურებელი

### პალერმო 3:2 ლეჩე

0:1 კონანი (6), 1:1, 2:1 სანტანა (42, 45), 2:2 კონანი (67), 3:2 ტონი (76)
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, გროსო, ბარონე, კორინი, სანტანა, ძაული (კონტე 79), ბრიენცა (გონსალესი 61), ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ლეჩე: სიჩინიანი, კასეტი (ანჯელო 86), დიამუტენი, სტოვინი, რული, ჯაკომაცი, ლედესმა, დალაბონა, კონანი, ვუჩინიჩი, პინარდი (ვალდესი 73)
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
გაფრთხილება: ბარონე, ლედესმა, ტონი, ძაული, გონსალესი, რული
მსაჯი: დე სანტისი
35 000 მაყურებელი

### პარმა 2:1 ბრეშა

1:0 ჯილარდინო (23პ), 2:0 მორფეო (49), 2:1 დი ბიაჯო (51პ)
პარმა: ფრეი, კარდონე (პ. კანავარო 81), ბონერა, კონტინი, ბეტარინი, მარკიონი, სიმპლიციო, ბოლანო (ოლივე 56), ბრეშიანო, მორფეო (ვინიაროლი 80), ჯილარდინო
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
ბრეშა: კასტელაცი, ძობოლი, ადანი, დონიცი, სტანკიავიჩუსი, სკული, დი ბიაჯო, გუანა, ვომე (მანინი 65), კარაჩოლო, დელვეკიო (ვონლანტენი 84)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: გუანა, ბოლანო, დელვეკიო, კარდონე, მორფეო
გაძევება: დომიცი (4)
მსაჯი: კოლინა
12 000 მაყურებელი

„მილანმა" „კალიარისთან" მატჩის ბოლო 20 წუთი უმცირესობაში ჩაატარა, მაგრამ გამარჯვება მაინც მას დარჩა — სერჟინიომ მსაჯის მეორე წამატებულ წუთზე ბურთი სარდინიელთა კარის მაღალ კუთხეში გაიტანა და ამ ერთადერთი გოლით სამი ქულა მოიპოვა. ხოლო, ვინაიდან „იუვენტუსმა" სიცილიაზე მესინასთან ფრე, 0:0 ითამაშა, დღეს სერია A-ს უკვე ორი თანაბარქულიანი ლიდერი ჰყავს.

დავუბრუნდეთ მილანელების ერთადერთ გოლს. შეცდომა სარდინიელმა პისანომ დაუშვა, ფეხი დაუსხლტა, რის გამოც ბურთი კაფუმ იხელთა და სერჟინიოს ჩააწოდა, რომელმაც, საბჭოურად რომ ვთქვათ, ცხრიანში შეაგდო. „კალიარის" ფეხბურთელებმა, რომელიც „სან სიროზე" ფრესთან ძალიან ახლოს იყვნენ, ეპიზოდი გააპროტესტეს, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ პისანომ ბურთი ხელის კვრის გამო დაკარგა, მაგრამ ამან ბუნებრივია, გოლი არ გააუქმა და მეტიც, ზედმეტი ღელვა და პროტესტი აგოსტინის წითელ ბარათადაც დაუჯდა.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ 76-ე წუთის შემდეგ მასპინძლები უმცირესობაში დარჩნენ — ტომბოლინიმ მოედნიდან ჯუზეპე პანკარო გააძევა. ეს გახლდათ ამ მატჩში პანკაროს მეორე ყვითელი. მან ესპოზიტო წააქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდგომ შეხვედრაში ანუ მილანურ დერბიში ის ველარ ითამაშებს, ხოლო ეს, თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ მილანურ დერბიში ითამაშებს კახა კალაძე.

თუმცა კალაძის თემა გადავდოთ. დავუბრუნდეთ „სან სიროზე" ჩატარებულ შეხვედრას, რომლის ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი იყო მე-14 წუთზე ანდრეი შევჩენკოსა და სიმონე ლორიას თავებით შეჯახება, რის შედეგადაც „მილანის" მთავარი ვარსკვლავი იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა და სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გაექანებინათ. უფრო ვრცელ ცნობას შევჩენკოს უიღბლო ინციდენტის შესახებ ამავე „სარბიელის" სხვა გვერდზე წაიკითხავთ, აქ კი სიცილიაზე, „იუვენტუსის" უგოლო მგზავრობას გადავავლოთ თვალი.

„სტადიო სან ფილიპოზე" ორივე გუნდმა პირველ ტაიმში ძელს გაარტყა ბურთი. საერთოდაც, უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა ფრიად ფიცხელი და დაძაბული გამოდგა, რაც სტატისკიკის მიხედვითაც მოსალოდნელი გახლდათ — მართალია სიცილიას „მესინა" — „იუვენტუსისთვის" აგერ უკვე ორმოცი წელიწადია არ უმასპინძლია, ტურინელები იქიდან შინ გამარჯვებულები არასდროს გაბრუნებულან.

სტუმრებს არ ჰყავდათ დავიდ ტრეზეგე და პაველ ნედვედი, რამაც ფაბიო კაპელო 3-5-2 სისტემაზე გადართო. თავდამსხმელთა წყვილი გახლდათ ალესანდრო დელ პიერო და ზლატან იბრაჰიმოვიჩი.

ხოლო „უდინეში" მილანის მეორე გუნდმა, „ინტერმა" 1:1 ითამაშა. ცხადია, ვინაიდან საუბარია „ინტერზე", ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დავითვალოთ ფრეები. შესაბამისად, ფრე „უდინეზესთან" გახლდათ რობერტო მანჩინის გუნდის მეთექვსმეტე „ყაიმი", თუმცა, ვფიქრობთ აქ ირონია ზედმეტია, რადგან „ინტერი" 91-ე წუთამდე იგებდა...

ანგარიში 57-ე წუთზე ხუან სებასტიან ვერონმა გახსნა. უდინელთა მეკარემ, დე სანქტისმა ერთადერთი, რაც მოახერხა გაოგნება იყო — არგენტინელის მიერ 20 მეტრიდან გასროლილმა ბურთმა ნესტორ სენსინის სხეულს შემოუარა და ბადეში შეფრინდა.

ასე და ამგვარად, „ინტერს" თავი თითქმის ქუდში ჰქონდა, როდესაც მასპინძლების გაძლიერებულმა ზეწოლამ შედეგი გამოიღო და სენსინის თავურით ბურთი შეცვლაზე შესულ ჯოიტომს ჩაუვარდა კარს უშუალო სიახლოვეს. ახალგაზრდა შვედმა ყოყმანის გარეშე გახსნა თავისი იტალიური ანგარიში.

**ბაჩუნა ძიდია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მილანი | 25 | 16 | 6 | 3 | 43:16 | 27 | 54 | 13 | 8 | 3 | 2 | 29:12 | 17 | 27 | 12 | 8 | 3 | 1 | 14:4 | 10 | 27 |
| 2 | იუვენტუსი | 25 | 16 | 6 | 3 | 40:15 | 25 | 54 | 12 | 9 | 2 | 1 | 21:7 | 14 | 29 | 13 | 7 | 4 | 2 | 19:8 | 11 | 25 |
| 3 | ინტერი | 25 | 9 | 16 | 0 | 47:30 | 17 | 43 | 12 | 6 | 6 | 0 | 24:12 | 12 | 24 | 13 | 3 | 10 | 0 | 23:18 | 5 | 19 |
| 4 | უდინეზე | 25 | 12 | 5 | 8 | 34:24 | 10 | 41 | 12 | 6 | 3 | 3 | 19:9 | 10 | 21 | 13 | 6 | 2 | 5 | 15:15 | 0 | 20 |
| 5 | სამპდორია | 25 | 12 | 5 | 8 | 29:20 | 9 | 41 | 13 | 6 | 3 | 4 | 13:9 | 4 | 21 | 12 | 6 | 2 | 4 | 16:11 | 5 | 20 |
| 6 | პალერმო | 25 | 10 | 9 | 6 | 26:19 | 7 | 39 | 12 | 7 | 3 | 2 | 14:7 | 7 | 24 | 13 | 3 | 6 | 4 | 12:12 | 0 | 15 |
| 7 | რომა | 25 | 10 | 8 | 7 | 45:36 | 9 | 38 | 12 | 6 | 5 | 1 | 27:16 | 11 | 23 | 13 | 4 | 3 | 6 | 18:20 | -2 | 15 |
| 8 | კალიარი | 25 | 9 | 6 | 10 | 33:39 | -6 | 33 | 12 | 8 | 3 | 1 | 21:11 | 10 | 27 | 13 | 1 | 3 | 9 | 12:28 | -16 | 6 |
| 9 | ბოლონია | 25 | 8 | 8 | 9 | 26:25 | 1 | 32 | 12 | 6 | 3 | 3 | 17:11 | 6 | 21 | 13 | 2 | 5 | 6 | 9:14 | -5 | 11 |
| 10 | ლეჩე | 25 | 8 | 8 | 9 | 44:45 | -1 | 32 | 12 | 6 | 3 | 3 | 24:17 | 7 | 21 | 13 | 2 | 5 | 6 | 20:28 | -8 | 11 |
| 11 | რეჯინა | 25 | 8 | 8 | 9 | 26:29 | -3 | 32 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:15 | 1 | 21 | 12 | 2 | 5 | 5 | 10:14 | -4 | 11 |
| 12 | ლაციო | 25 | 8 | 6 | 11 | 32:36 | -4 | 30 | 13 | 4 | 4 | 5 | 19:19 | 0 | 16 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:17 | -4 | 14 |
| 13 | ლივორნო | 25 | 8 | 6 | 11 | 26:33 | -7 | 30 | 13 | 7 | 2 | 4 | 15:12 | 3 | 23 | 12 | 1 | 4 | 7 | 11:21 | -10 | 7 |
| 14 | მესინა | 25 | 7 | 8 | 10 | 29:39 | -10 | 29 | 12 | 6 | 4 | 2 | 17:14 | 3 | 22 | 13 | 1 | 4 | 8 | 12:25 | -13 | 7 |
| 15 | კიევო | 25 | 7 | 7 | 11 | 21:36 | -15 | 28 | 13 | 5 | 4 | 4 | 12:13 | -1 | 19 | 12 | 2 | 3 | 7 | 9:23 | -14 | 9 |
| 16 | ფიორენტინა | 25 | 6 | 8 | 11 | 23:32 | -9 | 26 | 12 | 5 | 3 | 4 | 17:13 | 4 | 18 | 13 | 1 | 5 | 7 | 6:19 | -13 | 8 |
| 17 | პარმა | 25 | 6 | 8 | 11 | 27:40 | -13 | 26 | 13 | 5 | 6 | 2 | 18:14 | 4 | 21 | 12 | 1 | 2 | 9 | 9:26 | -17 | 5 |
| 18 | სიენა | 25 | 4 | 13 | 8 | 24:35 | -11 | 25 | 13 | 2 | 8 | 3 | 12:18 | -6 | 14 | 12 | 2 | 5 | 5 | 12:17 | -5 | 11 |
| 19 | ბრეშა | 25 | 6 | 5 | 14 | 18:31 | -13 | 23 | 13 | 3 | 3 | 7 | 8:14 | -6 | 12 | 12 | 3 | 2 | 7 | 10:17 | -7 | 11 |
| 20 | ატალანტა | 25 | 3 | 8 | 14 | 19:32 | -13 | 17 | 13 | 3 | 6 | 4 | 13:13 | 0 | 15 | 12 | 0 | 2 | 10 | 6:19 | -13 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 19 |
| შევჩენკო (მილანი) | 14 |
| ადრიანო (ინტერი) | 14 |
| ჯილარდინო (პარმა) | 13 |
| ესპოზიტო (კალიარი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 12 |

### XXVI ტური

26-27 თებერვალი

| | |
|---|---|
| კალიარი | ატალანტა |
| რეჯინა | კიევო |
| ბოლონია | ლივორნო |
| ლეჩე | მესინა |
| ინტერი | მილანი |
| ლაციო | პარმა |
| პალერმო | რომა |
| ბრეშა | სამპდორია |
| იუვენტუსი | სიენა |
| ფიორენტინა | უდინეზე |

## სერია B

### XXVII ტური

**მოდენა 0:0 პესკარა**

**არეცო 1:2 ტერნანა**

0:1 მ. ვიერი (18), 1:1 ჯენტილე (59), 1:2 ა. სალგადო (90)

**ასკოლი 1:2 კატანია**

1:0 ბიანკო (36ს.კ.), 1:1 ჯედა (63პ), 1:2 სერაფინი (88)

**ბარი 1:0 ვერონა**

1:0 დიონიჯი (23)

**კატანძარო 0:1 ალბინოლეფე**

0:1 არაბონი (40)

**ჩეზენა 1:1 ვენეცია**

1:0 კონფალონე (44), 1:1 ალეგრეტი (57)

**ტორინო 1:0 კროტონე**

1:0 კონტილიო (1)

**ტრევიზო 2:0 ტრიესტინა**

1:0 რეჯინალდო (42), 2:0 ბარეტო (90)

**ემპოლი 0:0 პიაჩენცა**

**ვიჩენცა 2:2 ჯენოა**

1:0 შვოკი (45), 1:1 მოსკარდი (72ს.კ.), 1:2 დ. მილიტო (81), 2:2 ვანოლი (90)

**პერუჯა — სალერნიტანა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 27 | 13 | 11 | 3 | 48:27 | 50 |
| ტორინო | 27 | 14 | 5 | 8 | 32:23 | 47 |
| ემპოლი | 27 | 12 | 10 | 5 | 37:22 | 46 |
| ტრევიზო | 27 | 13 | 6 | 8 | 32:27 | 45 |
| ვერონა | 27 | 13 | 5 | 9 | 47:33 | 44 |
| პერუჯა | 26 | 12 | 8 | 6 | 33:22 | 44 |
| ასკოლი | 27 | 11 | 8 | 8 | 37:35 | 41 |
| კატანია | 27 | 9 | 11 | 7 | 29:30 | 38 |
| ჩეზენა | 27 | 10 | 8 | 9 | 33:35 | 38 |
| ალბინოლეფე | 27 | 10 | 7 | 10 | 37:32 | 37 |
| ტერნანა | 27 | 9 | 10 | 8 | 32:32 | 37 |
| პიაჩენცა | 27 | 11 | 4 | 12 | 29:32 | 37 |
| ვიჩენცა | 27 | 10 | 6 | 11 | 42:42 | 36 |
| ბარი | 27 | 8 | 11 | 8 | 26:26 | 34 |
| მოდენა | 27 | 10 | 6 | 11 | 28:29 | 32 |
| პესკარა | 27 | 7 | 11 | 9 | 25:36 | 32 |
| არეცო | 27 | 6 | 13 | 8 | 37:35 | 31 |
| ტრიესტინა | 27 | 8 | 6 | 13 | 27:38 | 30 |
| სალერნიტანა | 26 | 7 | 7 | 12 | 33:40 | 28 |
| კროტონე | 27 | 6 | 8 | 13 | 26:34 | 23 |
| ვენეცია | 27 | 4 | 9 | 14 | 20:35 | 21 |
| კატანძარო | 27 | 5 | 6 | 16 | 24:49 | 21 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „კროტონეს" — 3 და „ბარის" — 1 ქულა*

## სერია C1/A

### XXV ტური

კომო — აჩირეალე 1:1; კრემონეზე — ლუმეცანე 2:0; ლუკეზე — პავია 1:2; ნოვარა — ტორესი 1:1; პისტოიეზე — სპეცია 2:1; პრატო — ფანდრია 1:1; სანჯოვანეზე — პიზა 0:1; ვიტორია — მანტოვა 1:3. გროსეტო — პრო პატრია დღეს გაიმართება

## სერია C1/B

### გადადებული მატჩები

სპალ — ფერმანა 1:0; აველინო — ფოჯა 4:2; კიეტი — ჩიტადელა 0:1; ტერამო — რიმინი 2:2

# შევა არ იქნება



„მილანის" ლიდერი ანდრეი შევჩენკო ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩს ვერ ითამაშებს „მანჩესტერის" წინააღმდეგ.

სერია A-ს ბოლო ტურის შეხვედრაში შევჩენკო საჰაერო ორთაბრძოლის დროს თავით შეასკდა „კალიარის" მცველს სიმონე ლორიას ლაწვის ძვალი გაუტყდა და თვალის ბუდე დაუზიანდა. შევჩენკომ 11-ე წუთზე შეწყვიტა თამაში.

„მილანის" განცხადებით, მთავარმეგოლის მომჯობინებას 10-12 დღე სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შევა, არათუ „მანჩესტერის", „ინტერის" წინააღმდეგაც ვერ ითამაშებს მომავალ უქმეებზე.

# სამკუთხედური ამბები

## ბაჭია ჩიკიზე გაბრაზდა



ხავიერ სავიოლა

**ფრანგმა** ნახევარმცველმა ოლივიე დაკურმა მომავალ ზაფხულს ეგებ „რომა" დატოვოს და „ბარსელონას" მაისურა მოირგოს. დედარომაელები თავის მხრივ ახალი ფეხბურთელების შეძენაზე ფიქრობენ. მათი მთავარი სამიზნე „მონაკოს" პერსპექტიული ფორვარდი ემანუელ ადებაიორია. ხოლო მის თანაგუნდელ ხავიერ სავიოლას „ნოუ კამპზე" დაბრუნება უნდა. ქვემოთ სწორედ ამ ამბებზე და ერთგვარ სამკუთხედზე გიამბობთ, რომელიც „ბარსელონას", „მონაკოსა" და „რომას" გარშემო შეიკრა.

ოლივიე დაკურის შეძენა იანვარშივე სურდა რამდენიმე ინგლისურ და ესპანურ კლუბს, მაგრამ მაშინ ფრანგმა „რომაში" დარჩენა არჩია. მას დედაქალაქელებთან მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, რის შემდეგაც თავისუფალი აგენტი გახდება. რომაელთა ხელმძღვანელები ჯერჯერობით ახალი შეთანხმების გაფორმებაზე არ ფიქრობენ და დაკურიც უკვე კლუბის ძიებაშია. გავრცელებული ცნობით, „ბარსას" თავკაც ფრანკ რაიკარდს მისი დამატება ძალიან უნდა და მხარეებმა მალე შეიძლება საბოლოოდ მოილაპარაკონ კიდეც.

„რომას" უფროსობა ფეხბურთელების შენარჩუნებაზე მეტად ახლების შეძენაზე ფიქრობს. „გლადიატორები" ბოვოს, ტადეის, ბონანისა და ლედესგანს უტრიალებენ, თუმცა მათ ყველაზე მეტად ემანუელ ადებაიორის შეძენა სდომებიათ. იგი „მონაკოს" სათადარიგო ფორვარდია, ბოლო დროს ჩინებულად თამაშობს და ძალიან პერსპექტიულია, სავარაუდოდ, სათანადო წინადადების შემთხვევაში 20 წლის თავდამსხმელი „სტადიო ოლიმპიკოზე" გადასვლას სიამოვნებით დათანხმდება.

ადებაიორის მეწყვილე ხავიერ სავიოლას კი „ბარსელონაში" დაბრუნება სწადია. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ კატალონიელთა ტექნიკურმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა განაცხადა, სავიოლას და რიკელმეს გუნდში დატოვებას არ ვაპირებთო. თუმცა „ბაჭია" ამას აინუნშიც არ აგდებს.

„პირველ რიგში მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ მე „ბარსელონას" ვეკუთვნი და კლუბის გამოცვლას არ ვაპირებ. ჩემს გეგმებში არც „მონაკოში" დარჩენა შედის და რაც მომავალი სეზონის „ვილიარეალში" ან სადმე სხვაგან გატარება. ზაფხულში „ნოუ კამპზე" დავბრუნდები და ყოველანაირად ვეცდები ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას. ვიცი, რაც განაცხადა ბეგირისტაინმა, მაგრამ ერთი კაცის სიტყვები არაფერს ცვლის. ასეთ შემთხვევაში საერთო აზრი და კლუბის მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებაა მთავარი" — დასძინა 23 წლის არგენტინელმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXII ტური

**ეშტორილი 3:2 პენაფიელი**
0:1 ვესლი (12), 1:1 ბუბა (39), 1:2 რობერტო (53), 2:2, 3:2 ვარგასი (72, 78)

**მარიტიმუ 0:0 ბეირა მარი**

**სეტუბალი 2:2 მორეირენსე**
1:0 ჟორჟინიო (7), 1:1 ორლანდო (17), 2:1 ბრუნო მორაეში (21), 2:2 ლომბა (56)

**ჟილ ვისენტე 0:1 აკადემიკა**
0:1 მარსელი (6)

**რიო ავე 2:2 ბოავიშტა**
1:0, 2:0 ევანდრო (7, 13), 2:1 ტონიტო (49), 2:2 ზე მანელი (86)

**ლეირია 0:0 სპორტინგი**

**ნასიონალი 1:0 ბრაგა**
1:0 ადრიანო (51)

**ბელენენსეში 0:1 პორტუ**
0:1 კოშტინია (48)

**ბენფიკა — გიმარაეში**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 11 | 8 | 3 | 27:14 | 41 |
| სპორტინგი | 22 | 11 | 6 | 5 | 46:27 | 39 |
| ბოავიშტა | 22 | 11 | 6 | 5 | 29:27 | 39 |
| ბენფიკა | 21 | 11 | 5 | 5 | 33:21 | 38 |
| ბრაგა | 22 | 10 | 7 | 5 | 29:16 | 37 |
| მარიტიმუ | 22 | 8 | 10 | 4 | 25:19 | 34 |
| რიუ ავე | 22 | 7 | 11 | 4 | 29:29 | 32 |
| სეტუბალი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:25 | 31 |
| გიმარაეში | 21 | 8 | 6 | 7 | 20:18 | 30 |
| ნასიონალი | 22 | 9 | 3 | 10 | 28:30 | 30 |
| ბელენენსეში | 22 | 8 | 4 | 10 | 32:28 | 28 |
| ლეირია | 22 | 6 | 10 | 6 | 20:22 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 6 | 5 | 11 | 22:26 | 23 |
| პენაფიელი | 22 | 7 | 2 | 13 | 23:39 | 23 |
| ეშტორილი | 22 | 6 | 4 | 12 | 26:34 | 22 |
| მორეირენსე | 22 | 4 | 9 | 9 | 20:32 | 21 |
| აკადემიკა | 22 | 5 | 4 | 13 | 16:30 | 19 |
| ბეირა მარი | 22 | 4 | 7 | 11 | 22:40 | 19 |

### II დივიზიონი. XXII ტური

ფეირენსე — გონდომარი 2:0; ავეში — ვარზიმი 0:0; ნავალი — ესპინიუ 2:1; პორტიმონენსე — ფელგეირაში 1:1; ფერეირა — ოლიალენსე 3:2; ამადორა — ალვერკა 3:0; ლეიშოეში — მარკუ 0:0; მაია — შავეში 4:0; სანტა კლარა — ოვაირენსე 2:0

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XXII ტური

**როზენდალი 2:0 ტილბურგი**
1:0 გრაафი (38), 2:0 ჰამონდი (90)

**პსვ 4:1 ნაიმეგენი**
1:0 ჯი-სუნგი (21), 2:0 ბისლი (45), 2:1 ბუტაჰარი (55), 3:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (71), 4:1 ოიერი (77)

**უტრეხტი 0:2 ფეიენოორდი**
0:1 კასტელენი (10), 0:2 კვიტი (57)

**აიაქსი 2:0 დენ ბოსხი**
1:0 რიდერი (90), 2:0 ბუქარი (90)

**ალკმაარი 1:1 როდა**
1:0 კლერი (26), 1:1 კაჰი (32)

**გრააფსხაპი 2:1 ჰერენვენი**
1:0 ბუკერინგი (48), 1:1 როზე (73), 2:1 ბუკერინგი (77)

**ვალვაიკი 1:0 ბრედა**
1:0 ჰოოგენდორფი (12)

**გრონინგენი 0:1 ტვენტე**
0:1 ნკუფო (14)

**ვიტესი 3:4 დენ ჰააგი**
1:0 იანსენი (31), 1:1 ოდენი (43), 2:1 იანსენი (57), 2:2 ოდენი (63), 2:3 სტროევე (70), 2:4 განი (77), 3:4 გლუშევიჩი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 22 | 17 | 4 | 1 | 58:13 | 55 |
| ალკმაარი | 22 | 15 | 6 | 1 | 50:15 | 51 |
| აიაქსი | 22 | 14 | 5 | 3 | 48:20 | 47 |
| ფეიენოორდი | 22 | 12 | 5 | 5 | 59:27 | 41 |
| უტრეხტი | 22 | 10 | 5 | 7 | 26:23 | 35 |
| ჰერენვენი | 22 | 10 | 5 | 7 | 38:37 | 35 |
| ვიტესი | 22 | 10 | 4 | 8 | 37:31 | 34 |
| ტვენტე | 22 | 9 | 4 | 9 | 28:27 | 31 |
| როდა | 22 | 8 | 6 | 8 | 39:35 | 30 |
| ვალვაიკი | 22 | 8 | 6 | 8 | 28:30 | 30 |
| ბრედა | 22 | 7 | 6 | 9 | 29:43 | 27 |
| გრონინგენი | 22 | 7 | 5 | 10 | 28:37 | 26 |
| ტილბურგი | 22 | 7 | 4 | 11 | 25:42 | 25 |
| დენ ჰააგი | 22 | 6 | 5 | 11 | 28:35 | 23 |
| ნაიმეგენი | 22 | 4 | 8 | 10 | 24:33 | 20 |
| გრააფსხაპი | 22 | 4 | 5 | 13 | 24:52 | 17 |
| როზენდალი | 22 | 4 | 2 | 16 | 23:52 | 14 |
| დენ ბოსხი | 22 | 2 | 3 | 17 | 11:51 | 9 |

### II დივიზიონი. XXII ტური

კამბური — მაასტრიხტი 2:0; ემენი — სპარტა 0:5; ექსელსიორი — ვოენდამი 1:2; ვოლენდამი — ეინდჰოვენი 3:1; იგლსი — სიტარდი 1:1; ჰაარლემი — ვენლო 0:2; ჰელმონდი — აპელდორნი 7:1; ოსი — ზვოლე 0:0

## ინგლისი

### ჩემპიონატი. XXXIII ტური

**პრესტონი 1:1 იფსვიჩი**
1:0 ნაგენტი (36), 1:1 ტ. მილერი (69)

**მილუოლი 0:1 სტოკი**
0:1 ჯონსი (15)

**როტერჰემი 1:3 დერბი**
1:0 ბატლერი (24პ), 1:1 რაზიკი (32), 1:2 ტადგეი (47), 1:3 იდიაკესი (77პ)

**რედინგი 1:2 ქოვენთრი**
1:0 ლ. ფერდინანდი (8), 1:1 მაკშეფრეი (63), 1:2 ს. ჯონი (72)

**ბრაიტონი 2:1 სანდერლენდი**
1:0 კარპენტერი (26), 2:0 მაკკამონი (43), 2:1 არკა (80)

**უიგანი 3:0 ლიდსი**
1:0 ელინგტონი (10), 2:0 ნ. რობერტი (56), 3:0 მახონი (75)

**ვესტ ჰემი 5:0 პლიმუთი**
1:0 ჰარვუდი (10პ), 2:0 მაკკორმიკი (26ს.კ.), 3:0 მაკვეი (40), 4:0, 5:0 შერინგემი (76, 85პ)

**ვულვზი 2:2 ჯილინგემი**
0:1 ჰენდერსონი (55), 1:1 კ. მილერი (60), 1:2 ფლინი (89), 2:2 კლარკი (90)

**ბარნლი — ძპრ გადაიდო**

**შეფილდი — ძრიუ გადაიდო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 33 | 19 | 9 | 5 | 61:39 | 66 |
| უიგანი | 33 | 18 | 9 | 6 | 59:24 | 63 |
| სანდერლენდი | 33 | 18 | 6 | 9 | 49:31 | 60 |
| დერბი | 33 | 16 | 6 | 11 | 49:41 | 54 |
| პრესტონი | 33 | 15 | 8 | 10 | 47:44 | 53 |
| ვესტ ჰემი | 32 | 15 | 6 | 11 | 46:39 | 51 |
| რედინგი | 33 | 14 | 9 | 10 | 39:32 | 51 |
| შეფილდი | 31 | 13 | 9 | 9 | 39:39 | 48 |
| მილუოლი | 33 | 13 | 8 | 12 | 35:30 | 47 |
| ლიდსი | 35 | 12 | 11 | 12 | 40:39 | 47 |
| ბარნლი | 31 | 11 | 11 | 9 | 26:25 | 44 |
| სტოკი | 32 | 12 | 8 | 12 | 20:22 | 44 |
| ქუინზ პარკი | 32 | 13 | 5 | 14 | 40:44 | 44 |
| ქრიუ | 32 | 11 | 9 | 12 | 53:55 | 42 |
| ბრაიტონი | 34 | 11 | 8 | 15 | 29:43 | 41 |
| ლესტერი | 31 | 9 | 13 | 9 | 33:30 | 40 |
| უოტფორდი | 32 | 9 | 13 | 10 | 40:38 | 40 |
| ვულვზი | 32 | 9 | 13 | 10 | 45:44 | 40 |
| კარდიფი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:36 | 37 |
| ქოვენთრი | 33 | 9 | 8 | 16 | 41:55 | 35 |
| პლიმუთი | 33 | 9 | 8 | 16 | 34:48 | 35 |
| ჯილინგემი | 33 | 8 | 7 | 18 | 30:53 | 31 |
| ნოტინგემი | 31 | 5 | 11 | 15 | 28:45 | 26 |
| როტერჰემი | 33 | 3 | 13 | 17 | 25:47 | 22 |

### პირველი ლიგა. XXXIII ტური

ბარნსლი — ბორნმუთი 0:1; ბრედფორდი — ლუთონი 0:1; ჩესტერფილდი — უენსდი 1:3; კოლჩესტერი — ბრისტოლი 0:2; ჰადერსფილდი — ბლეკპული 1:0; ჰალი — რექსემი 2:1; ოლდემი — სტოკპორტი 1:2; პიტერბორო — დონკასტერი 0:2; პორტ ვეილი — ჰარტლპული 0:1; ტორკი — სუინდონი 2:2; უოლსოლი — დონსი 0:0

### მეორე ლიგა. XXXIII ტური

როვერსი — ბოსტონი 1:1; ბერი — მენსფილდი 0:2; ჩელტენემი — ოქსფორდი 0:1; ჩესტერი — იოვილი 0:2; ლინკოლნი — კემბრიჯი 2:1; მაკლსფილდი — როჩდეილი 3:0; ნორთჰემპტონი — საუთენდი 1:2; ნოტსი — რაშდენი 1:1; სკანთორპი — ლეიტონი 1:0; შრიუსბერი — კიდერმინსტერი 4:2; სუონსი — გრიმსბი 0:0; უიკომბი — დარლინგტონი 1:1

### კონფერენსლიგა

### XXXI ტური

აკლინგტონი — ბარნეტი 4:1; ბარტონი — ფორესტ გრინი 4:1; ალდერშოტი — ჰალიფაქსი 0:0; დაგენემი — კარლაისლი 1:0; გრეივსენდი — ტენუორთი 2:0; ჰერეფორდი — ქრონვი 1:0; ლეი — ექსტერი 0:1; ნორსვიჩი — ფარნბორო 2:0; სტივენეიჯი — სკარბორო 1:0; იორკი — უოქინგი 0:2

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა

### XXII ტური

ტიროლი — ბრეგენცი 3:2; შტურმი — ზალცბურგი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 21 | 12 | 7 | 2 | 39:16 | 43 |
| აუსტრია | 21 | 12 | 6 | 3 | 42:13 | 42 |
| პაშინგი | 21 | 13 | 2 | 6 | 39:29 | 41 |
| გრაცერი | 21 | 10 | 4 | 7 | 27:21 | 34 |
| ტიროლი | 22 | 8 | 5 | 9 | 35:34 | 29 |
| მატერსბურგი | 21 | 8 | 4 | 9 | 31:36 | 28 |
| შტურმი | 22 | 6 | 5 | 11 | 20:29 | 23 |
| ადმირა | 21 | 6 | 3 | 12 | 23:37 | 21 |
| ზალცბურგი | 22 | 5 | 5 | 12 | 25:34 | 20 |
| ბრეგენცი | 22 | 4 | 5 | 13 | 23:55 | 17 |

## ბელგია

### იუპილერლიგა

### XXIII ტური

**ლიერსი 1:1 ანდერლეხტი**
1:0 ფასოტე (14), 1:1 იესტეროვიჩი (87)

**გენტი 1:0 ბევერენი**
1:0 სმოიე (11)

**ლოკერენი 0:0 სტანდარდი**

**მუსკრონი 1:1 ლუვიე**
1:0 ჟველაკოვი (10), 1:1 მატონი (12)

**შარლერუა 1:0 მონსი**
1:0 კრისტი (72)

**ოსტენდე 1:0 სტ. ტრიუდენი**
1:0 ჯოლი (90)

**გენკი 3:2 ვესტერლოო**
1:0 სოეტარესი (31), 1:1 უტაკა (37), 1:2 კ. იანსენი (44), 2:2, 3:2 ვანდერბერგი (70, 75)

**ბრიუსელი 2:1 ბეერსხოტი**
1:0 შლენდერსი (6), 2:0 კულეკი (31), 2:1 დ. კრუზი (76)

**სერკლი 1:2 ბრიუგე**
1:0 დეკელვერი (10), 1:1 ლანგე (74), 1:2 მატონდო (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 23 | 19 | 3 | 1 | 61:15 | 60 |
| ანდერლეხტი | 22 | 14 | 4 | 4 | 45:22 | 46 |
| გენკი | 22 | 13 | 6 | 3 | 35:22 | 45 |
| შარლერუა | 23 | 12 | 6 | 5 | 30:22 | 42 |
| სტანდარდი | 22 | 12 | 5 | 5 | 37:21 | 41 |
| ლუვიე | 23 | 10 | 6 | 7 | 32:21 | 36 |
| გენტი | 22 | 10 | 4 | 8 | 27:25 | 34 |
| ვესტერლო | 23 | 10 | 3 | 10 | 24:34 | 33 |
| ლოკერენი | 23 | 8 | 8 | 7 | 26:26 | 32 |
| ლიერსი | 23 | 8 | 5 | 10 | 38:41 | 29 |
| ბევერენი | 23 | 7 | 5 | 11 | 31:37 | 26 |
| სერკლი | 23 | 7 | 4 | 12 | 32:57 | 25 |
| მუსკრონი | 23 | 6 | 6 | 11 | 33:34 | 24 |
| ბეერსხოტი | 23 | 6 | 5 | 12 | 22:24 | 23 |
| სენტ ტრუიდენი | 22 | 5 | 5 | 12 | 24:39 | 20 |
| მონსი | 22 | 5 | 3 | 14 | 27:38 | 18 |
| ოსტენდე | 23 | 4 | 6 | 13 | 21:44 | 18 |
| ბრიუსელი | 23 | 5 | 2 | 16 | 21:44 | 17 |

### მეორე კლასი. XXIV ტური

გეელი — ეუპენი 1:0; ანტვერპენი — ვიგორი 2:1; პატრო — ვიზეტი 2:4; ვაასლანდი — კორტრაიკი 1:1; აალსტი — დეხელი 2:1; რუზელარე — ტუბიცე 5:1; სენტ ჟილი — დაინცე 2:2; ვარეგემი — ჰეუსდენი 5:3

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XIX ტური

კერკირა — იონიკოსი 2:2; ქსანთი — კალამარია 4:1; აეკ — ირაკლისი 2:1; ერგოტელისი — ოლიმპიაკოსი 2:1; პაოკ — კალითეა 3:1; პანიონიოსი — ოფი 2:1; ხალკიდონა — არისი 1:0; ეგალეო — პანათინაიკოსი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 19 | 12 | 5 | 2 | 34:11 | 41 |
| პანათინაიკოსი | 19 | 12 | 3 | 4 | 34:12 | 39 |
| აეკ | 19 | 10 | 8 | 1 | 28:15 | 38 |
| ქსანთი | 19 | 9 | 6 | 4 | 30:21 | 33 |
| პაოკ | 19 | 8 | 4 | 7 | 26:25 | 28 |
| ეგალეო | 19 | 5 | 10 | 4 | 17:15 | 25 |
| ხალკიდონა | 19 | 6 | 7 | 6 | 18:18 | 25 |
| პანიონიოსი | 19 | 6 | 6 | 7 | 14:17 | 24 |
| ოფი | 19 | 6 | 5 | 8 | 26:28 | 23 |
| კალითეა | 19 | 5 | 7 | 7 | 28:30 | 22 |
| ირაკლისი | 19 | 6 | 4 | 9 | 17:21 | 22 |
| არისი | 19 | 3 | 10 | 6 | 16:21 | 19 |
| იონიკოსი | 19 | 4 | 7 | 8 | 14:25 | 19 |
| ერგოტელისი | 19 | 5 | 4 | 10 | 17:31 | 19 |
| კერკირა | 19 | 3 | 6 | 10 | 15:26 | 15 |
| კალამარია | 19 | 3 | 6 | 10 | 15:33 | 15 |

# მონაკომ მოგებული წააგო მატჩი კი ფრედ მორჩა



ბასტია — მარსელი. მასპინძელი იუსუპ ჰაჯი სტუმარმა სალომონ ოლემბე ოლემბემ წააქცია

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXVI ტური

**სტრასბური 3:1 პსჟ**

1:0 ნიანგი (22), 2:0 პაჟისი (37პ), 3:0 აბდესადკი (64), 3:1 იოჰანსენი (86ს.კ.)

**ბასტია 0:1 მარსელი**

0:1 პედრეტი (62)

**კაენი 2:2 აიაჩო**

0:1 ანდრე ლუისი (10), 1:1, 2:1 მასური (12, 27), 2:2 ლუკასი (29)

**ლანსი 2:0 ნანტი**

1:0 კუზინი (23), 2:0 არიერი (74)

**რენი 4:1 ნიცა**

1:0 მაულიდა (57), 1:1 ბელმონტი (61), 2:1 ფრეი (62), 3:1 მონტერუბიო (73), 4:1 მაულიდა (77)

**ტულუზი 1:0 ბორდო**

1:0 მორეირა (81)

**მონაკო 1:1 ლიონი**

1:0 როდრიგესი (84), 1:1 კლემენტი (90)

**სენტ ეტიენი 1:0 სოშო**

1:0 ფეინდუნო (59პ)

**ისტრი 1:0 ოსერი**

1:0 ბაკაიოკო (26პ)

**მეცი 1:1 ლილი**

0:1 აჩიმოვიჩი (7), 1:1 ობრანიაკი (49)

**ტურის** ცენტრალური მატჩი პარასკევს „ლუი მეორეზე" გაიმართა, სადაც „მონაკომ" გათამაშების ლიდერს, „ლიონს" უმასპინძლა. დიდიე დეშანის შეგირდები მინდორზე მოსაგებად გავიდნენ და მიზანთან ძალიან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ...

„მონაკო" მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა შესამჩნევ უპირატესობას, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრის არბიტრებმა რამდენიმე საეჭვო ეპიზოდში მასპინძლების მხრე დაიჭირეს. მაგალითად, ასე მოხდა მე-19 წუთზე, როდესაც პატრიკ ევრამ თავის საჯარიმო მოედანში ხელით ითამაშა, მაგრამ, პროტესტის მიუხედავად, თერთმეტმეტრიანი არ დანიშნულა. თუმცა, ამ ეპიზოდამდეც და მის მერეც სახიფათო მომენტები ძირითადად „ლიონის" კართან იქმნებოდა. მასპინძელთა შემტევმა დუეტმა — სავიოლა-ადებაიორი — რამდენიმე ხელსაყრელი შანსი გაუშვა ხელიდან. გოლის გატანა ლუკას ბერნარდისა და დუგლას მეისონსაც შეეძლოთ.

66-ე წუთზე მიქაელ ესიენი მოჰამედ კალონს ეუხეშა. ამ უკანასკნელმა ვარდნა მშვენივრად გააფორმა და მსაჯმაც სტუმართა მცველს დაუყოვნებლივ მეორე ყვითელი ბარათი ამოუღო.

ამის შემდეგ მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ გრეგორი კუპეს კარში ბურთის შეგდებას მაინც ვერ ახერხებდნენ. 79-ე წუთზე დიდე დეშანმა თამაშში მესამე ფორვარდი, შაბანი ნონდაც ჩართო და მან მშვენიერი მაკრატელათი სტუმართა კარი დალაშქრა კიდეც.

შეხვედრის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო და „მონაკოს" სანუკვარი გამარჯვება უნდა მოეპოვებინა, როდესაც მე-5 დამატებულ წუთზე მასპინძელთა კარისკენ საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. ჩვეულებრისამებრ ბურთთან ჟუნინო პერნამბუკანო მივიდა, რომლის ჩაწოდებულს ჯერემი კლემენტმა თავი შეაგება და „ლიონს" ქულა გადაურჩინა.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ჩვენ ამ შეხვედრის მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ და ნამდვილად ვიმსახურებდით გამარჯვებას, მაგრამ ფორტუნამ ზურგი გვაქცია. ძნელია ასეთი თამაშის წაგება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში 2 ქულის დაკარგვა დამარცხების ტოლფასი იყო" — თქვა „მონაკოს" მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშანმა.

„ლიონის" თავკაც პოლ ლე გუენის კომენტარი ასეთი იყო: „ამ მატჩში ფრე ჩვენთვის მისაღები შედეგია. მასპინძლებმა მართლაც კარგად ითამაშეს და ბევრი თავსატეხი გაგვიჩინეს, მაგრამ ქულის მოპოვება მაინც შევძელით. დიდი მადლობა ჯერემის, რომლის გოლიც ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი სიურპრიზი იყო".

შაბათის მატჩებიდან განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ „ბასტიასა" და „მარსელის" დაპირისპირება. ფილიპ ტრუსიეს გუნდმა ცხრილის ფსკერზე გამაგრებულ კორსიკელებს ბენუა პედრეტის მიერ გატანილი ერთადერთი გოლით სძლია. ამ გამარჯვებით „მარსელმა" ლიდერთან სხვაობა 6 ქულამდე შეამცირა.

ჩემპიონატში ზედიზე მესამე მატჩი წააგო და მოუგებელი სერია 7-მდე გაზარდა „პარი სენ ჟერმენმა". პარიზელები ამჯერად „სტრასბურთან" დამარცხდნენ, [illegible] ასპექტში.

ბიორბი ჭაჭაბაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 26 | 14 | 11 | 1 | 36:12 | 53 |
| მარსელი | 26 | 14 | 5 | 7 | 34:23 | 47 |
| ლილი | 26 | 12 | 10 | 4 | 31:17 | 46 |
| მონაკო | 25 | 11 | 11 | 3 | 35:21 | 44 |
| ოსერი | 26 | 12 | 6 | 8 | 36:27 | 42 |
| ტულუზი | 26 | 10 | 8 | 8 | 27:26 | 38 |
| სოშო | 26 | 9 | 8 | 9 | 30:24 | 35 |
| რენი | 26 | 10 | 5 | 11 | 29:31 | 35 |
| სტ. ეტიენი | 25 | 7 | 13 | 5 | 30:22 | 34 |
| ლანსი | 26 | 8 | 10 | 8 | 27:25 | 34 |
| ბორდო | 26 | 6 | 14 | 6 | 26:23 | 32 |
| მეცი | 26 | 7 | 10 | 9 | 23:32 | 31 |
| პსჟ | 26 | 6 | 12 | 8 | 26:31 | 30 |
| ნიცა | 26 | 6 | 11 | 9 | 30:38 | 29 |
| სტრასბური | 25 | 6 | 9 | 10 | 29:32 | 27 |
| ნანტი | 26 | 6 | 9 | 11 | 20:26 | 27 |
| კაენი | 26 | 5 | 10 | 11 | 20:44 | 25 |
| აიაჩო | 25 | 4 | 12 | 9 | 20:28 | 24 |
| ბასტია | 26 | 5 | 8 | 13 | 18:32 | 23 |
| ისტრი | 26 | 3 | 12 | 11 | 15:28 | 21 |

II დივიზიონი XXVI ტური

ტრუა — ნიორი 1:1; სედანი — რეიმსი 2:0; ლავალი — ლე ავრი 0:1; დიჟონი — ამიენი 2:1; მონპელიე — კლერმონი 1:0; შატორუ — კრეტეი 2:2; გრენობლი — გენიონი 2:1; ანჟე — გენგამი 1:0; ლორიანი — ნანსი 1:1. *ბრესტი — ლე მანი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 26 | 14 | 6 | 6 | 38:24 | 48 |
| ტრუა | 26 | 13 | 6 | 7 | 43:34 | 45 |
| სედანი | 26 | 12 | 7 | 7 | 26:23 | 43 |
| ლე მანი | 25 | 12 | 5 | 8 | 27:22 | 41 |
| მონპელიე | 26 | 11 | 6 | 9 | 27:23 | 39 |
| შატორუ | 26 | 8 | 14 | 4 | 30:24 | 38 |
| გენიონი | 26 | 9 | 11 | 6 | 22:19 | 38 |
| გრენობლი | 25 | 9 | 9 | 7 | 31:28 | 36 |
| ბრესტი | 25 | 8 | 12 | 5 | 25:24 | 36 |
| ლავალი | 26 | 10 | 6 | 10 | 28:29 | 36 |
| დიჟონი | 26 | 8 | 11 | 7 | 26:25 | 35 |
| გენგამი | 26 | 9 | 6 | 11 | 32:32 | 33 |
| რეიმსი | 25 | 8 | 9 | 8 | 25:30 | 33 |
| ამიენი | 26 | 7 | 9 | 10 | 23:26 | 30 |
| კლერმონი | 26 | 6 | 10 | 10 | 27:28 | 28 |
| ლორიანი | 26 | 8 | 5 | 13 | 30:37 | 29 |
| კრეტეი | 26 | 6 | 9 | 11 | 24:27 | 27 |
| ანჟე | 26 | 6 | 9 | 11 | 25:32 | 27 |
| ლე ავრი | 26 | 7 | 6 | 13 | 16:25 | 27 |
| ნიორი | 26 | 6 | 6 | 14 | 21:34 | 24 |

# ორი მეკარის ოლდ ფირმი



ამჯერად „ოლდ ფირმში" გამარჯვება „რეინჯერს" ხვდა

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXVI ტური

**სელტიკი 0:2 რეინჯერსი**

0:1 ვინალი (71), 0:2 ნოვო (82)

**სელტიკი:** დუგლასი, მაკნამარა (მაკგეიდი 77), ბალდე, ვარგა, ლოურენსი, პეტროვი, ლენონი, სატონი, ტომპსონი, ბელამი, ჰართსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

**რეინჯერსი:** ვატერეუსი, ჰატონი, კირიაკოსი, ენდრიუსი, ბოლი (რაე 73), ბუფელი, ფერგიუსონი, რიკსენი, ვინალი, პრსო, ნოვო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ენდრიუსი, ჰატონი

მსაჯი: მაკკარი

59 041მაყურებელი

**აბერდინი 2:0 ლივინგსტონი**

1:0 მაკნაუტონი (45), 2:0 ველანი (59)

**დანდი იუნ. 1:1 ინვერნესი**

1:0 მუნრო (30ს.კ.), 1:1 უილსონი (37პ)

**ჰიბერნიანი 4:0 დანდი**

1:0 ოკონორი (27), 2:0 ვიტაკერი (47), 3:0 ფლეტჩერი (76), 4:0 ოკონორი (77)

**კილმარნოკი 2:1 დანფერმლაინი**

1:0 ს. ნეისმიტი (12), 1:1 კრისტიანსენი (20), 2:1 ბოიდი (43)

**მოზერუელი 2:0 ჰართსი**

1:0 მაკდონალდი (25), 2:0 ჰიტცპატრიკი (39)

გუშინ საფეხბურთო ევროპამ მორიგი „ოლდ ფირმით" ისიამოვნა. ერთ-ერთმა ყველაზე პრინციპულმა და გამორჩეულმა დერბიმ გულშემატკივარს იმედი არც ამჯერად გაუცრუა, თუმცა ემოცია განსხვავებული იყო — „სელტიკის" ფანებს გული დასწყდათ, „რეინჯერსის" ქომაგებმა კი გაიხარეს.

თამაშს დამატებით ინტრიგას ისიც სძენდა, რომ მატჩამდე ორივე გუნდს 62 ქულა ჰქონდა. „სელტიკს" ბოლო საშინაო „ოლდ ფირმიდან" ერთიც არ წაეგო, ხოლო „რეინჯერსის" თავკაცს „სელტიკ პარკზე" თავისი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე არასდროს მოეგო.

„სელტიკმა", როგორც ჩემპიონატის პოტენციური ლიდერისა და მასპინძლის სტატუსს შეეფერება, აქტიურად დაიწყო. მასპინძელთა თავკაცმა მარტინ ონილმა გუნდის ახალი ფორვარდი კრეიგ ბელამი ჯონ ჰართსონს შეუწყვილა, ხოლო კრის სატონი ნახევარდაცვაში დაწია.

სამივე მათგანი საკმაოდ კარგად ირჯებოდა. უკვე მე-4 წუთზე ბელამის ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ უელსელმა რონალდ ვატერეუსს ვერ აჯობა. „ჩაფრთა" ჰოლანდიელმა გოლკიპერმა ბრწყინვალედ ითამაშა და შეხვედრის გმირად იქცა. მისი სელტიკელი კოლეგა რობერტ დუგლასი კი პირიქით, შეიძლება ანტიგმირადაც მოვნათლოთ...

„ჩაფრების" ვეტერანმა კარის დარაჯმა პირველი ტაიმის მიწურულსაც გაიბრწყინა, როდესაც იმავე ბელამის არ გაატანინა, ხოლო მეორე ნახევრის დაწყებიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული, ჰართსონმა დაახლოებით 10 მეტრიდან ძლიერად რომ დაჰკრა ბურთს და თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ვატერეუსმა კვლავ ჩინებულად ითამაშა.

ტაიმნახევრის შემდეგ „სელტიკს" ოდნავ დაღლა დაეტყო და თამაშიც გათანაბრდა. „რეინჯერსმა" მოედნის ცენტრი დაიპყრო და რამდენიმე შეტევაც განახორციელა. 71-ე წუთზე კი სტუმართა მცველმა ვინალმა პირდაპირ სელტიკელთა მეკარისკენ დაარტყა. რობერტ დუგლასი ამ თითქოს უწყინარი ბურთის ასაღებად მოემზადა და... რამდენიმე წამში მისი ბადიდან გამოტანა მოუხდა.

მეკარის ამ ბავშვურმა შეცდომამ და მოულოდნელმა გოლმა „სელტიკი" დააბნია. მასპინძლებმა უთავბოლო თამაში და იერიშები დაიწყეს, რისთვისაც მალევე მეორე გოლით დაისაჯნენ.

რიკსენის შორეული პასი ბობი ბალდემ ვერ ჩაჭრა, მის თანაგუნდელებს კი ნაჩო ნოვო გაექცათ და ესპანელმაც ლამაზი დარტყმით ბურთი თავზე გადაავლო დუგლასს.

ბიორბი ჭაჭაბაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 26 | 20 | 5 | 1 | 56:11 | 65 |
| სელტიკი | 25 | 20 | 2 | 3 | 53:21 | 62 |
| ჰიბერნიანი | 26 | 14 | 5 | 7 | 46:33 | 47 |
| ჰართსი | 26 | 11 | 8 | 7 | 30:23 | 41 |
| აბერდინი | 26 | 11 | 6 | 9 | 27:25 | 39 |
| მოზერუელი | 26 | 10 | 4 | 12 | 32:34 | 34 |
| კილმარნოკი | 26 | 10 | 2 | 14 | 33:44 | 32 |
| ინვერნესი | 25 | 6 | 8 | 11 | 28:36 | 26 |
| დანფერმლაინი | 26 | 6 | 6 | 14 | 24:39 | 24 |
| დანდი | 26 | 6 | 6 | 14 | 28:50 | 24 |
| დანდი იუნ. | 26 | 4 | 10 | 12 | 28:41 | 22 |
| ლივინგსტონი | 26 | 4 | 4 | 18 | 19:47 | 16 |

I დივიზიონი. XXVII ტური

ერდრი — რეით როვერსი 2:1; კლაიდი — როს ქაუნთი 1:0; ჰამილტონი — პარტიკ თისლი 1:0; ქუინ ოფ საუთ — ფოლკირკი 1:1; სტ. მირენი — სტ. ჯონსტონი 1:1

II დივიზიონი. XXIV ტური

ბერიკი — ბრეჩინი 2:1; დამბარტონი — მორტონი 3:0; ფორფარი — არბოთი 1:1; სტირლინგი — ალოა 0:4; სტრენრარი — ეარი 1:3

III დივიზიონი. XXV ტური

ისტ ფაიფი — ქოუდენბითი 1:1; გრეტნა — მონტროუზი 4:1; ქუინზ პარკი — ალბიონი 0:3; სტენჰაუზმური — ისტ სტირლინგი 3:2

# ინგლისი

## ასოციაციის თასი
### მერვედფინალი

**არსენალი 1:1 შეფილდ იუნ.**
1:0 პირესი (78), 1:1 გრეი (90პ)
გაძევება: ბერხკამპი (35)

**ბოლტონი 1:0 ფულემი**
1:0 კ. დევისი (12)

**ევერტონი 0:2 მანჩესტერ იუნ.**
0:1 კ. ფორჩუნი (23), 0:2 კრისტიანუ რონალდო (58)

**საუთჰემპტონი 2:2 ბრენტფორდი**
1:0, 2:0 ა. კამარა (4, 36), 2:1 ისაია (40), 2:2 სოჯე (58)

**ჩარლტონი 1:2 ლესტერი**
0:1 დაბიზასი (38), 1:1 ბარტლეტი (45), 1:2 დაბლინი (90)

**ბარნლი 0:0 ბლექბერნი**

**ნიუკასლი 1:0 ჩელსი**
1:0 კლუივერტი (4)
გაძევება: კუდიჩინი (90)

**ტოტენჰემი 1:1 ნოტინგემი**
1:0 დეფო (44), 1:1 გ. ტეილორი (57)

# მავანი ჯეელი, ბუინგი და მონეტა მანჩესტერისთვის


REUTERS ლონდონიდან

არსენალი — შეფილდ იუნაიტედი. დენის ბერხკამპი ამ ვითომდა უხეშობისთვის პირველ ტაიმშივე გააძევეს

**ამ უქმეებზე** კი დაიწყო ასოციაციის თასის მეხუთე რაუნდი, მაგრამ ვერ კი დამთავრდა. მხურვალე ფრეებმა ბედი გადათამაშებებს მიანდო და ამ გაუგებრობაში თვით არსენალიც მოჰყვა, რომელსაც ეგონა, რომ რობერ პირესის ერთი გოლი ეყოფოდა მეორე დივიზიონის „შეფილდ იუნაიტედის“ კარში.

მართალია, მეთოფეებს არც ტრავმირებული ინგლისელი მცველები ჰყავდათ, არც დასვენებული პატრიკ ვიეირა და ტიერი ანრი და კაპიტანი დენის ბერხკამპიც პირველ ტაიმშივე გაუძევეს ვითომდა უხეშობისთვის, მაგრამ შეფილდელ ხმლოსნებს რა თოფიც იყო, ისიც უნდა ჰყოფნოდათ.

ასეც იყო საქმე, თუმცა, იმასაც ვერავინ იტყოდა, რომ „შეფილდს“ ფრე არ ეკუთვნოდა. ეს კუთვნილება კი 90-ე წუთზე მოვიდა. დენი კულიპის, რომელსაც მანამდე გოლი არ ჩაუთვალეს, ხოლო ბერხკამპიც მის გამო გაძევეს, ენდი გრეიმაც სათასო ამბავი 1 მატჩისთვის, უკვე შინაურ „ბრემოლეინზე“ გადაიტანა.

შაბათის გვიანი და ხმაურიანი თამაში იყო, „გუდისონ პარკზე“, სადაც ლივერპულის ლურჯი ნაწილი „მანჩესტერთან“ ბრძოლაში გამოეთიშა თასს. ჯერ კვინტონ ფორჩუნმა გაიტანა, მერე კი რონალდუმ დაამატა ნაიჯელ მარტინის მოგერიებულ საჯარიმო დარტყმას. ორივე გოლში გარკვეულწილად მონაწილეობდა უეინ რუნი, რომელიც იმ დღეს მთავარი გმირი იყო. მაყურებელმა საგანგებო ავი დახვედრა მოუწყო გაშვილებულ გმირს. თამაში დაწყებულიც არ იყო, როცა რუნის მავანი ჯეელი გადმოხტა ტრიბუნიდან და საქმის გარჩევა დაიწყო. როგორც კი რუნსი ბურთს მიიღებდა, შეწყობილი ღრიალი, ე.წ. „ბუინგი“ ზედ ჰქონდა. საერთოდაც, ეს მძიმე თამაში იყო, „მანჩესტერის“ მეკარეს, როი კეროლს 70-ე წუთზე ფუნტიანი მონეტა მოარტყეს თავში. „ევერტონმა“ ოფიციალურად მოიბოდიშა, თუმცა, თამაშის საბოლოო შედეგი ის გამოვიდა, რომ 30 კაცი მაინც დაიჭირეს.

ხუთი პოლიციელი დაშავდა ქვებითა და ბოთლებით მიმდინარე სტუმარ-მასპინძელთა ჩხუბში, რომელიც სტადიონის შორიახლოს გახურდა ორი კლუბის ახალგაზრდებს შორის. „ევერტონი“ ამბობს, რომ მის გულშემატკივართა 99 პროცენტი კარგად იქცეოდა, ხოლო მონეტის მსროლელს საშვილიშვილოდ აუკრძალავს სტადიონზე შემოსვლას.

ასეა თუ ისე, „მანჩესტერი“ შემდეგ წრეში გავიდა. ჩარლტონის „ველიზე“ კი გაცოცხლდა წარსულის აჩრდილი: ერთ დროს განთქმულმა მეგოლემ, დიონ დაბლინმა „ლესტერს“ ბოლო წამებზე მოაგებინა, „ჩარლტონისთვის“ და დაბალ ლიგაში ჩარჩენილი გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა. ამ თამაშში ანგარიში კიდევ ერთმა ძველმა ნაცნობმა, აწ ლესტერელმა ნიკოს დაბიზასმა გახსნა თავურით, მაგრამ მერე შონ ბარტლეტმა გაათანაბრა. ფიცხელი ბრძოლა გადათამაშებისკენ მიდიოდა, სანამ ბოლოხანს მცველად მოთამაშე დაბლინმა თავისი მეგოლეობა არ გაიხსენა.

გუშინ კი „ნიუკასლმა“ „ჩელსის“ 1:0 მოუგო და თან პრემიერლიგის ლიდერმა შეხვედრა ცხრა ფეხბურთელით დაასრულა. ყველაფერში ლონდონელების ნაქები მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ გამოდგა დამნაშავე. საქმე ის არის, რომ მან სამივე შეცვლა შესვენებისას განახორციელა, ხოლო შესვენებიდან ერთი წუთის შემდეგ უეინ ბრიჯმა ფეხი იტკინა და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა.

ათი ფეხბურთელით დარჩენილმა „ჩელსიმ“ ვეღარ შეძლო შეხვედრის მეოთხე წუთზე პატრიკ კლუივერტის თავურით გატანილი გოლის გათანაბრება.

ხოლო მეორე ფეხბურთელი მაურინიუს მსაჯის წამატებულ წუთებში გაუგდეს. აქ უკვე ტრავმა აღარაფერ შუაში იყო, აქ საკითხი წითელმა ბარათმა გადაწყვიტა: ლონდონელების მეკარემ კარლო კუდიჩინიმ შოლა ამეობი წააქცია, რის გამოც მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# საიდუმლო შეხვედრა კარდიფში
## ჰამანი ჯერარდს აგდებს




**ინგლისური** პრესა იუწყება, რომ „ჩელსისა“ და „ლივერპულს“ შორის სტივენ ჯერარდის შესახებ მოლაპარაკება გრძელდება. როგორც ამბობენ, მხარეებმა გარკვეულ შეთანხმებას შეიძლება უკვე დღეს დაწყებული კვირის ბოლოს მიაღწიონ. შეგახსენებთ, რომ 28 თებერვალს კარდიფის „მილენიუმზე“ ინგლისის თასის ფინალში ერთმანეთს სწორედ ეს კლუბები ხვდებიან. თურმე ამ მატჩის შემდეგ ჯერარდს ლონდონელთა ხელმძღვანელობასთან შეხვედრა აქვს დანიშნული. მერსისაიდულ ჟურნალ-გაზეთებში მწუხარებით დაიწერა — ჩვენც არ გვინდა ამის გვჯეროდეს, მაგრამ ჭორი არ არის, სიმართლეაო.

მოგეხსენებათ, ლონდონელებს ჯერარდის შეძენა გასულ ზაფხულსაც სურდათ და ფეხბურთელს სარფიან კონტრაქტს სთავაზობდნენ, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ნახევარმცველმა განაცხადა, ჩემთვის ფული მთავარი არ არის „ლივერპული“ მიყვარს და არსად წასვლას არ ვაპირებო. ახლა აშკარა, რომ მას მერე სიტუაცია შეიცვალა. მერსისაიდელთა კაპიტანმა უკვე არაერთხელ აღნიშნა, „ენფილდიდან“ ჩემი წასვლის ვარიანტს არ გამოვრიცხავო.

ასე რომ დიდი შანსია, 24 წლის ფეხბურთელმა მომავალ ზაფხულს „ჩელსის“ მაისურა მოირგოს. მით უმეტეს, ლონდონელებს მისი შეძენა მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ხოლო ფული მათთვის პრობლემა არ არის. ჯერარდით კიდევ არაერთი კლუბია დაინტერესებული — მათ შორის „პარი სენ ჟერმენი“. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ ფრანგული გუნდის წარმომადგენლებმა რამდენიმე დღის წინ პირდაპირ განაცხადეს, „ლივერპულს“ დავუკავშირდით და ჯერარდის შეძენაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთო: პარიზელებს ამ ტრანსფერისთვის უკვე ფინანსებიც მოუძებნიათ, მაგრამ მათი წარმატების შანსი მაინც ძალიან მცირეა.

მერსისაიდელთა გერმანელი ლეგიონერი დიტმარ ჰამანი კი გუნდის კაპიტანს „ენფილდიდან“ წასვლას ურჩევს. ვეტერანი ნახევარმცველის თქმით, უკეთეს კლუბში გადასვლა და გარემოს შეცვლა თვითონ ჯერარდისთვის იქნება უკეთესი და მის ზრდას ხელს შეუწყობს.

„თუ ფეხბურთელს რომელიმე უფრო ძლიერ ან უცხოურ კლუბში თამაშის შანსი მიეცემა, მან იგი უნდა გამოიყენოს, თანაც სტივენი ისეთი სტილის მოთამაშეა, რომ ადაპტაცია არსად დგაუჭირდება. მაგალითად, მე ბევრად მეტი ვისწავლე მას შემდეგ, რაც გერმანია დავტოვე. რასაკვირველია, თავად ჯერარდის აზრიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საქმე დიდ ფულს ეხება და რას გადაწყვეტს „ლივერპულის“ ხელმძღვანელობა, არავინ იცის“ — განაცხადა ჰამანმა.

**გიორგი კაკაბაძე**




ბრუკლინი ახლა 5 წლისაა



# წუხელ ბექემი დაბადებულა

**ბექემების** ოჯახში ზეიმია, ვიქტორია ადამს-ბექემმა მესამე ვაჟი შვა, მას კრუზი დაარქვეს. ბავშვი გუშინ მადრიდის სამშობიაროში იქაური დროით 10 საათსა და 40 წუთზე საკეისრო კვეთის შედეგად მოევლინა ქვეყნიერებას. მისი წონაა 3 200 გრამი.

ოფიციალურ განცხადებაში წერია: „დედა და პირმშო სრულიად ჯანმრთელად არიან. ოპერაცია 30 წუთს გრძელდებოდა და არანაირი ჩივილის საბაბი არ გამოუწვევია“.

შეგახსენებთ, რომ დევიდ და ვიქტორია ბექემების უფროს შვილს ჰქვია ბრუკლინი. იგი ხუთი წლის არის, ხოლო მეორე ვაჟი გახლავთ ორი წლის რომეო.

„დევიდ და ვიქტორია ბექემები ბედნიერები გახლავან და აცხადებენ, რომ დღეს 10 საათსა და 40 წუთზე მადრიდის „ოსპიტალ რუბერ ინტერნასიონალში“ დაიბადა მათი მესამე ვაჟი“ — ასე იწყება ზემოხსენებული განცხადება, ხოლო ინგლისელი ჟურნალისტები იგონებენ, რომ ვიქტორია ადამს-ბექემი დაფეხმძიმდა მას მერე, რაც ტაბლოიდებში ატყდა სკანდალი თითქოს დევიდს მადრიდის „რეალში“ გადაბარგების შემდეგ ესპანელი საყვარლები გაუჩნდა და ცნობილი წყვილის ოჯახური კავშირი საფრთხეშია.

# ჩვენ გავიმარჯვებთ? რატომაც არა

## კლაუს აუგენტალერმა ჭრუანტელის ამბავი კარგად იცის



*ლევერკუზენის „ბაიერი“ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს ჩინებულად თამაშობს. გაიხსენეთ, ვისთან მოახვედრა განგებამ ასეთი მასშტაბური შეჯიბრების ჯგუფში პირველ ეტაპზე : „რეალთან“, „რომასა“ და კიევის „“დინამოსთან“.*

*და ლევერკუზენელები პირველ ადგილზე გავიდნენ.. ახლა კი, თექვსმეტი უძლიერესიდან რვაში მოსახვედრად ეს გერმანული გუნდი სახელოვან „ლივერპულს“ ეთამაშება.*

*მეტოქეთა პირველი შეხვედრა ინგლისშია, საქვეყნოდ ცნობილ „ენფილდ როუდზე“, სადაც „ბაიერის“ დღევანდელ მწვრთნელს, კლაუს აუგენტალერს ფეხბურთელობის წლებში უთამაშია და თან არც მეტი არც ნაკლები ლიგის წინამორბედ შეჯიბრებაში, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში.*

*უეფას საინტერნეტო ვებ-გვერდმაც სწორედ აუგენტალერს დაუსვა რამდენიმე კითხვა.*

**— თუ ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, „ლევერკუზენი“ „ლივერპულთან“ შეხვედრაში ფავორიტია. ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?**

— არა, კატეგორიულად არ ვეთანხმები. „ლივერპული“ იყო და რჩება ევროპის ერთ-ერთ უდიდეს გუნდად. მეორე მხრივ, სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ კენჭისყრას შეიძლებოდა უარესი გუნდიც შეერჩია ჩვენთვის. დახეთ, შეჯიბრებას შემორჩენილი 16 გუნდი როგორ დაწყვილდა. ზოგი წყვილი ხომ უბრალოდ მომაკვდინებელია, თუმცა არც ისაა დასავიწყებელი, რომ ჩვენ ჯგუფში „რეალს“, „რომას“ და კიევის „დინამოს“ ვაჯობეთ. მოკლედ, სრული უფლება გვაქვს შემდეგ ეტაპზე გასვლა ამოვიჭრათ გულში.

**— რას გვეტყოდით „ლივერპულის“ სუსტ და ძლიერ მხარეებზე?**

— ფეხბურთელობის წლებში „ენფილდ როუდზე“ მეც მითამაშია და მინდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ ძნელი საქმეა. „ლივერპულის“ დამარცხება, მითუმეტეს მის კედლებში იოლი არ არის და იმისათვის, რომ იქიდან კმაყოფილი დაბრუნდე საკუთარ თავს უნდა აჯობო, ისე უნდა ითამაშო, როგორც არასდროს. მხოლოდ ლივერპულელი ფეხბურთელების ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ მიხვდე, თუ რა დონის გუნდთან გაქვს საქმე.

**— მაგრამ მიმდინარე სეზონში, შინ „ლევერკუზენიც“ დიდებულად თამაშობს. საპასუხო თამაში რომ „ბაიერარენაზეა“, ეს უპირატესობად მიგაჩნიათ?**

— თუ ეს უპირატესობაა, ჩემი აზრით იგი ძალიან მცირეა. მთავარი და მნიშვნელოვანი განსხვავება ჯგუფურ ეტაპსა და პლეი ოფს შორის ის არის, რომ ჯგუფურ ტურნირში შეგიძლია თავს ერთი მატჩის ცუდად თამაშის ფუფუნება მისცე, პლეი ოფში კი ყველაფერი ორად ორ შეხვედრაზეა დამოკიდებული.

**— „ლივერპულმა“ ამ ზამთარს ახალი თავდამსხმელი შეიძინა, ფერნანდო მორიენტესი — გიხარიათ, მას „ლევერკუზენთან“ თამაშის უფლება რომ არა აქვს?**

— მორიენტესს რომ ყიდულობდა „ლივერპულმა„ აშკარად იცოდა, რაზეც მიდიოდა. ის ხომ მსოფლიო კლასის თავდამსხმელია. და, ცხადია, ბედნიერი ვარ მორიენტესი ჩვენს წინააღმდეგ რომ არ ითამაშებს.

**— თქვენ ახსენეთ, რომ ფეხბურთელობის წლებში „ენფილდზე“ გითამაშიათ. რა მოგონებები დაგიტოვათ იმ მატჩმა?**

— ეს დიდებული განცდა იყო, ინგლისის სტადიონებზე ატმოსფერო ხომ ყოველთვის დიდებულია. გვირაბით გასახდელიდან მოედნისაკენ რომ მიდიხარ, შენ ტანში ჟრუანტელი გივლის, ხოლო ლივერპულის ფეხბურთელები ერთმანეთს შეძახილებით ამხნევებენ. მატჩი, რომელშიც მე მივიღე მონაწილეობა, ნახევარფინალი იყო. მახსოვს, 0:0 ვითამაშეთ და მე საკუთარი თავით კმაყოფილი ვიყავი. სამწუხაროდ, მეორე მატჩი 1:1 დასრულდა და ფინალში „ლივერპული“ გავიდა.

**— ბოლო 12 წელიწადია, „ლევერკუზენს“ დიდი ჯილდო არ მოუგია. რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ახლა გამარჯვება კლუბის მომავალი განვითარებისთვის?**

— ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა. ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, როდესაც მესმის, რომ „ბაიერი“ ვიცეების აზრით, მეორე ადგილითაც ძალიან კმაყოფილი უნდა იყოს. ჩვენ რამდენჯერმე გავუშვით შესაძლებლობა ხელიდან. სასწავლო მართლაც ბევრი გვაქვს, მაგრამ სწავლა სწრაფადაც შეიძლება. ჩვენი ამოცანა ისეთი გუნდის შექმნაა, რომელიც ორ-სამი წლის განმავლობაში ტიტულების მთავარ კონკურენტი იქნება. კაცმა რომ თქვას შემადგენლობა უკვე ძლიერია და მნიშვნელოვანი ჯილდოს მოგება წლეულსვე შეგვიძლია.



„ბაიერმა“ „რომას“ გარდა „რეალთან“ და კიევის „დინამოსთანაც“ იზეიმა



# ნაბიჯ-ნაბიჯ პორტუს სიმაღლისკენ

**„ჩელსის“** უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს, ვიდრე შარშან, ჩემპიონთა ლიგის მომგებ „პორტუს“ ჰყავდა, მაგრამ ორივე ხსენებული გუნდის მწვრთნელის, ჟოზე მაურინიუს განცხადებით შარშანდელი „პორტუ“ ახლანდელ „ჩელსიზე“ უკეთ იყო ორგანიზებული.

მართლაცდა, „პორტუს“ წარმატება ძირითადად ვირტუოზული ტაქტიკური ორგანიზაციით გახლდათ განპირობებული, ასეთი სიმწყობრე კი ლონდონური კლუბისთვის ჯერ კიდევ დასაპყრობი სიმაღლეა — ამ საკითხზე ისაუბრა ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან“ თამაშის წინ პრესკონფერენციაზე მაურინიუმ.

— „ჩელსიში“ უკეთესი ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ ტაქტიკურად შარშანდელი „პორტუ“ სჯობდა, უკეთ იყო ორგანიზებული, — თქვა მწვრთნელმა, — პორტუგალიებმა ჩემპიონთა ლიგა ჩემი მწვრთნელობის მესამე წელიწადს მოიგეს, ლონდონში კი ოთხწლიანი კონტრაქტის შვიდი თვე მაქვს ამოწურული“.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსი“, პრემიერლიგის ცხრილში პირველ ადგილზე მიდის, ცხრა ქულით უსწრებს მდევარს, თუმცა პორტუგალიელი სპეციალისტი გრძნობს, რომ ტაქტიკური იდეები ფეხბურთელებისთვის ნაბიჯ-ნაბიჯ აქვს გადასაცემი.

„ჩვენ ფაზების მიხედვით უნდა ვიმუშაოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ დავიმატოთ ცოდნა“ — დასძინა მან.

დღეს ლონდონელებს რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი აკლიათ, მათ შორის, საუბარია გარემარბ არიენ რობენზე, თუმცა მაურინიო ასე სჯის: „იმისათვის, რომ ძლიერ მოთამაშეთა ტრავმების პრობლემა მოვაგვაროთ, საჭიროა ამ მოთამაშეების არსებობა დროებით დავივიწყოთ. ახლა მე დანარჩენების დამოძლვრასა და წაქეზებაზე ვფიქრობ. არასდროს ვიმართლებ რობენის არყოფნით თავს“.

საეჭვოა სპილოს ძვლის ნაპირელი დიდიე დროგბას თამაშიც. მას ბარძაყი სტკიოდა და მართალია ახლა უამდება, „კამპ ნოუსთვის“ ჯერ მზად არ არის.

**პაპუნა ძედია**

# ტრეზეგე ავად გამხდარა

**ტურინის** „იუვენტუსი“ მადრიდს დავიდ ტრეზეგეს გარეშე ეწვევა. მხრის ოპერაციის შემდეგ ახლახან მომჯობინებულმა ფორვარდმა გასულ უქმეებზე „მესინასთან“ შეხვედრა მაღალი სიცხის გამო გამოტოვა და თავს ახლაც შეუძლოდ გრძნობს. უკვე მეოთხე დღეა, ცდილობენ ექიმები ვირუსის დამარცხებას, მაგრამ ვერ ახერხებენ:

„ბოლო დღეებში თავს კარგად არ ვგრძნობ. როგორც მითხრეს, ყველაფერი სისხლის ანალიზის და გამოკვლევის შემდეგ გაირკვევა. ძალიან შეწუხებული ვარ და ვნერვიულობ, რადგან მადრიდის „რეალთან“ თამაშის გამოტოვება მიწევს“ — თქვა 27 წლის თავდამსხმელმა.

შეგახსენებთ, რომ „რეალისა“ და „იუვენტუსის“ ბოლო შეყრისას, 2003 წელს, ტურინელებმა მეტოქეს 4 გოლი გაუტანეს და აქედან 2 სწორედ ტრეზეგემ შეაგდო.

„ბებერი ქალბატონის“ ბანაკში სასიხარულო ამბავიც არის. ჩეხმა პაველ ნედვედმა ბოლომდე მოიშუშა მუხლის ტრავმა და, „იუვეს“ მედიკოსების თქმით, იგი მზად არის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ საბურთაოდ.

**გიორგი ძაძამიძე**



და ან ცაზე ვარსკვლავები



# ძაღლისმჭამელი

## ყინულის კაცი წყლიდან ამოვიდა

**ის სპორტსმენი,** რომელიც ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის სპორტულ დელეგაციას ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე მედროშედ მიუძღოდა, ტრადიციისამებრ, უმედლოდ არ რჩებოდა, უმრავლეს შემთხვევაში კი შინ ოქროს მედლით ბრუნდებოდა.

ეს ტრადიცია ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დაირღვა. აქ რუსებმა მედროშეობა თავიანთ ვარსკვლავს, მეტიც, მრავალი მიმომხილველის აზრით მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოცურავეს, ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ალექსანდრ პოპოვს ანდეს. ამით რუსებმა მის მიმართ ულრმესი პატივისცემა და მადლიერება გამოხატეს, მაგრამ პოპოვმა თანამემამულენი წარმატებით ველარ გაახარა. იგი თავის საყვარელ დისციპლინაში, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ფინალში ვერ მოხვდა. მეტიც, ნახევარფინალურ გაცურვაში მხოლოდ მეექვსე იყო. თუმცა, ამან ვერ გააუფერულა პოპოვის ბრწყინვალე კარიერა.

დღემდე 50 მეტრზე ცურვაში პოპოვის მიერ დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს (21,64) ვერცერთი სპორტსმენი ვერ მიახლოვებია, ხოლო მსოფლიოსა და კონტინენტის ჩემპიონატებზე მოპოვებულ უმრავ მედალს ბევრი მოცურავე შურით შესცქერის.

ალექსანდრ პოპოვმა პირველ, მართლაც შთამბეჭდავ წარმატებას, 21 წლისამ მიაღწია, როცა 1992 წელს ბარსელონაში 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედლები მოიპოვა. იგივე გაიმეორა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე. მსოფლიოს ჩემპიონატებზე 6 ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო 10-ჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა. 1991-დან 1998 წლამდე პოპოვი დაუმარცხებელი იყო დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამოჩნდა, რომ ალექსანდრ პოპოვს არა მხოლოდ მედლები, არამედ უკვე წლებიც ამძიმებდა. განვლილ ოლიმპიადებთან შედარებით მისი სიდნეული გამოსვლა შედარებით ფერმკთალი გამოდგა — მან მხოლოდ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ალექსანდ პოპოვის უდიდეს სპორტსმენობაზე, მის შეუპოვრობასა და ხასიათზე ნათლად მეტყველებს ერთი შემთხვევა, რომელმაც ლამის მისი სიცოცხლე შეიწირა.

ატლანტის ოლიმპიური თამაშების მერე მოსკოვში პოპოვი თურმე მეგობარ ქალებთან ცოტა შეზარხოშებული შუაღამისას ქუჩაში გამოსულა. იქ გადაყრია საზამთროს გამყიდველებს, რომლებზეც „სპორტ ექსპრესი“ წერდა, „ლიცა კავკაზკოი ნაციონალნოსტიო“. ვინ ვის აუხირდა, ღმერთმა უწყის, მაგრამ იმ ცემა-ტყეპაში პოპოვს დანა გაუყარეს, მაგრამ სპორტსმენი ამას მერელა მიხვდა, როცა ავტომანქანით გაქცევით უშველა თავს.

„ლიცა კავკაზსკოი ნაციონალნოსტის“ მიერ დაჭრილ რუსს, რომლის გადარჩენა აღარავის ეგონა, ქართველმა ქირურგებმა უშველეს.

გადარჩა კაცი და კვლავ დაუბრუნდა ცისფერ ბილიკებს, სადაც კიდევ არაერთი დიდი წარმატება იზეიმა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო შარშანწინ ბარსელონაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გამარჯვება 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ეს გამარჯვება იქნებ რიგით წარმატებად ჩაგვეთვალა, რომ არა ის დრამატული შემთხვევა მოსკოვის ქუჩაში.

და კიდევ, რაც არანაკლებ საინტერესოა, პოპოვმა ბარსელონაში ის ოქროს მედალი 31 წლისამ მოიპოვა, ამ ასაკში კი ჯერ არცერთ სპორტსმენს ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონობა არ დაუმსახურებია.

ასეთი იყო სპორტული კარიერა კაცისა, რომელსაც ამერიკელებმა „დიდი ძალლი“ შეარქვეს.

პოპოვის ზედმეტსახელი უთუოდ დიდ ინტერესს იწვევს. თუმცა, ბევრმა არ იცის, თუ ვინ და რატომ შეარქვა მას ეს სახელი, რომელითაც ალექსანდრ პოპოვს მხოლოდ ამერიკელები მოიხსენიებენ.

ამერიკელები დარწმუნებულნი არიან, რომ ცურვაში მისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში საცურაო ბილიკებზე პოპოვმა ძალლი, ანუ როგორც ჩვენთან იტყვიან, ერთი ფუთი მარილი შეჭამა, ჰოდა, ამერიკელებმაც გამოუძებნეს ეს მეტსახელი.

„ზოგჯერ კი მე „ყინულის ადამიანსაც“ მიწოდებენ. ეტყობა სტარტის წინ მშვიდად და აუღელვებლად გამოვიყურები — ამბობს პოპოვი — ბევრზე, როგორც იტყვიან, აუღებელი და „ტყვიაგაუმტარი“ კაცის შთაბეჭდილებას ვტოვებ. სინამდვილეში კი ეს მთლად ასე არაა. უბრალოდ, მე შემიძლია საკუთარი თავის ხელში აყვანა მაშინაც კი, როცა ყველაზე საპასუხისმგებლო წუთები მიდგას.“

ალექსანდრ პოპოვის წარმატებები, რა თქმა უნდა, ამ ორმეტრიანი კაცის ფიზიკური შესაძლებლობებით, ნიჭითა და შეუპოვრობითაც აიხსნება. თუმცა, რუსეთში მისი მსგავსი მონაცემების სპორტსმენები სხვებიც არიან, მაგრამ პოპოვის დარ წარმატებებს მაინც ვერ იმკიან. ამ რუსის მიღწევები ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ იგი მთელი ათი წლის განმავლობაში ავსტრალიაში ცხოვრობდა და ვარჯიშობდა იქაურ კოლეგებთან, რომლებიც ამ სახეობაში მსოფლიოში ტრადიციულად სახელგანთქმულნი არიან.

ახლა ალექსანდრ პოპოვი შვეიცარიის პატარა ქალაქ ბიენში ცოლთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს, ამ დღეებში კი მშობლიურ მოსკოვში ჩავიდა, რათა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ვიტალი სმირნოვისთვის დაბადების სამოცდაათი წელი მიელოცა. სწორედ ამ ვიზიტისას, ალექსანდრ პოპოვმა რადიო — ინტერვიუში განაცხადა, მორჩა დიდი სპორტიდან მივდივარო.

ხმები იმის თაობაზე, რომ პოპოვი ცურვიდან წასვლას აპირებდა, კარგა ხნის წინად დაირხა. ჯერ კიდევ ათენის ოლიმპიური თამაშების წინ იყო ნათელი, რომ ის თავისი სპორტული კარიერის ბოლო დღეებს ითვლიდა.

აქტიური სპორტიდან ალექსანდრ პოპოვის წასვლის მერე რუსეთში კითხულობენ, ნეტა ვინ ითავებს ჩვენს მოცურავეთა ლიდერობასო. თუმცა, ეს კითხვა ჯერ კიდევ სიდნეის ოლიმპიური თამაშების მერე გაისმის, მაგრამ მასზე პასუხის გაცემა ყველას უჭირს — ჰორიზონტზე ასეთი მოცურავე არ ჩანს.

ვინ იცის, იქნებ პოპოვის შვილების ვლადიმერისა და ანტონის გაზრდის მერე გამოჩნდეს ასეთი მოცურავე.

ახლა, ცურვასთან გამოთხოვების შემდეგ, ალექსანდრ პოპოვს ჯერ არ გადაუწყვეტია თავისი შემდგომი ცხოვრების ბედი. ამბობს, მინდა ბავშვთა ცურვაზე ვიზრუნოო, მაგრამ მომავალი მაინც ჯერჯერობით ბუნდოვანია. ალექსანდრ პოპოვი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ათლეტთა კომისიის წევრია, მაგრამ ეს უკვე მისი საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. თუმცა იგი ახლა „ომეგას“, როგორც იტყვიან, სახეა მთელს მსოფლიოში და აქედან გარკვეული შემოსავალიც აქვს.

სხვათა შორის, იმ ოპერაციის შემდეგ პირველივე პრიზად მოპოვებული „ომეგას“ საათი თავის გადამრჩენ ქირურგს აჩუქა.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ალექსანდრ პოპოვი, მონაკოს უფლისწული ალბერი და ცურვის ავსტრალიელი ვარსკვლავი იან ტორპი



„ყინულის კაცი“ — „ომეგას“ სახე

## საქართველოს ჩემპიონატი

# ნიშადური უფროსობას თსუ-მ ერთხელაც მოითმინა

**ირაკლი პერტაია**

ძნელია, მოძებნო ისეთი უინტერესო ტური, გუშინ რომ გაიმართა ეროვნულ ჩემპიონატში. თბილისური მატჩები კაპიკად არ ვარგოდა და ის ერთადერთი შეხვედრაც, რომელშიც დაძაბულობა იყო მოსალოდნელი, ჩაშლის პირას იყო.

რა გახსენება გჭირდებათ, თსუ-ს ავბედითობის შესახებ ლამის მთელმა ქვეყანამ იცის. უყურადღებოდ დარჩენილი სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი გასულ ხუთშაბათს „ავიამშენთან" არ გამოცხადდა, რითაც ერთხელაც სცადა ხელმძღვანელობის გამოფხიზლება. იმ მატჩში თსუ-ს 0:20 წაგება ჩაეთვალა და 1000 დოლარით დაჯარიმდა. კაპიკს ვერ იღებდნენ და სტუდენტებმა ალბათ იფიქრეს, ეს ამხელა ჯარიმა ნიშადურივით იმოქმედებს ჩვენს ხელმძღვანელობაზეო. იმოქმედა კიდეც. უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ, ვისთან აუდიენციაც არაერთხელ ჩაეშალათ თუ გადაედოთ გუნდის მწვრთნელებს, ბოლოს და ბოლოს მოიცალა კალათბურთელებისთვის. პარასკევს თსუ-ს თავკაცები, მამუკა ტურაშვილი და გია ჯავახიშვილი ლორთქიფანიძეს შეხვდნენ და სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს რუსთავში სათამაშოდ წასვლა.

თუ აქამდე ლორთქიფანიძის ხელქვეითებისგან ისმენდნენ დაპირებებს, სტუდენტებმა ახლა უშუალოდ რექტორისაგან მიიღეს ხელფასების დარიგების გარანტია და ქვემო ქართლშიც წავიდნენ. ეგაა, მობილიზება ვერ მოახერხეს და რუსთაველებთან დამარცხდნენ, თუმცა ამას ვინ ჩივის, გუნდი არ დაიშალა და თუ რექტორი სიტყვას არ გატეხს, დღეს-ხვალ სტუდენტები ნანატრ გასამრჯელოს თუ მის ნაწილს აიღებენ.

ამ დროს კი თბილისში ისეთი კალათბურთია გაჩაღებული, მოედნისკენ გახედვა გეხამუშება. ან როგორ მოხდა, რომ სამივე მატჩში სუსტ-ძლიერები დაწყვილდნენ — „დინამო" — „ბურჯი", „სტუ-ჯეოსელი" — „მაკაბი" და „ავიამშენი" — თსუ.

ქართულ კალათბურთში ოდნავ ჩახედულიც მიხვდება, რომ წმინდა სპორტული თვალსაზრისით ამ თამაშების ყურება არ ღირს. ეს ისეთი კატეგორიის მატჩებია, გამარჯვებული რომ წინდაწინ არის ცნობილი და თუ ვაიდა, დარბაზში აღმოჩნდი, რეკორდებსა და ლამაზ კომბინაციებზე ხარ ჩასაფრებული.

სამწუხაროდ, რეკორდი არც ერთ მატჩში არ გამოცხვა, ხოლო ლამაზი მომენტები, ჩატენვები, დრიბლინგები და შაქარ-პასები არცთუ ხშირი იყო. ჩემპიონატის ლიდერთაგანმა „დინამომ" აუტსაიდერი „ბურჯი" დაამარცხა, მაგრამ არა ისე, როგორც გულშემატკივრები ვარაუდობდნენ. ამ მატჩში თავი ერთხელაც შეგვახსენა უშუქობამ. „დინამო" — „ბურჯი" ჩამქრალი პროჟექტორებითა და ტაბლოს თანხლებით მიმდინარეობდა. სუსტებს ხვდებოდნენ და დინამოელთა ხელმძღვანელობამ სათადარიგოებს მისცა შანსი, რომლებმაც თავი არ შეირცხვინეს და თელაველებს ლამის პირველივე მეოთხედში მოუთავეს საქმე — 30:15.

დუბლებიდან დამატებული ხალხი ათამაშა ნუგზარ ჭეიშვილმაც, ვისმა სტუ-მაც ცალი ხელით წააქცია უთავკაცოდ მყოფი „მაკაბი". ჯამლეტ ხუხაშვილი უცნობი მიზეზის გამო მატჩზე არ მოვიდა, რითაც „მაკაბის" სათამაშო დისციპლინა მოაკლდა.

ტექნიკოსთან შემადგენლობაში ვიხილეთ სრულიად ახალგაზრდა ბიჭები, ირაკლი ძიძიგური და ბექა წივწივაძე. ჭეიშვილმა ისინი დიდხანს არ ათამაშა, რადგან ახალგაზრდების მოედანზე ყოფნისას მაკაბელებმა გამოიფხიზლეს და სტუ-ს ლიდერები რომ არ მიშველებოდა, ვინძლო მეტოქე წამოსწეოდა კიდეც.

სტუ-მ გვარიანი ლიდერობა რომ დაიბევა, მერე ვარჯიშის მაგვარი მოაწყო, ხან პრესინგს მიმართავდა და ხან სამქულიანებს ისროდა. თავი ისახელა გიორგი მარკოიშვილმა, ვინაც 32 ქულა მიითვალა, თუმცა შედეგიანობაზე არანაკლებად „მარკოზა" დაცვით გამოირჩა.

თავისი „მარკოიშვილი" ჰყავდა „მაკაბისაც", რომელსაც აქამდე სულ გივი ვაშაკიძე წინამძღოლობდა, ახლა კი სრულიად ახალგაზრდა, კარგი მონაცემების მქონე თენგიზ გვარამაძემ უყოჩა. მას მუქი ფერების გამო „მოზამბიკას" ეძახიან, აი, კალათბურთს რომ კიდევ უფრო კარგად თამაშობდეს, ალბათ რომელიმე შავკანიანი ვარსკვლავის სახელს შეარქმევდნენ. „მოზამბიკამ" გვარიანი დრო დაჰყო მოედანზე და ტექნიკოსებს 25 ქულა უთავაზა. თუმც „მაკაბის" ხუთი „მოზამბიკა" რომ ჰყოლოდა მოედანზე, ჩემპიონატის ლიდერთან ალბათ მაინც უშანსოდ იქნებოდა. საბოლოოდ — 127:76, რა თქმა უნდა, სტუ-ს სასარგებლოდ.

გუშინდელი დიდ-პატარათა ბრძოლები „ავიამშენმა" დაასრულა, როცა 90:66 დაამარცხა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 18 | 16 | 2 | +364 | 34 |
| დინამო | 19 | 15 | 4 | +399 | 34 |
| ავიამშენი | 18 | 15 | 3 | +387 | 33 |
| თუჯი | 19 | 10 | 9 | +104 | 29 |
| თსუ | 19 | 10 | 9 | +167 | 28 |
| მაკაბი | 18 | 4 | 14 | -396 | 22 |
| ბურჯი | 17 | 2 | 15 | -299 | 19 |
| სსუ | 18 | 1 | 17 | -606 | 19 |

*თსუ-ს დაკლებული აქვს ერთი ქულა*

20 თებერვალი. ვერის ბაღი

**დინამო 88:57 ბურჯი**

30:15 16:15 21:16 21:11

**დინამო:** კვიმსაძე (10), ხეცურიანი (20), ლაფანაშვილი (8), ჩხატარაშვილი (6), კილაძე (4); ბ. ბერიშვილი (20), ბექაური (9), დერიუგინი (5), სუხიშვილი (4), კოლუაშვილი (2)

**ბურჯი:** ნინუა (10), იაგორაშვილი (10), აკოლაშვილი (8), ნუცუბიძე (9), დოლმაზაშვილი (10); ცერცვაძე (8), ამირანაშვილი (2)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, მალხაზ ანდღულაძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**სტუ 127:76 მაკაბი**

34:18 29:24 29:17 35:17

**სტუ:** მიქაძე (12), გოგობერიშვილი (15), მარკოიშვილი (32), კეიდია (11), შანიძე (26); მათიაშვილი (17), ჯაფარიძე (6), გაგნიძე (4), პირველაშვილი (4), წივწივაძე, კოხრეიძე, ძიძიგური

**მაკაბი:** ბადრიძე (12), გვარამაძე (25), კორკოტაძე (2), ფიცხელაური, ვაშაკიძე (25); შერმადინი (6), ჯანელიძე (6)

**მსაჯები:** ლიკა ქაჯაია, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ავიამშენი 90:66 სსუ**

29:17 20:22 19:14 22:13

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (16), ხოშტარია (12), დოლიძე (12), ნინიაშვილი (22), ბერძენიშვილი (13); მოსეშვილი (8), ბ. ნოზაძე (5), წოწელია (2)

**სსუ:** პატარაია (17), ჩიტაშვილი (24), ონიკაშვილი (13), კორძაძე (7), იმედაშვილი (3); ზანგურაშვილი (1), გასიტაშვილი (1), ლ. ნოზაძე, ჭოველიძე, ცხაკაია

**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, დავით არეშიძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

20 თებერვალი. რუსთავი

**თუჯი 81:70 თსუ**



# ჰამბურგული მეთი ვერცხლით ჩატატამდა

ჯერ ზამთარი არ გასულა და ძიუდოისტებმა უკვე 2005 წლის სეზონის მსოფლიოს მესამე სუპერთასი მოიგეს. ახალტიტულ — მინიჭებული ჰამბურგის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ამ უქმეებზე ჩატარდა და ევროპის ჩემპიონატამდე ჩასატარებელი რამდენიმე უსუპერო „მსოფლიო თასის" დარჩა.

ევროპული ნაკრებების თავკაცთა მთავარი საფიქრალი როტერდამული ევროპირველობისთვის შემადგენლობის დაკომპლექტებაა. ყველა ექსპერიმენტებს მიმართავს და ამიტომაცაა, უკვე ჩავლილი ტურნირების მსგავსად, ჰამბურგის სუპერთასზეც მხოლოდ თითო-ოროლა ვარსკვლავი რომ გამოერია.

შოთა ხაბარელმა გერმანიაში ძირითადად ახალგაზრდები იახლა, უმეტესწილად ისეთები, რომლებიც საქართველოს ნაკრებს რეალურად უფრო შორეულ მომავალში გამოადგებიან. გუნდურ წარმატებასაც ნაკლებად ველოდით, თუმც უმედლოდმაინც არ დავრჩენილვართ.

ხაბარელის ათეული თბილისში დღეს ერთი ვერცხლით ბრუნდება, რომელიც პირველივე დღეს, პირველისავე წონაში მოჭიდავე დავით სვიმონიშვილმა მოიპოვა. საჩემპიონო ბრძოლა დავითმა ქულებით წააგო სამხრეთკორეელ ნამ-სუკ ჩოსთან. მანამდე კი გერმანელი, რუსი, არგენტინელი და სლოვენიელი მეტოქეები გაკრა ტატამს. 60 კილოგრამშივე იჭიდავა საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა დავით ასუმბანმა. ორი წრე საკმაოდ იოლადაც გაიარა და მესამეში სწორედ იმ კორეელს გადაეყარა, მოგვიანებით ოქროთი რომ გაიხარა. რეპეშაჟში გადართულმა ასუმბანმა ვერც ბრინჯაომდე მისვლა შეძლო — ფინელ ვალტერი იოკინენთანაც დამარცხდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.



დავით სვიმონიშვილმა ვერცხლს უწია

66 კილოგრამში მოჭიდავე ორი ჩვენებურის ანგარიშზე მხოლოდ ერთი მოგებაა. ზეზვა ებელაშვილმა ჩეხი დავიდ დუბსკის ძლევის შემდეგ იტალიელ ნიკოლა კასალესთან წააგო და რადგან მერე ვერც იტალიელმა ივარგა, ზეზვამ ბრინჯაოს შანსიც დაკარგა. მინდია ხომიზური კი პირველსავე წრეში მომავალ ჩემპიონ ადრიან კულიჩს გადაეყარა. ვერც მას მოუხერხა რამე და ვერც ბრინჯაოზე მეოცნებე რუს მაგომედ ჯაფაროვს.

თითო შეხვედრის ჩატარება მოასწრეს ოთარ ახალაიამ (73კგ), გიორგი ბაინდურაშვილმა (81კგ) და ლევან რაზმაძემ (100კგ). პირველს ყაზახმა ალმაზ ატაევმა აჯობა, მეორეს იაპონელმა მასაჰიკო ტომუჩიმ, ხოლო მესამეს გერმანელმა მარსელ ჟამემ.

რეპეშაჟში გადართვის შანსი არც ირაკლი ცირეკიძეს (90კგ) მისცემია. თუმც კი თბილისის „მსოფლიო თასის" ვერცხლოსანმა ერთი მეტოქის გამწარება მაინც მოახერხა — რუმინელ დანიელ ბრატას წუთნახევარში მოუმთავრა საქმე. მერე გამოცდილ იტალიელს რობერტო მელონის ხუთი წუთი უშედეგოდ ეჯაჯგურა და კოკათი წააგო.

ერთი ნაბიჯილა დააკლდა მედლამდე ქართული გუნდის ყველაზე გამოცდილ წევრს გია გუგავას. მასპინძელ მიხაელ იურაკთან ქვეჯგუფიდან გასასვლელი გადამწყვეტი ბრძოლის წაგების შემდეგ რეპეშაჟში ჯერ ალჟირელ ჰასან აზონზე იყარა ჯავრი, ხოლო მერე იურაკის თანამემამულე დიმიტრი პეტერსზე და ბრინჯაოსთვის პაიზული სუპერთასის ამწევ სამხრეთკორეელ კვანგსუნ იოს დაეჭიდა. საფრანგეთში „ოქროს შეხვედრა" აზიელმა ჩვენებურ ივერი ჯიქურაულს მოუგო და გუგავას ერთგვარი რევანშის შანსი ეძლეოდა, თუმც ძლიერი ამჯერადაც კორეელი აღმოჩნდა.

საევროპო შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლის გაგრძელების საკმაოდ კარგი შანსი მიეცა გრიგოლ შინჯიკაშვილს (81კგ), მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლო. არადა, ისე დაიწყო, მედალი ლამის ჯიბეში დავიგულეთ. გუგავას დარად, მისთვისაც ქვეჯგუფის ფინალი აღმოჩნდა გადაულახავი ბარიერი. თურქი ემრე ბაინდირისა და ფრანგი ენტონი როდრიგესის ჩამოცილების შემდეგ გრიგოლს ჰოლანდიელმა ჯილომ ელმონმა აჯობა. თანაბარი ბრძოლა ელმონის კოკამ მოიგო და ჩვენებური რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაომდე ორი ნაბიჯილა რჩებოდა, მაგრამ „შინჯიკამ" გერმანელ ოლე ბიშოფთანაც წააგო და ტურნირი მეცხრე ადგილით ჩაამთავრა.

მძიმეწონოსნებიდან შოთა ხაბარელმა ჰამბურგში მხოლოდ ზვიად ხანჯალიაშვილი იახლა, თუმც რომ არ აჭიდავებდა, ეს ყველამ თავიდანვე იცოდა. ზვიადი ტრავმირებულია და გერმანიაში ოპერაციას გაიკეთებს. უქართველებო წონაში კი სახელიანმა რუსმა ალექსანდრ მიხაილინმა იპირველა.

**ოთარ მალლაკელიძე**

60კგ
1 ნამ-სუკ ჩო (სამხრეთ კორეა)
2 დავით სვიმონიშვილი (საქართველო)
3 ვალტერი იოკინენი (ფინეთი)
3 ბაპტისტ ლეროი (საფრანგეთი)
5 დავით ასუმბანი (საქართველო)

66კგ
1 ადრიან კულიჩი (გერმანია)
2 სტეფან ბიეზი (საფრანგეთი)
3 ჰუსეინ ოზქანი (თურქეთი)
3 ოსკარ პენასი (ესპანეთი)
13 ზეზვა ებელაშვილი (საქართველო)
17 მინდია ხომიზური (საქართველო)

73კგ
1 ვონ-ჰე ლი (სამხრეთ კორეა)
2 სასო ჟერები (სლოვენია)
3 ენტონი ფრიჩი (საფრანგეთი)
3 ნიკო მიულერი (გერმანია)
17 ოთარ ახალაია (საქართველო)

81კგ
1 ანტონიო ჩიანო (იტალია)
2 ჯილომ ელმონი (ჰოლანდია)
3 სედრიკ კლავერი (საფრანგეთი)
3 დრაგან მრვალიევიჩი (სერბეთი და ჩერნოგორია)
9 გრიგოლ შინჯიკაშვილი (საქართველო)
19 გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო)

90კგ
1 სუნ-ჰო ჩოი (სამხრეთ კორეა)
2 ვიაჩესლავ დელოკი (რუსეთი)
3 ფრედერიკ სტიგელმანი (საფრანგეთი)
3 ხასანბი ტაოვი (რუსეთი)
13 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)

100კგ
1 მიხეილ იურაკი (გერმანია)
2 ელკო ვან დერ გესტი (ჰოლანდია)
3 ქვანგოსუნ იო (სამხრეთ კორეა)
3 მარსელ ჟამე (გერმანია)
5 გია გუგავა (საქართველო)
13 ლევან რაზმაძე (საქართველო)

+100კგ
1 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი)
2 გრჟეგოჟ ეიტელი (პოლონეთი)
3 იასუიუკი მუნეტა (იაპონია)
3 ანდრეას ტოელზერი (გერმანია)

# ფინიქსმა ფერფლიდან ამოანათა

## ALL STAR 2005

დენვერი, 19-20 თებერვალი

**სანამ დიდრონი ვარსკვლავები გამოანათებდნენ — ეს კი წუხელ გამთენიისას მოხდა — „დენვერ ნაგიტსის“ შინა თამაშების მასპინძელ „პეპსი სენთერს“ ერთი ღამით ადრე წარუდგნენ სხვადასხვა საქმეში ხელმარჯვე ჯეელები, აგრეთვე თითო-ოროლა ძველი ვარსკვლავი და ქალმოთამაშე. ტრიბუნების პირველ რიგებში კი ადგილი დაიჭირეს სულ ცნობილმა სახეებმა. დიდი ლაზღანდარობა და ღლაბუცობა კია, მაგრამ ოლ სტარი და მისი თანმდევი კონკურსობანი თვალს ახარებს და ხმაურიც გვარიანი ახლავს. 19 თებერვლის დენვერული ღამე ამ კონკურსებისა იყო. ყველა ვარსკვლავთა ნაღდი მატჩი კი — 1951 წლიდან რომ იმართება — 20 თებერვალს ჩახმაურდა და მასზე ხვალ მოგახსენებთ**

### მცირე ოლ სტარი

**ახალბედები 106:133 მეორეწლიანები**

**ახალბედები:** ჰარისი, ალენი (17), იგუდალა (11), დენგი (17), ჰოვარდი (14); ჯეფერსონი (14 ქულა, 11 მოხსნა), გორდონი (13), სმიტი (12), უდრიჰი (5)
**მეორეწლიანები:** ვეიდი (12), ჯეიმსი (20), ენტონი (31), ჰეისლიპი (4), ბოში (26 ქულა, 14 მოხსნა); კორვერი (21), რიდნორი (12), ჰოვარდი (7), ჰაინრიხი

ოლსტარშოუს მასპინძელ დენვერელებს საწყენად კი დაურჩათ, მათი მთავარი მნათობი კარმელო ენტონი დიდრონთა შეხვედრის გარეთ რომ დარჩა, მაგრამ ყმაწვილმა კარმელომ მცირე ოლ სტარში გაუქარვა მათ ეს უკმაყოფილება. დიდებში ვერა და მეორეწლიანებში კი იოლად მოხვდა ენტონი და თავის გუნდს სულ რიხინ-რიხინით დაამარცხებინა რჩეული წვევამდელები, თავად კი მატჩის უძვირფასესი მოთამაშის საპატიო წოდება ირგუნა.

ახალბედებისა რა მოგახსენოთ და, მეორეწლიანებში სულ დარჩეული ბიჭები შეიკრიბნენ — ენტონისა ხომ ვთქვით, და მის გვერდით ლებრონ ჯეიმსის, დუეინ ვეიდისა და კრის ბოშის ხსენებაც კმარა.

არადა, ახალბედებმა ისე დაიწყეს და ჩაათამაშეს პირველი ნახევარი, ზემოჩამოთვლილი კრებულის ბრწყინვალებაში ეჭვსაც შეიტანდი. ნბა-ში 2004 წლის დრაფტის შემდეგ მოსულებს 2003-იანელებთან დავაში მთავარი დამრტყმელი, შარლოტელი ემეკა ოკაფორი აკლდათ, მაგრამ ლუოლ დენგმა, ტონი ალენმა, დუაიტ ჰოვარდმა და სხვა პირტიტველა ბიჭებმა უფროსებს თავგზა აუბნიეს და პირველი ტაიმი 64:58 აართვეს.

მეორე ნახევარიც ბრძოლას მოასწავებდა, მაგრამ აქ გამოვიდა სცენაზე მასპინძელთა ჯილა ენტონი და საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი. დენვერელმა ფორვარდმა შესვენების შემდეგ 17 ქულა უმარჯვა პატარებს, სხვა მეორეწლიანებიც აიყოლია და ახალბედებს ფარ-ხმალი დააყრევინა. ენტონის 31 ქულის მოხვეჭას სულ 25 წუთი დაახარჯა. 20 ქულა 27 წუთში შეაგროვა ჯეიმსმა, კრის ბოშმა კი 26 ქულას და 14 მოხსნას 29 წუთი ამყოფინა.

„მე ცხვირის ჩამოშვებას არ ვაპირებ იმის გამო, დიდ ოლ სტარში რომ ვერ მოვხვდი — ამბობს ენტონი — მხოლოდ ორი წელია, ნბა-ში ვარ, ჯერ წასვლას არ ვაპირებ და ოლ სტარში თამაშსაც კიდევ ბევრჯერ მოვასწრებ.“

### სამი სამზე გოგო-ბიჭები

სამი სამზე ბურთაობაში ყველას — ლოსანჯელესელებს, დეტროიტელებსა და დენვერულებს ფინიქსელებმა აჯობეს — „სანზის“ კალია-ფორვარდმა შონ მარიონმა, ძველმა ფინიქსელმა ოლსტარელმა დან მარლიმ და ქალთა ნბა-ს სეზონის ახალბედამ, „ფინიქს მერკურის“ დაიანა ტორასიმ.

„ოლ სტარში ბოლოს 95 წელს ვითამაშე. მას აქეთ ამ შოუს აღარც დავსწრებივარ და ახლა ძალიანაც კმაყოფილი ვარ — ამბობდა მარლი პრიზის ჩაბარების შემდეგ — ეგაა, ცოტა დიდი მაისურა მერგო. ეჭვი მაქვს, ჩარლზ ბარკლისა უნდა იყოს.“

მარლის ძველი თანაგუნდელი, გოროზი ბარკლიც დენვერში გახლდათ, ოღონდ მეოდანზე გასასვლელად არ ეცალა, ერთ-ერთ ტელეარხზე მთელი ეს ამბავი მიჰყავდა.

ხოლო კიდევ ერთმა გამარჯვებულმა, შონ მარიონმა თქვა — ფინიქსელები ისეთი მაგრები ვართ, ყველა დანარჩენ კონკურსს მოვიგებთო. მართლაც ყველა მოიგეს ერთის გარდა.



ჯოშ სმიტი ახტა, კაცს გადაახტა და— გამარჯვებული ჩამოხტა

### მფრინავები

ჩატენვების კონკურსში ფავორიტად ითვლებოდა ფინიქსელი ამარე სტუდემაიერი. მით უფრო, რომ ერთი შეხედვით, მოცილეებად ულიმლამო მოთამაშეები ჰყავდა. ოთხკაციან მტენავებში ფინალშიც გავიდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მეორეობას დასჯერდა.

ხუთკაციან ჟიურის, რომელთა შორის ლეგენდარული მფრინავი ჯულიუს ირგვინგიც ერია, 19 წლის ატლანტელი ახალბედა ჯოშ სმიტის ნატიფი ჩატენვები უფრო მოეწონა, ვიდრე სტუდემაიერის შლეგობები.

ჯოშ სმიტს ოთხი ჩატენვიდან (ორ-ორი თითო რაუნდში) განსაკუთრებით ლამაზად მეორე გამოუვიდა. მან დენვერელი კენიონ მარტინიც დაიხმარა, რომელიც თავადაც ზამბარის ფეხები და წისქვილის ფრთებივით ხელები აქვს, მაგრამ ამჯერად სტატისტობა იკმარა. იმას ვამბობდით… მარტინი საჯარიმო ხაზს იქით სკამზე დაჯდა და ჯოშ სმიტს იატაკიდან შეუგდო ბურთი. ესეც გამოქანდა, მარტინს გადააფრინდა, ბურთი ხელებში მოიგდო და მარცხენა ხელით ისე შმაგად დაასცხრა კალათს, 20 ათასმა კაცმა ერთდროულად ამოიგმინა.

სხვა ცდებიც მშვენივრად გამოუვიდა, მათ შორის ძველი ატლანტელის, აწ კი ამ კლუბის დირექტორატში მომუშავე და სმიტის გამწვრთნელი დომინიკ ვილკინსის საფირმო 360-გრადუსიანი ბრუნი. ამგვარად სმიტმა ჟიურის 200 შესაძლებლობიდან 195 ქულა დასტყუა და სტუდემაიერს ტიტული ააცილა.

კონკურსის სხვა მონაწილენი იყვნენ ნიუ-ორლეანელები ჯეიარ სმიტი და კრის ანდერსენი. თუმცა პირველი რაუნდიდან ვერ გააღწია, მეორე სმიტმა, ჯეიარმა თავი მაინც არ შეირცხვინა. აი, ანდერსენს კი ნერვებმა უმტყუნა. საქმე ისაა, რომ შარშან იგი დენვერელი იყო და ახლა დენვერული აუდიტორიის უკმაყოფილო შეძახილების აკომპანიმენტით მოუხდა თავისი ოსტატობის ჩვენება. ვერც აჩვენა. პირველ ჩატენვას 9 ცდა მოანდომა, მეორეს — 6.

### ჩუბინები

სამქულიანების კონკურსში ფავორიტებად ითვლებოდნენ შარშანდელი გამარჯვებული, თანაც დენვერელი ვოშონ ლენარდი და მეორეადგილოსანი, ფილადელფიელი კაილ კორვერი. სამკაციან ფინალში ორივე გავიდა, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, იქ აგრეთვე გააღწია ფინიქსელმა კვენტინ რიჩარდსონმაც.

რიჩარდსონი უფრო მტენავადაა ცნობილი, ვიდრე სამქულიანების ოსტატად და მაყურებლებმა ფინალში გასვლაც აქტივში ჩაუთვალეს. იქაც, ძალიან ცუდად დაიწყო — პირველი სამი წერტილიდან 18 შესაძლებლობიდან მხოლოდ 8 ქულა დააგროვა, მაგრამ მერე აიწყვიტა და დანარჩენი ორი ადგილიდან 12-იდან 11 ქულა „ამოიღო“.

„რიჩარდსონმა რომ დაიწყო, ვთქვი ამას კი ვაჯობებ-მეთქი და ლენარდზე დავიწყე ფიქრი, მაგრამ ჯილდო არც მე შემხვდა და არც ლენარდს“ — ამბობდა კორვერი.

ხოლო რიჩარდსონმა, ისევე როგორც ჯოშ სმიტმა, კონკურსის მოგებისთვის 25 ათასი დოლარი მიიღო.

### ჩაუქები

აქაც ფინიქსელმა იჩაუქა. კონკურსში ძირითადად გამთამაშებლები ცდიან ოსტატობას — დრიბლინგში, შორიდან სროლასა და პასებში (პირდაპირი პასი და იატაკიდან ახლეტილი) და ამ კონკურსის ყველაზე სამართლიანი გამარჯვებული ჰყავს. „სანზის“ სუპერგამთამაშებელმა სტივ ნეშმა ყველაფერი სარეკორდოდ მალე გააკეთა — დრიბლინგ-სროლა-პასებს ნახევარ წუთზე ნაკლები მოანდომა, თან ყველაფერი იუველირის სიზუსტით შეასრულა.

ნეშმა და „დენვერ ნაგიტსის“ ჯუჯა გამთამაშებელმა ერლ ბოიკინსმა პირველ რაუნდში ჩამოიტოვეს სიეტლელი ლუკ რიდნორი და ვაშინგტონელი ჯილბერტ არენასი. ამ უკანასკნელს ყველაზე მეტად პასი უჭირდა — დრიბლინგიც და სროლაც გადასარევი ჰქონდა, მაგრამ იმ სიშორიდან იმ პატარა რგოლში ბურთი როგორ უნდა გაეძვრინა, მით უმეტეს, იატაკიდან ახლეტილით — ასე მოიქცა, მაგრამ ლიგის ერთ-ერთ ბომბარდირს პასმა კი არა, სწორედ სროლამ გაუმწარა გზა. მეხუთე ცდიდან ძლივს ჩააგდო [illegible] და ნეშს ფინალში ბოიკინსი შერჩა.

165-სანტიმეტრიანი ბოიკინსიც სროლამ შეაფერხა. მაშინ, როცა ნეშს ყველაფერი გადასარევად მისდიოდა, ბოიკინსი ბურთის ჩაგდებაზე წვალობდა და ეს ჯილდოც ფინიქსელს დარჩა.

**ქოტე ყორშია**



ყველაზე ჩაუქი გამთამაშებელი — სტივ ნეში



კვენტინ რიჩარდსონი

# არა — მეთქი!

## ასეთია კასპაროვის პოზიცია და შეეკითხეთ თუ გინდათ



**პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკე გარი კასპაროვსა და ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვს შორის კვლავ უთანხმოებაა. ფიდეს თავკაცი დიდოსტატს საჭადრაკო სამყაროს გაერთიანებისკენ მოუწოდებს, თვითონ დიდოსტატი კი ხელმძღვანელს უმოქმედობაში სდებს ბრალს. მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც კასპაროვმა მსოფლიოს ჩემპიონატის სანახევარფინალო მატჩში ფიდეს ჩემპიონ უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვთან თამაშზე უარი განაცხადა. ამ და სხვა საჭადრაკო მოვლენებზე ილუმჟინოვი რუს ჟურნალისტს ესაუბრა**

— რატომ ჩაიშალა კასიმჯანოვისა და კასპაროვის შეხვედრა დუბაიში? ძნელი დასაჯერებელია, რომ ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც არაბეთის გაერთიანებული საემიროებია, ამ მატჩისთვის თანხა ვერ გამონახა...

— თავიდან ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა და შეიხი მოჰამედი დახმარებასაც დაგვპირდა, თუმც შემდეგ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. კასპაროვ-კასიმჯანოვის მატჩის ჩატარება შემოდგომაზე გამართულ პრესკონფერენციაზე გადავწყვიტეთ, რამდენიმე დღის შემდეგ კი სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ, გარდაიცვალა არაბეთის გაერთიანებული საემიროების პრეზიდენტი ზაიედი და ქვეყანამ ორთვიანი გლოვა გამოაცხადა. მივხვდით, რომ მატჩი თავის დროზე, ამა წლის იანვარში აღარ ჩატარდებოდა, ამიტომაც არაბმა ორგანიზატორებმა თამაშის რამდენიმე თვით გადატანა შემოგვთავაზეს, მაგრამ ეს ჩვენს გეგმებში არ შედიოდა.

— ნოემბრის შუა რიცხვებში, როცა რუსეთის ჩემპიონატის სუპერფინალი მიმდინარეობდა, არაბ ორგანიზატორთა წარმომადგენელმა კასიმჯანოვსა და კასპაროვს დუბაიში ჩასვლა და პრესკონფერენციის გამართვა შესთავაზა, თუმც, როგორც მახსოვს, კასპაროვისგან უარი მიიღო.

— ფიდე ძირითადად თამაშების ორგანიზებას აკეთებს და ამისთვის სპონსორს ეძებს. ერთ-ერთი სპონსორი იყო სასტუმრო „ბურჯ ალარაბი". მათ მფლობელებს სურდათ კასპაროვ-კასიმჯანოვის პრესკონფერენციის მოწყობა, რათა ამ შეხვედრაზე უფრო დიდი ყურადღება მიეპყროთ. მათ ორივე დიდოსტატს სამგზავრო ბილეთები დაუჯავშნეს და სასტუმროში ადგილებიც გამოუყვეს. კასიმჯანოვმა თანხმობა განაცხადა, კასპაროვის ამერიკელმა მენეჯერმა ოუენ უილიამსმა კი საგარანტიო თანხა წინასწარ მოითხოვა. არაბებმა უარი უთხრეს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ მატჩისთვის გამოყოფილი 1,6 მილიონი დოლარი ბევრია?**

— ვერ დაგეთანხმებით და საპრიზო თანხის შემცირებას არ ვაპირებთ. ყველას ჰგონია, რომ ამ მატჩის ფავორიტი კასპაროვია, თუმც ასე არ არის. ტრიპოლში, ფიდეს ჩემპიონატზე კასიმჯანოვმა რამდენიმე ცნობილ დიდოსტატს მოუგო და დაამტკიცა, რომ ბოლომდე მებრძოლი მოჭადრაკეა.

არაბებთან ჩაშლილი გარიგების შემდეგ მატჩის მასპინძლობა თურქებმა შემოგვთავაზეს და საპრიზო თანხად 1,6 მილიონ დოლარს დაგვპირდნენ. ამის თაობაზე თურქეთის ვიცე-პრემიერმა ოფიციალური წერილიც მოგვწერა.

**— მაშ, რატომ ჩაიშალა გარიგება?**

— კვლავ კასპაროვის ამერიკელი მენეჯერის მიზეზით. მან მოითხოვა, საგარანტიო თანხა დიდოსტატის ანგარიშზე თამაშამდე გადარიცხულიყო. თურქ ჩინოვნიკებს კი ეს არ მოეწონათ: სპორტსმენებს თამაშამდე ფულს არ ვუხდით და გამონაკლისს არც მოჭადრაკეებზე დავუშვებთო.

**— ამ ყველაფრის შემდეგ როგორი ურთიერთობა გაქვთ კასპაროვთან?**

— მასთან არ მიკამათია, ასეთია ამ კაცის პოზიცია და...

**— ვეიკ ან ზეეში ვლადიმერ კრამნიკმა ჩემთან საუბრისას თქვა, კასპაროვი გამაერთიანებელ მატჩში კვლავ აპირებს მონაწილეობასო.**

— ჩვენ კასპაროვს ამის თაობაზე წერილი მივწერეთ და პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

**— როგორც ვიცი, თქვენ და კასპაროვი მობილურით ხშირად საუბრობთ. ამ მატჩზე თუ ილაპარაკეთ?**

— აქ სხვა მდგომარეობაა, მან ღია წერილით მოგვმართა და ჩვენც წერილებით გავაგრძელეთ ურთიერთობა. გვინდა, რომ გარიმ ითამაშოს.

**— კასიმჯანოვი კომენტარისგან თავს იკავებს...**

— მან იცის, რომ კასპაროვს წერილი მივწერეთ და პასუხს ელოდება.

**— მგონია, რომ თურქი ორგანიზატორები უფრო „კასპაროვში იხდიან ფულს".**

— კასპაროვი საკმაოდ ცნობილი ფიგურაა, თუმც თურქებს უფრო ეს შეხვედრა აინტერესებთ.

**— თუ კასპაროვი უარს იტყვის, მას სხვა მოჭადრაკით შეცვლით?**

— ეს ყველაფერი ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოზე 26-27 თებერვალს თბილისში გაირკვევა.

**— როდის იქნება ფიდეს მომავალი ჩემპიონატი და სად ჩატარდება?**

— მომავალი ჩემპიონატი დეკემბერში ჩატარდება და მისი მასპინძლობა ვიეტნამს სურს. თუმც არის კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც ჯერ ვერ დაგისახელებთ. მათ სურთ, ზედიზედ სამჯერ უმასპინძლონ ამ გათამაშებას.

**— ზოგი ფიქრობს, რომ თითქოს გსურთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე მოჭადრაკეთა რაოდენობაც გაზარდოთ და საპრიზო თანხაც...**

— ყველაფერი უცვლელი დარჩება. იყო დრო, თამაშებში ჩემსა და მეგობარი ბიზნესმენების ფულს ვდებდი. ახლა უკვე ასე აღარ ვიქცევით და სპონსორებს ვეძებთ.



# ჰოპკინსმა ტიტული მეოცედ დაიცვა



**ეგებ** ჩვენ დიდად არც ვიცოდეთ, მაგრამ დიდი კრივის საშუალო წონაში მოღვაწეობს ბერნარდ ჰოპკინსი, რომელიც იქაურობის უდავო ჩემპიონია.

ჰოპკინსი 40 წლისაა და ამ უქმეებზე უკვე მეოცედ დაიცვა თავისი ტიტულები ხელყოფისაგან.

მეტოქედ ამჯერად იყო ბრიტი ჰოვარდ ისტმენი, რომლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არ წაქცეულა, თუმცა, სამივე დამთვლელმა მსაჯმა ჩემპიონს მოანიჭა უპირატესობა: 119-110, 117-111, 116-112.

იმ საღამოს ლოს ანჯელესში სასწორზე იდო ოთხი ქამარი: საბჭოსი, ფედერაციისა, ორგანიზაციისა და ასოციაციისა. ოთხივე იმას დარჩა, ვისაც ეკუთვნოდა.

უბერებელი ჰოპკინსის საცქერლად კი მოსულიყვნენ, მაიკ ტაისონი, ტომას ჰერნსი და მექსიკელი ლეგენდა მარკო ანტონიო ბარერა.

ისტმენი უტევდა, მიუხედავად იმისა, რომ მიმტევებლურად უწინასწარმეტყველებდნენ, მეხუთე რაუნდამდე თუ გაძლებსო. ჰოპკინსი კი ყველა რაუნდში წინ იყო ქულებით. რახან ნოკაუტი ვერ მიიღო, ბრიტმა ჩხუბის შემდეგ იქნია მუშტები, ჩემპიონივით ვერ მეკრივა და რემატჩი მერგებაო.

ამის საპირისპიროდ დიადმა მეტოქეს პატივი მიარგო: „გამძლე ბიჭია. ხალხს ნოკაუტი უნდოდა, მაგრამ მე სხვა ტაქტიკა მქონდა."

საერთოდ კი ტიტული ყველაზე მეტჯერ ჯო ლუისს დაუცავს (25-ჯერ, მძიმე წონა), მას მოსდევს დარიუშ მიხალჩევსკი (23-ჯერ, ქვემძიმე). ამათ სტივ ოტკე (სუპერსაშუალო) და რიკარდო ლოპესი (უმსუბუქესი, 21-21-ჯერ). ჰოპკინსი კი მძიმე წონის დიდ ჩემპიონს ლარი ჰოლმსს უტოლდება თავისი 20 დაცვით.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**





ლორდი კოუ, სოჯის კომისიის მეთაური ნევალ ელ მუტავაქელი და ტონი ბლერი

# დედოფლის ვახშმიდან ნიუ იორკისკენ

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის კომისიამ, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო კანდიდატ ქალაქებში მათი შესაძლებლობების შესაფასებლად მოგზაურობს, მადრიდის შემდეგ ლონდონიც მოინახულა.

სტუმართა დასახვედრად ლონდონის ღირსშესანიშნაობანი მორთული იყო ოლიმპიური სიმბოლიკით, ხოლო ტრაფარგარის მოედნის ცარიელ კვარცხლბეკზე სპორტსმენი ქალის ქანდაკება აღმართეს.

აქ კომისიის წევრებს ოლიმპიურ ობიექტებზე მეგზურობას უწევდნენ ლონდონის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ლორდი კოი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები მძლეოსნობაში სებასტიან კოე, კელი ჰოლმსი, მსოფლიოს რეკორდსმენი ჯონათან ედვარდსი და ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნიჩბოსნობაში სტივ რედგრეივი.

იმ ობიექტებს შორის, რომლებიც კომისიის წევრებმა მოინახულეს, იყო საკრიკეტო „LORD'S CRICKET GROUND", უიმბლდონის კორტები, თავიდან მშენებარე უემბლის სტადიონი, ცხენოსანთა გვარდიის საალლუმო მოედანი ქალაქის ცენტრში, სადაც იგეგმება საპლიაჟო ფრენბურთში შეჯიბრება და სხვა ბაზები.

კომისიის წევრები „დაუნინგ სპრიტზე" მიიღო დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ტონი ბლერმა, ბოლოს კი ეს ვიზიტი დასრულდა დედოფალ ელიზაბეტ II მიღებით, რომელმაც სტუმართა საპატივცემულოდ ბუკინგემის სასახლეში ვახშამი გამართა, საიდანაც კომისიის წევრები, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ოკენესგლმა მესამე კანდიდატ ქალაქ ნიუ იორკში გადაფრინდნენ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# რაფოს მორიგი ნადავლი
## როდიკმა ნახევარფინალში დაიხია


რაფაელ ნადალი

**WORLD TENNIS TOURNAMENT**
**როტერდამი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 765 ათასი ევრო**

### მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) 7:5 7:5; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი) 7:6 (7:5) 7:6 (7:4); ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 3:6 6:4 6:2; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:2 7:6 (7:5)**

### ნახევარფინალი

**ფედერერი — ანჩიჩი 7:5 6:3; ლიუბიჩიჩი — იოჰანსონი 7:6 (7:4) 7:5**

ამქრის პირველოსანი როჯერ ფედერერი როტერდამში თავის 24-ე ტიტულზე სანადიროდ ჩავიდა და რამე უცნაურობა თუ არ მოხდებოდა, გუშსალამოს ეს უნდა მიეთვალა კიდეც. მის წინააღმდეგ უნდა გარჯილიყო წლეულს რეიტინგსიის პირადსარეკორდო, მე-19 ადგილამდე აღზევებული ივან ლიუბიჩიჩი, ვისაც მასთან ნათამაშებ შვიდ შეხვედრაში აქამდე სამჯერ უმარჯვია, თუმცა ადრესაიანვრო დოჰაობისას მისგან სწორედ ფინალში ძლეულა.

გუშინ ფედერერმა 81 წუთში მოდრიკა „გორანიშვილად" წოდებულად მარიო ანჩიჩი და ამით მასზე ჯავრი იყარა 2002 წლის უიმბლდონობაზე ნაწვნევი მოულოდნელი მარცხისთვის. ლიუბიჩიჩმა კი ამაზე ოცი წუთით მეტი მოანდომა ავსტრალიის ღია პირველობის სამი წლისწინანდელი ჩემპიონის ტომას იოჰანსონის ოტებას.

ფინალში ფედერერს ლიუბიჩიჩთან პირადი უპირატესობის გარდა ის გარემოებაც აფავორიტებდა, რომ რაგინდარა სატიტულე შეხლა მას უკვე 19 თვეა, 2003 წლის ივლისში გშტაადურ თიხნარზე წარმატების შემდეგ აღარ წაუგია. ამ ხნის განმავლობაში როჯერმა 11 ფინალი ითამაშა და 11-ვეში იმარჯვა.

**მემფისის საერთაშორისო ტურნირი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 665 ათასი $**

### მეოთხედფინალი

**ენდი როდიკი (1, აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 7:6 (9:7) 7:6 (7:2); ტომი ჰაასი (2, გერმანია) — ქსავიე მალისი (5, ბელგია) 6:4 6:3; მაქს მირნი (8, ბელარუსი) — ანტონი დიუპუა (საფრანგეთი) 7:6 (7:1) 7:6 (7:1); კენეტ კარლსენი (დანია) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:6 (9:7) 7:5**

### ნახევარფინალი

**კარლსენი — როდიკი როდიკმა ვერ ითამაშა; მირნი — ჰაასი 7:5 6:3**

წინა კვირაში სანხოსეობაზე გამარჯვებული ენდი როდიკი ზედიზედ მეორე ფინალში გასვლისგან კოჭის ტრავმამ დააბრკოლა. კოჭი ენდიბოიმ მეოთხედფინალში თვისტომ ჯინეპრისთან ბულრაობისას იტკინა და, თუმცა ნახევარფინალში თამაში ამ ტრავმითაც შეეძლო, მაგრამ გარისკვას აზრი არ ჰქონდა. სხვა თუ არაფერი, მარტში ამერიკელებმა დევისობის პირველ წრეში ხორვატებს უნდა უმასპინძლონ და, რაკიღა დიდი ხნის განმავლობაში მოუგებელი ამ თასის მოგებას ისინი ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევენ, როდიკმაც სადაც არ სჯობდა, იქ გაცლა არჩია. რაც შეეხება მემფისობაზე პარალელურად მიმდინარე ქალთა ტურნირს, იქაურ ფინალში მთავარგანთესილმა ვერა ზვონარიოვამ 7:6 (7:3) 6:2 აჯობა ამერიკელ მეგენ შონესის და (ტიტულის დაცვით) კარიერის მესამე ჯილდო მიითვალა.

**ბრაზილიის ღია პირველობა**
**კოსტა და საუიპე. თიხნარი**
**საპრიზო 355 ათასი $**

### ნახევარფინალი

**რაფაელ ნადალი (6, ესპანეთი) — რიკარდუ მელუ (9, ბრაზილია) 2:6 6:2 6:4; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — პიტერ ლუშაკი (ავსტრალია) 6:2 6:3**

### ფინალი

**ნადალი — მარტინი 6:0 6:7 (2:7) 6:1**

18 წლის მალიორკელი რაფაელ ნადალი თავის უკვე მესამე საეიტიპიო ფინალში თამაშობდა და უკვევე მეორე ტიტულს ეწია. მისი 26 წლის ბარსელონელი თვისტომი ალბერტო მარტინი, ვინაც სადგინდასად ნახევარფინალში 2001 წლის მერე აღარ გასულიყო, მას ტოლსწორად მხოლოდ მეორე სეტში ეპაექრა, თორემ ვერც პირველში და ვერც გადამწყვეტში ჩოგანიც ვერ გადაულუნა.

**PROXIMUS DIAMOND GAMES**
**ანტვერპენი. დეკობუსნო**
**საპრიზო 585 ათასი $**

### მეორე წრე
### მეოთხედფინალი

**ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — პატი შნიდერი (7, შვეიცარია) 4:6 6:4 6:3; ანასტასია მისკინა (2, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 7:6 (8:6) 6:2; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 6:2 6:3; ალიშა მოლიკი (4, ავსტრალია) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:3 6:4**

### ნახევარფინალი

**მორესმო — მოლიკი 6:3 7:6 (7:2); უილიამსი — მისკინა 6:3 3:6 6:3**

ანტვერპენში თავის მესამე იქაური ტიტულისა და ოქრობრილიანტებით მოოჭვილი ჩოგნისთვის მოჩალიჩე ვინუს უილიამსს ბრდღვნადაც არ ეყო ხანგრძლივი უქმობის შემდეგ დიდ კორტზე სწორედ გასულ კვირაში მობრუნებული კიმ კლაისტერსი. კიმი ნამატჩევს თავადვე აღიარებდა, რომ ცუდად გაირჯა, თუმცა ამაზე მნიშვნელოვნად მაინც იმას მიიჩნევდა, რომ მთელი კვირის განმავლობაში ნატრავმალ-ნაოპერაციევი მარცხენა მაჯას ლაითადაც არ წამოსტკივებია. ვინუსმა კი ეს გამარჯვება კაცურად შეირგო და ნახევარფინალში რუსთა ყოჩ მისკინასაც გაუსწორდა — ეს მათი მეოთხე შეხლა გახლდათ და უფროსი უილიამსდა უკვე 3:1 უპირატესობს. რაც შეეხება ბადის მეორე მხარეს, იქ ღონივრად იარა ამელი მორესმომ, რომელმაც ფინალის საგზური მასზე არანაკლებ ჯანიან ავსტრალიელ ალიშა მოლიკს წაჰგვარა. ბოლოჯერ ამელიმ და ვინუსმა შარშან ფილადელფიობაზე იპაექრეს და ის მატჩი ფრანგის გამარჯვებით 7:5 5:7 6:1 დამთავრდა.

**ლევან ძელაურაძე**


ვინუს უილიამსი





სტენლის თასის გათამაშება ორჯერ ჩაიშალა:
1919 წელს იგი გრიპმა შეიწირა, 2005 წელს კი სიხარბემ

# მკვდარი მკვდარია
## დიადთა ამაო ჯადოქრობა

**როგორც** კი ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა სეზონი გაუქმებულად გამოაცხადა, კულუარებში ჭორები გავრცელდა, გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ არსებობსო. ხუთშაბათამდე პრესაში გაჟონმა ინფორმაციამ (შეგახსენებთ, რომ ბეტმენმა გადაწყვეტილება ოთხშაბათს მიიღო), რომ ორი უდიდესი ჰოკეისტი, უეინ გრეცკი და მარიო ლემიე ძალიან უკმაყოფილონი არიან სეზონის ჩაშლით და ისინი ერთობლივი ძალისხმევით ცდილობენ მის რეანიმაციას.

მოგეხსენებათ, გრეცკი და ლემიე, შესაბამისად, „ფინიქსის" და „პიტსბურგის" მფლობელები არიან. ასე რომ, ამ პროცესში მეტად დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ, თუმც ოფიციალურ განცხადებებში ორივემ უარყო ეს ფაქტი. გრეცკის თქმით, იგი განსაკუთრებით იმან გააღიზიანა, რომ მოლაპარაკება ძალიან ინერტულად მიმდინარეობდა. ლემიეს კომენტარს კი ისედაც მოუთმენლად ელოდნენ, ვინაიდან იგი არა მარტო გუნდის მფლობელია, არამედ მოქმედი მოთამაშეც გახლავთ და შეიძლებოდა, ბარიკადების ორივე მხარეს აღმოჩენილიყო.

ლემიეს გამოსვლამ ცხადყო, რომ ის უფრო ლიგისკენ იხრება.

„რა თქმა უნდა, მესმის მოთამაშეთა პოზიცია, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ არსებულ პირობებში მუშაობა შეუძლებელია, ვინაიდან კლუბები მართლაც დიდ დანაკარგებს განიცდიან" — თქვა მარიომ ხუთშაბათს.

შაბათს კი გაირკვა, რომ ჭორები უსაფუძვლო სულაც არ იყო. სწორედ ორი დიადის ინიციატივით (როგორც ხედავთ, მათ ინტერვიუში განზრახ არ ამხილეს თავიანთი გეგმები) ნიუ იორკში ლიგის და ასოციაციის შეხვედრა შედგა. ექვსნახევარი საათის განმავლობაში მოდავე მხარეებმა საკმაოდ ინტენსიური დიალოგი გამართეს, მაგრამ გამოსავალი მაინც ვერ მოძებნეს.

ერთადერთი დასკვნა, რომელიც მონაწილეებმა გამოიტანეს, ის გახლდათ, რომ 2004-2005 წლების სეზონი საბოლოოდ გარდაიცვალა და ახლა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ რაც შეიძლება, მალე დაიდოს ახალი ხელშეკრულება, რათა მომდევნო სეზონმაც არ გაიზიაროს წლევანდელის ბედი.

„სეზონი აშკარად ველარ აღსდგება. დღევანდელმა სამიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩემპიონატის გაუქმება გარდაუვალი იყო" — თქვა პროფკავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ტედ სასკინმა.

თავის მხრივ, უეინ გრეცკიმ აღნიშნა, რომ შეხვედრა ძალიან კონსტრუქციული გამოდგა და იმედია, მომავალი რაუნდები უფრო ნაყოფიერი იქნება.

უნდა ითქვას, რომ შაბათის მოლაპარაკება განსხვავდებოდა წინა შეხვედრებისგან. ამჯერად მოლაპარაკებაში მეტი მოხელე მონაწილეობდა (ორივე მხრიდან 5-5 კაცი ესწრებოდა). თუმც მთავარი პირები, ბეტმენი და გუდენაუ არ იყვნენ სამიტზე. გარდა ამისა, ჯერჯერობით მომდევნო რაუნდის თარიღი უცნობია. მეტიც, პროფკავშირის პრეზიდენტ ტრევორ ლინდენის თქმით, მისთვის გაუგებარია, რა მიმართულებით მიდის მოლაპარაკება და საერთოდ, რა შედეგს მოიტანს ის. ვფიქრობ, ეს არა მარტო ჩემთვისაა გაუგებარი, არამედ სხვებისთვისაცო — დასძინა ლინდენმა.

ამრიგად, ორი დიადი ჰოკეისტის მცდელობაც ამაო გამოდგა. მათ მკვდარი სეზონი ვერ გააცოცხლეს. ვერც გააცოცხლებდნენ — დიადები კი არიან, მაგრამ ჯადოქრები ხომ არა. ეგებ სინდისის ქენჯნასაც გრძნობენ — გრეცკი და ლემიე ცოტა ადრე რომ ჩართულიყვნენ მოლაპარაკების პროცესში, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ყველაფერი.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრივის საღამო

ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში“ შაბათღამ დიდი ხმაური იყო. მოკრივე ბერნარდ ჰოპკინსმა ბარე მეოცედ დაიცვა თავისი საჩემპიონო ქამრები, ამჯერად ბრიტ ჰოვარდ ისტმანის ხელყოფისაგან. რახან ჩხუბი ლოს ანჯელესში მოეწყო, ჯეკ ნიკოლსონის გარეშე როგორ იქნებოდა. იქავე იყო „ლეიკერსის“ მფლობელი ჯერი ბასი, მოკრივეთა შორის კი ყველაზე მეტს მაიკ ტაისონი იცინოდა.





REUTERS ლოს ანჯელესიდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ნბა-ს ულუფა

ეს მსოფლიოში უძველესი კონიაკი დენვერში, „ბრაუნ პალას ჰოტელში“ დგას მაგიდაზე. ბარე 135 წლის სასმელის პორცია 575 დოლარი ღირს და საგანგებო შეთავაზებაა იმათთვის, ვინც ნბა-ს 54-ე ოლ სტარის საცქერლად ჩავიდა ამ ქალაქში.



REUTERS დენვერიდან



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

# დადარაჯებული

სოლტ ლეიკ სიტიში ციგაობა-ბობსლეის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. შეჯიბრისას არა, მაგრამ ვარჯიშისას კი შეიძლება, რომ ვიდეომოყვარული ასე დაუდარაჯდეს მოციგავეს. ჰოდა, გერმანელ ბარბარა ნიდერნჰუბერსაც დაუდარაჯდნენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge